გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№358 (416) 5-12 აპრილი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ნუგზარ კვაშილავა: მისტიური ნოსირი — სიტყვები უძლებენ ათასწლეულებს

გვ 3

## იზა თამაზაშვილი: ეს გზა საყდრამდე არ მიგვიყვანს!

გვ. 8

## ნაპო მესხია: აფხაზების შემობრუნების და აფხაზეთის ერთიან სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის გზები

გვ.7



## სუმელას მონასტერი — უძველესი ქრისტიანული ძეგლი

გვ.9

## ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი: ბერია და რეპლიკა „სუხიშვილების” შოუ-მასკარადის გამო...

გვ.2

## დენიზა სუმბაძე: მცხეთა – მეორე იერუსალიმი და „ახალი ისრაელის“ დედაქალაქი

მისი უწმინდესობის დაბეჯითებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ სვეტიცხოველშია დაკრძალული ორი დიდი სიწმინდე: კვართი უფლისა და ილია წინასწარმეტყველის ხალენი, უნდა შევნიშნოთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“, არანაირი წყარო იმისა, რომ ხალენი სვეტიცხოველშია დაკრძალული, არ არსებობს.

გვ.6



## მერაბიშვილი ამას პრეზიდენტის სირის გადასახადს უწოდებდა

მთავარი ქინძის მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩადენილი რომელიმე ქმედება თუ გამაკვირვებდა, ნამდვილად არ მეგონა, რადგან იმას, რაც მისი „მეფობის ხანაში“ ხდებოდა არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანურთან.

გვ.11

## ალ. კაკულია — სვატოპლუკ ჩეხის წიგნი საქართველოზე

გვ.9

ილორი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი



## ლავრენტი ბერია — 117

დანამდვილებით ვიცი, რომ ახლა ამით კიდევ ერთხელ გავაღიზიანებ ზოგიერთ ფსევდოპატრიოტს და ე. წ. ლიბერტარიანელ-კოსმოპოლიტსაც... რაგინდარა „ისტებს" ასევე, მაგრამ, მე იოლად და უპრინციპოდ როდი ვთმობ საკუთარ შეხედულებებს! ამიტომაც, ცხადია, ლავრენტი პავლეს ძე ბერიას პერსონის მონუმენტურობასაც გვერდს ვერ ავუვლი! გვერდს ვერ ავუვლი იმას, რომ 1899 წლის 29 მარტს, სოხუმთან ახლოს, თვალწარმტაც ოფუტე მერხეულში დაიბადა ბიჭუნა, რომელსაც განგებამ შემდეგ ზესახელმწიფოს ფაქტიური მეორე კაცობა და მეოცე საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ხვედრი არგუნა... ამ ფეისსივრცეში ერთხელ გამოვთქვი მოსაზრება, რომ სტალინის და ბერიას ფენომენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჰიტლერული ფაშიზმის დამარცხება და ჩვენს არცთუ შორეულ წინაპრებს უეჭველად მოუწევდათ მონობა ან გაზკამერების მონახულება... ასე რომ, ერთდროულად სასაცილოცაა და სატირალიც ტვინგადაბრუნებულთა ვიშვიში იმაზე, რომ თითქოს სტალინ-ბერიას გამოისობით მათ დაკარგეს ბავარიული ლუდის წრუპვის შესაძლებლობა... არაა ეს უტრირება, რადგან ამას მართლა სერიოზულად ფიქრობს ზოგიერთი არასერიოზული და ბრიყვი ჩვენი თანამემამულე! არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჰიტლერი თურმე დღენიადაგ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღგენაზე ფიქრში ღამეებს ათენებდა... ახავაი, როგორი მწირია და უმწიფარიც მავანთა აზრები თუ ფიქრები!!!

კარგი... მეტს აღარ გავაგრძელებ... ამდენს თუ დავწერდი არც მეგონა თავიდან... ვხედავ თემამ გამიტყუა და აჯობებს აქ დავასრულო...

ჰო... ერთს დავამატებ მხოლოდ: ნუ მოვიქცევით უღირსად და ნუ ვცდილობთ ლაფში ამოვსვაროთ საკუთარი ჯიშისა და მოდგმის დიდი ისტორიული ფიგურები! არ შეიძლება ეს! უმადური გარჯაა ეს! სახიფათოცაა, რადგან შესაძლოა განმქიქებლებმა თავად ამოყონ თავი ქაქში!..

## 31 მარტის ღამე და... ფიქრები ზვიად გამსახურდიაზე...

გულწრფელად გითხრათ, ვიწყებ წერას და წინასწარ არც ვიცი რას დავწერ... მხოლოდ ის ვიცი, რომ 31 მარტი დიდი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა... და, ამავე დროს დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარების დღეც რომ არის 31 მარტი... ისიც ვიცი, რომ ამის იგნორირებას მე ვერა, ნამდვილად ვერ შევძლებ... არც ის მგონია, რომ გრძლადაც დავწერ რამეს... მოკლედ, ძალიან მოკლედ მსურს თქვენთვის, ყველასათვის კარგად ცნობილ რამეზე რამდენიმე ფრაზით შემოვიფარგლო... მიმძიმს და იმიტომ... მიჭირს ზვიადზე არათუ წერა, არამედ გაფიქრებაც კი... მტკივა, მტკივა და თანაც მენანება ეს



იგავმიუწვდომელი მამულიშვილი, რომელსაც ჩემი მოდგმის, ჩემი ათასწლეულთა ქარტეხილებს გამოღწეული კოლხ-იბერის დაუოკებელი, მშფოთვარე, ამაყი და თავისუფლების მწყურველი სული საკუთარ პერსონაში ჰქონდა განივთებული... ამ სულისკვეთების გადადებას შეეცადა ეს ზეკაცი ერისათვის... რაღაც ეტაპზე მოახერხა კიდევაც... თავის ქრისტესმიერ ძმასთან — მერაბ კოსტავასთან და უერთგულეს თანამებრძოლებთან ერთად მან შესძლო მიძინებული ერის გამოფხიზლება... მოახერხა და ეროვნულ-ტრადიციულ-ზნეობრივ ფასეულობებზე ორიენტირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგინება-აღორძინების სურვილი გადასდო ლამის მთელ ერს... მოახერხა და საკუთარი ქარიზმიდან გამოსხივებული თავისუფლების, არა ფსევდო, არამედ ნამდვილი თავისუფლების იმპულსებით გაანათა მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის თვალსაწიერი... და, რაოდენ სამწუხაროა, რომ ის იმპულსები, ზვიადისეული იმპულსები თითქოს სადღაც გაჰქრა ახლა... რაოდენ სამწუხაროა, რომ ზვიადისეული ნამდვილი იდეალები ამჟამად ფსევდოფასეულობებითა ჩანაცვლებული მისი სათაყვანო ერის მნიშვნელოვან ნაწილში... რაოდენ სამწუხაროა, რომ ახლა, ეროვნულობის, მამულიშვილობის, ნამდვილ-პატრიოტობის მცნება გაუკუღმართებულია და დევალვირებული... რაოდენ სამწუხაროა, რომ ფსევდოპატრიოტები, ფსევდომამულიშვილები დღეს არცთუ იშვიათად ზვიად გამსახურდიაზე აპელირებით სპობენ, ანადგურებენ იმავე ზვიად გამსახურდიას საფიცარ სამშობლოს...

...და მაინც, არ მინდა დასასრული პესიმისტური გამომივიდეს... არ ვარ პესიმისტი და იმიტომ... თან მახსოვს, ვერ ვივიწყებ და პრინციპში არც მსურს დავივიწყო ზვიად გამსახურდიას საყვარელი ფრაზები, რომლითაც ის ძალიან ხშირად ასრულებდა თავის საჯარო გამოსვლებს:

„ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!"

„გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას მამულის გადასარჩენად!"

## ვისაც როგორც გსურთ ისე გიგეთ...

დიდი ბოდიშის მოხდით, ახლა აქ, ძალიან მოკლედ დავწერ ერთ რამეს და ვისაც როგორც გსურთ ისე გაიგეთ...

მაშ ასე. ყურადღებით ვაკვირდები ამ ბოლო დღეებში ინტერნეტში ატვირთული ტრადიციული თუ არატრადიციული სექსაქტების ამსახველი ვიდეოკადრების თაობაზე ატეხილ აჟიოტაჟს... ვაკვირდები ყოველივე ამაზე საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას... ვაკვირდები ხელისუფლების თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა კომენტარებს... მოვისმინე მურგვა მარგველაშვილის სამარცხვინო სიტყვებიც... ბოლოსდაბოლოს ამ ინტერნეტსივრცეში ზოგიერთი ჩემი ფბ მეგობრის კომენტარებსაც გავეცანი და... აი, უკვე, ცალსახად შემიძლია გამოვიტანო ასეთი სავალალო დასკვნა: ჩვენი ერის, ჩვენი საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი განურჩევლად მისი სქესისა თუ ასაკისა; მიუხედავად მისი განათლების დონისა თუ ამა თუ იმ სოციალური ფენისადმი მისი კუთვნილებისა — სამწუხაროდ არის მძიმე ავადმყოფი და ის სასწრაფოდ საჭიროებს თერაპიას!

ვიცი ჩემი ეს სავალალო დიაგნოზი სულაც ცალ ბორკზე ჰკიდია მავანს, მაგრამ მე ჩემი ვთქვი... ასე მგონია, რომ ამით ასე თუ ისე ვალიც მოვიხადე და გულზეც მომეშვა!

აწი, თუ ვინმეს ძალიან დიდი სურვილი გაუჩნდება ჩემი გაკიცხვის — გულწრფელად ვურჩევ, რომ ამას მაინცდამაინც სახურავზე ამძვრალი ნუ იზამს, არამედ, მშვიდად, ფრთხილად ჩამოძვრეს დაბლა და საკუთარი სურვილით ერთი სპეციფიკური დაწესებულების ბინადარის პერანგიც გადაიცვას!..

## რეპლიკა „სუხიშვილების" შოუ-მასკარადის გამო...

ვერა! მე ანგარიშს ვერ გავუწევ არსებული კონიუნქტურის სამარცხვინო რეალობას! ვერა! მე ვერ შევეგუები სულწაწყმედილი ალენ დალესის კაცთმოძულე დოქტრინის ბაცილით დასნებოვნებული ჰაერის სიმყრალეს! ვერა! მე ვერ შევძლებ ვიყო ამ ბითურულ-სიაფანდური შოუ-მასკარადების მეხოტბე და შევეკითხები „სუხიშვილების" ანსამბლის მთლიან შემადგენლობას: თქვენ კაი დედ-მამის და კაი ბებია-ბაბუის შვილებო თუ შვილთაშვილებო! შევარდნაძე-სააკაშვილის ქართველთმოძულე ხელისუფლებათა მმართველობის წლებში თქვენს სამშობლოში, ჩვენს სამშობლოში მოხდა აურაცხელი ტრაგედია-უბედურება! სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებიდან მოყოლებული რაგინდარა საშინელება არ დაატრიალეს ჩვენს ბედკრულ სამშობლოში კორდონებს გარედან წაქეზებულ-სტიმულირებულმა ადგილობრივმა მარიონეტმმართველებმა! ო, ღმერთო... შემზარავი, გაუგონარი დანაშაულიც კი ჩაიდინა ნაცხროვამ! ცოცხებით და ე. წ. დუბინკებითაც აუპატიურა ადამიანები!!! ჰოდა, გეკითხებით „სუხიშვილებო!" გეკითხებით ახლა! სად იყავით! სად იყავით მაშინ?! მე რაღაც არ მსმენია! რაღაც არ მახსოვს, რომ „სუხიშვილებს" საპროტესტოდ რაიმე ტიპის აქცია ჩაგეტარებინოთ! უფრო მეტიც, მე კარგად მახსოვს ზოგიერთ თქვენთაგანს პირდაპირ სცენაზე ატატებულს რომ დააპორწიალებდა ის ლობორდო ვითომპრეზიდენტი! მე კარგად მახსოვს ავლაბრის რეზიდენციის სახურავზე რომ დაჭენაობდით იმ უფშვიტინესგან ლაგამამოდებულები! მე კარგად მახსოვს მანიაკის გარემოცვაში თქვენი კისკის-ტკარცალი! გეტყვით, რომ გროშია თქვენი ცეკვების ღირებულება! ვის რაში სჭირდება თქვენი ხელოვნება ამის შემდეგ! და, თუ იცით რატომ?! მონები ხართ და იმიტომ! ფულის, კუჭის მონები ხართ და იმიტომ!.. თქვენ, ის ჯუა სავჩენკო კი არ გაინტერესებთ! თქვენ ის ბანდიტკა-ხახლუშკა რომ გაინტერესებდეთ — გეცოდინებოდათ, რომ ის სინამდვილეში ჩვეულებრივი კრიმინალია, რომ მის სინდისზეა ჟურნალისტების დაღუპვა და ის უნდა დაისაჯოს! თუმცა, შესაძლოა იცით ეს, მაგრამ თქვენ ხომ სხვანაირად არ შეგიძლიათ, რადგან როგორც ზემოთ გითხარით — მონები ხართ და ეს სამარცხვინო შოუ-მასკარადიც ოკეანისგაღმელთა მითითებით მოაწყვეთ! დიახ, აშშ-ს საელჩოდან შემოგითვალეს და თქვენც დაუყონებლივ შეასრულეთ ბრძანება! მიტანცავდ-მიტასავდ-მიტინგიცდით რუსეთის საელჩოსთან და, აი, ასე გაიბითურეთ თავი!..

აი, ესაა სულ რისი ართქმაც არ შემეძლო და ვთქვი კიდევაც!..

**ზურაბ კვარაცხელია,**
ზუგდიდი

---

## ძვირფასო თანამემამულენო!

გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 77-ე წლისთავს. გილოცავთ დაბადების დღეს ადამიანისას, რომელმაც თავისი განსწავლულობით, ღვთიური რწმენით, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულზე დაფუძნებული იდეოლოგიით ფაქტიურად შეცვალა არა მარტო ჩვენი ქვეყნისა და ყოფილი სსრკ-ში შემავალი ერების ბედი, არამედ თავისუფლად შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მსოფლიო პოლიტიკაშიც!

დღეს, აგერ უკვე 25 წლიანი გადასახედიდან აშკარად ჩანს, რომ ზვიად გამსახურდია ერთადერთი პოლიტიკოსი და პრეზიდენტია, ვინც 90-იან წლებში ღიად დაუპირისპირდა **"ახალი მსოფლიო წესრიგის"** დამყარებისათვის მებრძოლ მასონურ აშშ-დასავლეთს და ფაქტიურად, საკუთარი სიცოცხლეც კი გაწირა სამშობლოს დამოუკიდებლობის, პიროვნების, რწმენისა და ერების თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

ზვიად გამსახურდია, ფაქტიურად წინ აღუდგა მსოფლიო ჰეგემონიისთვის მებრძოლი აშშ-ს იმდროინდელი პრეზიდენტის, ჯორჯ (მამა) ბუშის დირექტივებს, რომელიც უკრაინაში ვიზიტის დროს თავისუფლების ნაცვლად სთავაზობდა დღეს უკვე ასე ყბადაღებულ **"დემოკრატიას"!** ჯორჯ ბუშის იმდროინდელი განცხადება **"ზვიად გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიცურავსო"**, სხვა არაფერი იყო, თუ არა მოწოდება აშშ-ს ვასალი დასავლეთ ევროპისადმი ბრძოლა გამოეცხადებინათ საქართველოს მოსახლეობის 87%-ის მიერ არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ! შედეგმაც არ დააყოვნა და მალე განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

მას შემდეგ გოლგოთას გზას ადგას სრულიად საქართველო!

ჩვენ, დღეისათვის სირიაში საერთაშორისო სამართლის ნორმების აღდგენისთვის მებრძოლებმა შევფიცეთ ჩვენს საყვარელ პრეზიდენტს, რომ ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე სამშობლოს გადასარჩენად და ყოველთვის ვიქნებით მისი გზის ღირსეული გამგრძელებლები. ამ გზაზე მუდმივად გვახსოვს ზვიად გამსახურდიას სიტყვები:

**"სახარების მიხედვით, სულიწმიდის მისია არის კაცობრიობის ცოდვათა ანუ "ყველა ენათა" ცოდვების მხილება. იგივე ეკისრება ქართველ ერს, რადგან საქართველო არის წილხვდომილი ღვთისმშობლისა".**

ჩვენი ბრძოლა დასასრულს უახლოვდება.

და აი, სულ მალე დადგება ის დღე, როდესაც საქართველო მთელი დიდებითა და სიამაყით წარუდგენს მსოფლიოს მის მიერვე აღიარებულ საერთაშორისო დოკუმენტს — საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელიც მიღებულია საქართველოს დამოუკიდებლობის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძელზე და დღესაც ძალაშია! სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზეა საქართველო აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით!

ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გარდაუვალია და სწორედ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების საერთაშორისო სამართლებრივი მემკვიდრეობის საფუძველზე უნდა მოხდეს!!!

კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს განმათავისუფლებლის, საქართველოს ეროვნული გმირის, საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას იუბილეს! მისი სახელი და დიდება ისევე უკვდავია, როგორც მის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილი **"საქართველოს სულიერი მისსია"** და თვით საქართველო!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გფარავდეთ ღმერთო!

სირიაში ზვიად გამსახურდიას ერთგული 3035 მებრძოლის სახელით:

**ლაშა გამსახურდია, მართა სავანელი, სანდრო მარიამიძე, სალომე მწითური, დავით ჯანდიერი, ბერდია ღუდუშაური,**

**ასევე კონსპირაციულად მცხოვრებნი გიორგი ჯაყელი და დავით გიგაური.**

**ოსი ეროვნების წარმომადგენლები — დიანა საკაშვილი, ეთერ ყარაულაშვილი, რამაზ თიგიშვილი, ნოდარ ქეთიშვილი**

სირია, დამასკო

# მისტიური ნოსირი — სიტყვები უძლებენ ათასწლეულებს

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

**პირველი** – ქართული **"პირველი"** ასევე **"აპრილი"**, რომელიც დაკავშირებულია ლათინურ **aprilis**-თან და შესულია მრავალ ინდოევროპულ ენებში. აპრილში ხდება სწორედ მცენარეთა აყვავილება, რუსული **первый**-პირველი, ინგლისური ფიორსტ-პირველი, ბერძნული პროტოს-პირველი, პრო-წინ, წინდაწინ, წინასწარ, ლათინური – პრაე პირველი წინმდგომი, საიდანაც მიიღება **ა** პრიორი-თავიდან. ყველა ამ სიტყვის ამოსავალია კოლხური პირუა – კვირტის სხმა, გაფურჩქვნა, აყვავილება.

სწორედ ამ სიტყვის ფუძე **"პირ", "პრ"** უზის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს ფუძედ და სწორედ მისგან მომდინარეობს ის სემანტიკური მნიშვნელობები.

**რეინკარნაცია** – რაც ნიშნავს გარდასახვას, გარდავლენას. რე-ინ-კონ-რინაცია (სხვა-ისევ-სიცოცხლე), ხოლო მორფემა **"ცია"** არის ლათინურის დამახასიათებელი სუფიქსი. აქ მორფემა **"კა"**-ს პროტოტიპი რომ ნამდვილად **"კონ"**-ია, სჩანს სხვა არანაკლებ საინტერესო სიტყვიდან **კარაბადინი**, რომელიც სინამდვილეში არის კონრე-ბადინი (ისევ არის დაბადება), რაც ზუსტად შეესაბამება ამ სიტყვის მნიშვნელობას.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ჩვენი ეს ეტიმოლოგია ჭეშმარიტია, რაშიც ღრმად ვართ დარწმუნებული, მაშინ გამოდის, რომ კოლხებს ღრმად სწამდათ სულთა გარდავლენისა და კიდევ მეტი, ტერმინი, რომლითაც დღევანდელი ცივილიზებული საზოგადოება აღნიშნავს ამ მოვლენას, კოლხების შედგენილია.

**რჩქილა** – ამ სიტყვას მეგრულში აქვს შემდეგი მნიშვნელობები. 1. ყურება, ცქერა; 2. მოსმენა; 3. გაგება, როგორც ქართულში, ასევე რუსულში, ასევე ინგლისურში და სხვა ენებშიც ამ ცნებებს (ყურება, სმენა, გაგება) გააჩნიათ შესაბამისად სხვადასხვა ტერმინები. თეოსოფიურ ტერმინებს: იმაგინაციას, ინსპირაციას და ინტუიციას გააჩნიათ შესაბამისად შემდეგი მნიშვნელობები: 1. იმაგინაცია – როცა უბრალოდ ხედავ, 2. ინსპირაცია – როცა ხედავ და გესმის და 3. ინტუიცია – როცა ხედავ, გესმის და გებულობ (ე.ი. ხედავ ჭეშმარიტებას).

მხოლოდ მეგრულში ეს სამი გამოითქმის ერთი სიტყვით (რჩქილა), რაც ნიშნავს იმას, რომ ხალხს, რომელიც ამ ენაზე მეტყველებდა და მეტყველებს დღესაც, ჰქონდა და აქვს ინტუიციის (ანუ ჭეშმარიტების ხედვის) უნარი და მითუმეტეს იმაგინაციის და ინსპირაციის.

**საკმეველი** – ქეგლ. ტროპიკული ხის გამონაჟონი სურნელოვანი ფისი, რომელსაც ეკლესიაში აკმევენ მღვდელმსახურების დროს.

რაც შეეხება თვითონ სიტყვა **"კმევას"**, ის ნიშნავს საკმევლის კვამლის დაყენებას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ძველქართულად ეს სიტყვა გამოითქმოდა, როგორც **"საკუმეველი"**, მაშინ ძნელი არაა მის ძირში დავინახოთ **"კუმ"** ფორმა, ხოლო **"კუმა"** მეგრულად ნიშნავს კვამლს. აქედან ცხადი ხდება, რომ საკმეველი იყო მართლაც კვამლის დასაყენებელი და აშკარაა მისი კოლხური წარმომავლობა.

**სოდომი** – ბიბლიური ლეგენდით, პალესტინის ძველი ქალაქი, რომლის მაცხოვრებლებიც გამოირჩეოდნენ უკიდურესი გარყვნილებით, რის გამოც ღმერთმა ისინი დასაჯა და გაანადგურა ეს ქალაქი მიწისძვრითა და ცეცხლოვანი წვიმით. აქედანაა გამოთქმა **"სოდომი"**, რაც ნიშნავს უწესრიგო, გარყვნილ ცხოვრებას.

მეგრულად **"ცოდამი"** ნიშნავს ცოდვიანს და აქ უბრალო დამთხვევასთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე, რადგანაც კოლხური ტომების განსახლება პალესტინის ტერიტორიაზე ცნობილი ფაქტია, რაც არა მარტო ამ სიტყვის ეტიმოლოგიით მტკიცდება.

**Ученый** – სწავლული, მეცნიერი, ჩვენი აზრით მეცნიერი არის და უფრო ადრეულ ხანაში იყო ის პიროვნება, რომელიც უჩანდუ (უჩანს) გურს, ანუ ხვდებოდა ბუნების სხვადასხვა საიდუმლოებებს გულით (გულზე შეკითხვით). მაგალითად, როცა კაცს ეუბნებიან, რაღაც გავაკეთოთ, ქართულად პასუხი იქნება: **"მოვიფიქრებ"**, რუსულად **"подумаю"**, ხოლო მეგრულად **"გუჩანქ გურს"**, ანუ გულს დავეკითხები. ეს ნიშნავს, რომ მეგრელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გულსა და არა თავს. ასე, რომ სიტყვა **Ученый** ის პროტოსლავიანური სიტყვაა, ანუ ის მოსკოვიტიანური, მოსკოვური, მესხური სიტყვაა, რომელიც როგორც ერთ-ერთი რუდიმენტი შემორჩა დღევანდელ რუსულში. აქედანაა წარმოებული მისი მსგავსი სიტყვები: **Учитель, ученик** და სხვა.

**ფლორა** – როგორც ცნობილია ძველრომაულ მითოლოგიაში აღნიშნავდა ყვავილების, გაზაფხულისა და ახალგაზრდობის ქალღვთაებას. ასევე ნიშნავს საერთოდ მცენარეთა სამყაროს.

ერთხელ ჩემმა მეგობარმა შენიშნა, რომ ფლორა ფალორადან ხომ არ გამოდის და ფალუასთან (აყვავებასთან) ხომ არ არის დაკავშირებულიო. მეც დავადასტურე და რა თქმა უნდა ეს ასეა, მაგრამ ვფიქრობდი რომ ეს ბოლო მარცვალი "რა" რას უნდა წარმოადგენდეს. ბოლოს ყველაფერი დალაგდა და საბოლოოდ გამოვიდა სიტყვა **"ფალირი"**, რაც მეგრულად გაფურჩქნულს, აყვავებულს ნიშნავს.

გაზაფხული ხომ სწორედ აყვავილებასთანაა დაკავშირებული და მხოლოდ მცენარეთა სამყაროა ასოცირებული გაფურჩქვნასთან და აყვავილებასთან. ასე რომ ეს ეტიმოლოგია ჩვენის აზრით ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

**ღვარი** – ქეგლ. დიდი წვიმის ან თოვლის დნობისას მოვარდნილი წყალი. მოვარდნილი წყალი, რომელიც ყვირის, ღრიალებს (ღვარა – ყვირილი, ღრიალი). შეადარე მდინარე **"ყვირილა"**. ამ სიტყვის არსი დაკავშირებულია წყლის ხმაურთან, ყვირილთან (ღვარასთან), რომელიც არის ჩვენი აზრით ამ სიტყვის ეტიმოლოგია.

**შრომა** – ძველქართულად არის შურომა. ფუძე არის **"შურ"**. შურ-ი მეგრულად ნიშნავს სულს და ამიტომ ჩვენი აზრით შრომა (შურ-ომა) არის სულის მოქმედება, სულის ჯაფა, გარჯა. შურ-ების **"შრომობს"**, **"აკეთებს"**. აქ შეიძლება იმ პერიოდის გამოძახილთან გვქონდეს საქმე, როდესაც ადამიანის ძირითადი ფუნქცია სულიერი გარჯა იყო. ფიზიკური შრომით კი არ იყო დატვირთული, არამედ სწორედ სულიერება, ღვთაებრიობა იყო მისი ძირითადი ინტერესი და ამ მიმართულებით ის დიდ წარმატებასაც აღწევდა. ჩვენი წინაპრების მოღვაწეობა რომ სულიერებასთან იყო დაკავშირებული, ამას ერთხელ კიდევ ამტკიცებენ სიტყვები **"მა-შურ-ალი"** და **"დამა-შურ-ალი"**, რაც დაღლილს, დაქანცულს, გარჯილს ნიშნავს, საიდანაც უკვე ცხადია, რომ აქ ფიზიკურ დაღლასთან კი არა გვაქვს საქმე. არამედ სწორედ სულიერთან. აი, ასე გვესახება ამ სიტყვათა წარმომავლობა.

**Чулан** – ეს რუსული სიტყვა ქართულად ნიშნავს საკუჭნაოს. **"ჩუალა"** მეგრულად ნიშნავს შენახვას, დაცვას, დამალვას, გაფრთხილებას. **"ჩუალირი"** – შენახულს, დაცულს, **"ოჩუალი"** – შესანახს, აქედან გამომდინარე ამ სიტყვას მეგრულში ყველა ის თვისება გააჩნია, რაც ზედმიწევნით მიესადაგება საკუჭნაოს. ასე, რომ სავსებით შესაძლებლად გვეჩვენება, რომ ეს სიტყვა რუსულში კოლხურიდან ნასესხობად მივიჩნიოთ.

**ჩურჩხელა** – ყოველთვის მაინტერესებდა თუ რატომ ჰქონდა ამ უგემრიელეს ჩაროზს ასეთი უცნაური სახელი. ერთ მშვენიერ დღეს კი ყველაფერი გასაგები გახდა. თურმე ჩურჩხელა მიღებულია მეგრული ფრაზისგან ნჩური-ჩხელას, რაც ნიშნავს ცურვილი (გასცურე) – ცხლად. მართლაც ნიგვზით ან თხილით დატვირთულ ასხმულას ხომ ცხელ თათარაში ამოაცურებენ, რომლის შედეგად მიიღება ჩურჩხელა. აი, ასე გაიხსნა ამ უცნაური სიტყვის საიდუმლოება.

**ცეფალი** – ბერძნულად ნიშნავს თავს. ის ასევე შეიძლება წაკითხულ იქნას როგორც კეფალი (კეპლარე). სიტყვებში დოლიქოცეფალი (გრძელთავიანი) და ბრაქიცეფალი (მოკლეთავიანი) ამ სიტყვათა მეორე ნაწილი **"ცეფალი"** თავს ნიშნავს, მაგრამ თუ ბერძნული ენის ზღვარს გადავცდებით და პელაზგურ-კოლხურ ნათესაობას გავიხსენებთ, მაშინ ჩვენი აზრით აქ არც **"ცეფალი"** უნდა იყოს და არც **"კეფალი"**. არამედ სიტყვა **"გეფალი"**, რაც მეგრულად ნიშნავს **"აღმოცენდი"**. მართლაც ქალის საშვილოსნოში ემბრიონის უდიდეს ნაწილს თავი წარმოადგენს, სადაც (საშვილოსნოში) ხდება მისი **"ფალუა"** (აღმოცენება).

აქვე, რადგანაც ვახსენეთ სიტყვა დოლიქოცეფალი, საკითხს ოდნავ გადვუხვევთ და გავიხსენებთ თუ რას წერს ივ. ჯავახიშვილი თავის **"ქართველი ერის ისტორიაში"** 1908წ. გვ. 54-55. "**კავკასიის უძველესი მკვიდრნი თავგრძელები ყოფილან** (ეს კავკასიის თავდაპირველი მცხოვრებნი პროფ. ვირხოვს წმინდა არიელ ხალხად მიაჩნია) **და ქართველები მერე მოსულან კავკასიაში. ქართველების უძველესი კვალი კავკასიაში არ უნდა ვეძებოთ"**. მაშინ, როდესაც ჯავახიშვილი მთლიანად იმეორებს და ენდობა პროფ. ვირხოვს და ქართველებს საქართველოში მოსულებად თვლის, მოვიყვანოთ ამონარიდი გივი ჟორდანიას წიგნიდან **"მეხურელნი"** გვ.180-182.

**"შესაძლებელია ხური ხალხისა (ხურიტები) და მათი ქვეყნის სახელწოდება "მოხირისის", "მუხურის" ფორმით, შემონახულია დასავლურ-ქართულ ტოპონიმიკაში, დასახლებული ადგილების, მთის, მდინარეების სახელწოდებაში და გავრცელებულია ფართო რაიონზე, მდ. რიონის ჩრდილოეთით, მდ. ზუსას დასავლეთით ვიდრე შავ ზღვამდე, მდინარეების რიონის, ზუსას, ხობის, აბაშის, ენგურის, ოქუმის, ბზიფის მიდამოებში. ასევე შესაძლებელია ხური (ჰური) ხალხისგან წარმოსდგებოდეს ჯავახეთის ციხე-ქალაქი ჰურის (ქაჯთა ქალაქის) სახელწოდებაც"**.

**"მუ-ხური"**, რომლის ფუძეა **ხური** ამავე დროს აღნიშნავს **"მხარეს, კუთხეს, კუნძულს, ქვეყანას"**, მაგალითად განარჯიაშ – მუხური, ხიტუშ-მუხური და სხვა მრავალი მუხური.

საბოლოოდ ჟორდანია ასკვნის, რომ არსებობდა დიდი ნათესაური კავშირი ძველი ხური-ურარტულისა და უძველეს ქართულ კულტურათა შორის, რაც არაერთხელ გამოითქვა მთელი რიგი მკვლევარების მიერ.

მოვიყვანოთ ამონარიდი დიდი საბჭოთა ენციკლოპედიიდან: **"Термин "Арийцы" обычно связывают с древне индиским словом" арья (благородные) * по мнению акад, В, В, Струве, он древнее и восходит к названию неиндоевропейских хуритских народов (Б. С. Э.) Т. 3. стр, 3.**

აქედან გამომდინარე თუ დავაფიქსირებთ იმასაც, რომ დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი ჩვენის დაკვირვებით, უმრავლესობა დოლიქოცეფალები არიან და მით უმეტეს ადრე მეტად იქნებოდნენ, რადგან დროთა განმავლობაში ხდებოდა აღრევა ადგილობრივისა და მოსულებს შორის, ზემოთ მოყვანილი ამონარიდებისა და უბრალო ასოციაციის კანონზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭეშმარიტი არიელები (ანუ გრძელთავიანები) კოლხები იყვნენ და ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბერძნულში არსებული სიტყვა თავის (ცეფალი, კეფალი) ჩვენეული ეტიმოლოგია ისევ კოლხეთთან არის დაკავშირებული.

**ხარაგოული** – რაიონული ცენტრი დასავლეთ საქართველოში, რიკოთის უღელტეხილზე. ჩვენი აზრით ეს ოიკონიმი შეიძლება აიხსნას შემდეგნაირად: ხარა (ხარუა) – გოული, რაც მეგრულად ნიშნავს **"გაკვალვით გავალ"** ეს უნდა იყოს უძველესი სიტყვა, შეიძლება იმ დროინდელიც კი, როდესაც დასაავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ისეთი გზით (მთელი ეს ტერიტორია დაფარული იყო გაუვალი ტყით), რომელზედაც შეეძლოთ ემოძრავათ სხვადასხვა სახის ქარავნებს, არამედ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ საცალფეხო ბილიკები, აქედან გამომდინარე თვითონ ამ სიტყვაში ძევს ის ინფორმაცია, რომ გადასვლა ამ უღელტეხილზე მხოლოდ გაკვალვით შეიძლებოდა.

ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ **"ხარუა"** ნიშნავს ასევე გაფატვრას, ანუ გახსნა. ხომ არ ადასტურებს ამ სიტყვის ასეთნაირად ახსნა საყოველთაოდ ცნობილ იმ ჰიპოთეზას, რომ სწორედ ხარაგოულის რაიონის სოფელ ნუნისში არსებობს მიწისქვეშა სივრცე და თუ ამ სოფელში არსებულ დაგმანულ ზღუდეს გახსნი (გოხარ-უნქ), მოხვდები მასში, რასაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ.

ხოლო რაც შეეხება თვითონ სიტყვა **"რიკოთს"**, ეს არის **"იკორთა"**-ს სახეცვლილი ფორმა, ხოლო **"იკორთა"** მეგრულად ამაღლებას ნიშნავს. მართლაც ეს ადგილი წარმოადგენს უღელტეხილს, გადასასვლელს და ამიტომაც ის უფრო ამაღლებულია ვიდრე, როგორც კოლხეთის დაბლობი, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ბარი.

**ხვამლი** – როგორც ცნობილია პრომეთემ ცეცხლი მოიტაცა ოლიმპოდან და ადამიანებს გადასცა, ცნობილია გამოთქმაც **"პრომეთეს ცეცხლი"**, რაც კულტურის წინსვლის, ნიჭისა და განათლების სიმბოლოა. ამისთვის ზევსმა პრომეთე, იგივე, ამირანი კავკასიონის მაღალ მთაზე (ხვამლის მთაზე) მიაჯაჭვა. ძველი ბერძნები პრომეთეს მითს კავკასიურად თვლიდნენ (ჰესიოდე, ესქილე, სტრაბონი, არიანე და სხვა). ამირანი რომ პრომეთეს პროტოტიპია, ეს იმ უბრალო ლოგიკიდანაც გამოდის, რომ ამირანი ადგილობრივი, კავკასიური მითიური გმირია და მას პრომეთეს მსგავსად არ სჭირდება საბერძნეთიდან კავკასიაში გადაადგილება. ესეც რომ არ იყოს, მთავარი არის ის, რომ სიტყვა ხვამლის ფუძისაა სიტყვა ხვამილაფა, რაც მეგრულად ტაცებას, გატაცებას, მოტაცებას ნიშნავს. აქ ჩვენი აზრით სწორედ ამირან-პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტაცება უნდა ვივარაუდოთ, რომლის გამო ღმერთმა ამირანი დასაჯა და იმავე სახელწოდების (ხვამლის) მთაზე მიაჯაჭვა.

მეორე მხრივ **"ხვამილი"** მეგრულად ნიშნავს **"დალოცვილს"** და ჩვენი აზრით ეს მთა იყო დალოცვილი იმის გამო, რომ აქ, ამ მთაზე მოხდა ამირანის მიერ ცეცხლის მოტაცება (ხვამილ-აფა) და მისი კაცობრიობისათვის გადაცემა.

**ხუ** – მეგრულად ნიშნავს **"ცალი პეშვი"**, **"მუჭი"**, **"ბღუჯი"**, საიდანაც უნდა გამოდიოდეს რიცხვითი სახელი **"ხუთი"**.

არსებობს გამოთქმა **"ერთი მუჭი"**, რაც ძალიან ცოტას ნიშნავს, მართლაც თუ გავშიფრავთ ამ სიტყვას, როგორც მუ-ჭი (მუ-ჭიჭე-რა პატარა) მივიღებთ ზუსტ აზრობრივ დამთხვევას, ხოლო რაც შეეხება სიტყვას **"პეშვი"**, იგი ასევე ასოცირდება მეგრულ სიტყვასთან **"გეშვი"**, რაც ნიშნავს **"დალიე"** და მართლაც პეშვით წყლის სმა არის კაცობრიობის უძველესი მეთოდი, რომელიც სათავეს იღებს უხსოვარ ხანაში.

ჩვენ შეჩვეული ვართ იმ აზრს, რომ ევროპული ენების უმრავლესობის ძირები ძველ ბერძნულსა და ლათინურში უნდა ვეძებოთ. ეს სტერეოტიპი ისე არის გამჯდარი თანამედროვე ადამიანის გონებაში, რომ მისი შერყევა ძალზედ ძნელია. ჩვენი სტატია, რომელიც არ არის პირველი ამ მიმართულებით, ამკვიდრებს აზრს, რომ თვითონ ეს ენები (ბერძნული და ლათინური) თავის მხრივ კოლხურ ფუძეებზე არიან აგებულნი და ვფიქრობთ დადგა ის ჟამი, როდესაც მრავალსაუკუნოვანი სტერეოტიპები, რომლებიც გამჯდარი იყო ევროპელი ადამიანის გონებაში უნდა დაინგრეს, ისევე, როგორც დაინგრა სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ბიბლია დაწერილია ებრაელების მიერ, ხოლო შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ კი არ დაწერეს, არამედ გადაწერეს ბიბლიის ტექსტები.

ზემოთ მოყვანილი სიტყვების ეტიმოლოგიებიდან უმრავლესობის მართებულობაში დარწმუნებული ვართ, ხოლო ზოგიერთი ვერსიების დონეზეა მოცემული, თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ აქ უბრალო დამთხვევები არ უნდა იყოს. ვნახოთ, დრომ განგვსაჯოს.

**ნუგზარ კვაშილავა,**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# გლეხები საჯარო რეესტრის შესახებ კანონში ცვლილებას არ ემხრობიან



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობა **"საჯარო რეესტრის შესახებ"** კანონში ცვლილებების შეტანის კატეგორიული წინააღმდეგია. საუბარია ცვლილებაზე, რომლის თანახმად, მიწის ნაკვეთი, თუ ის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, სახელმწიფო დაირეგისტრირებს და მისი განკარგვა ან სარგებლობაში გადაცემა ერთი წლით შეიზღუდება. ამასთან, საკანონმდებლო ცვლილების მიზანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შესახებ სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნის უზრუნველყოფა და ამ გზით უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.

ახლანდელი მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის ხარჯი 1 ჰა ნაკვეთზე საშუალოდ 300 ლარს შეადგენს. რაც, როგორც საინფორმაციო სააგენტო **"ლაივპრესს"** აღნიშნული რაიონის მცხოვრებლებმა უთხრეს, ერთ-ერთი მიზეზია საკუთრებაში არსებული ნაკვეთების საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლად სარგებლობისა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ლიაში მცხოვრები ელისო მეუნარგია ამბობს, რომ მას დაახლოებით 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აქვს, რომლის მხოლოდ ნაწილია რეგისტრირებული.

**"როგორ გადავიფორმო? თუ ფული იქნება და თუ კანონი იქნება, რატომაც არ მინდა?! დაკანონებული იქნება... ახლა საშუალება არ მაქვს და როგორ უნდა დავარეგისტრირო?!"**, – უთხრა **"ლაივპრესს"** ლიის მკვიდრმა, შუახნის ქალმა.

ანაკლიაში მცხოვრები ლია ეხვაია ამბობს, რომ წლების განმავლბაში საკურორტო ზონად წოდებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის დიდი ნაწილი სურვილის მიუხედავად მიწის დარეგისტრირებას ვერ ახერხებდა, რადგან პროცესი საჯარო რეესტრს ჰქონდა შეჩერებული.

**"სამოსახლო მიწა მაქვს, ახალი მიწაა და ვერ გამიფორმეს არ არისო გაფორმებაო. ადრე რამდენჯერმე მივედი, ახლა ამ პერიოდში არ მიცდია... ჩვენც ველოდებით გაფორმებას. ბევრი მიწაა ისეთი, რომელიც არ არის გაფორმებული. შემოსავალი, როცა არაფერი არ გაქვს 100 ლარი რომ იყოს, ისიც ძვირი არ არის?"**, – თქვა ანაკლიის მკვიდრმა.

72 წლის კაკო მალანია ამბობს, რომ მიწები წინაპრებისგან ერგო და ადრე სოფლის საბჭოში ჰქონდა გაფორმებული.

**"100 წელია ალბათ მიწა მაქვს, რომელიც ბაბუაჩემის ბაბუასი იყო და "კოლხოზმა" ეს კარგად იცოდა და გადასახადს ვიხდიდით. ვინც უნდა ის მოვიდეს, ადრე სოფლის საბჭოში იყო გაფორმებული და ეს საკმარისი იყო. ყველას უნდა დარეგისტრირება და დაურეგისტრირონ. ფული არ არის და უჭირს ხალხს"**, – ამბობს კაკო მალანია.

ჩვენს მიერ გამოკითხული სოფლელები ამბობენ, რომ საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ ინფორმაციაც არ აქვთ.

საჯარო რეესტრის შესახებ კანონში შესატანი ცვლილების პროექტს უარყოფითად აფასებს საქართველოს სახალხო დამცველი. უჩა ნანუაშვილი სახელმწიფო საკუთრებად მიწების რეგისტრაციის პროცესის მეტ გამჭვირვალეობას ითხოვს.

ომბუდსმენის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ **"კანონპროექტი არ ემსახურება უძრავი ქონების პირველადი რეგისტრაციის კუთხით არსებული პრობლემების გადაწყვეტას, პირიქით, სერიოზულ ზიანს მიაყენებს საქართველოში საკუთრების უფლების რეალიზაციას"**.

ცვლილებების ასევე კატეგორიული წინააღმდეგია არასამთავრობო ორგანიზაცია **"საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"**. იგი მოუწოდებს მთავრობას **"გამოიხმოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც შეიცავს კერძო პირების ინტერესების არამართლზომიერი შეზღუდვის მნიშვნელოვან საფრთხეებს და უარი თქვას პრობლემის ნაჩქარევი და ზედაპირული გადაწყვეტის გზაზე"**.

კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს შარშან დეკემბერში წარედგინა. კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა, ხოლო ავტორი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

თამარ ზანთარაია

# უფალო, იხსენ ჩვენი სამშობლო!

**ქართველნო, თქვენ, თვალს არიდებთ მარნეულის გზაზე მდგარ ქართვლის დედას და გაფრთხობთ მისი მუხლჩაბიჯგული ალგეთელი ლეკვების დანახვა, რომლებიც მახვილს გაწვდიან და გეძახიან: "ისე, არ ამოწყდეთ ქართველნო „ჯავრნი არ სჭამოთ მტრისანი"-ო? ბედნიერია ადამიანთა კატეგორია, რომელთაც, არა თუ ომი, თოფის ხმაც არ გაუგონია არასდროს. ჩვენც გვწყუროდა მშვიდი სიცოცხლე, მაგრამ ოცი წელია, იარაღი არ გაგვიგდია ხელიდან. ვინ მოსთვლის, რამდენმა ქარიშხალმა გადაიარა ჩვენზე. რამდენი სასოწარკვეთა, რამდენი იმედგაცრუება... ყველაზე ლამაზი წლები ომს შევალიეთ, ნახევარი ცხოვრება საქართველოდან მოშორებით გავატარეთ, თითქმის ნახევარი მსოფლიო მოვიარეთ და ჩვენი ქართველობა და ღირსება არასდროს დაგვიკარგავს. ინგლისის, ამერიკის, ავსტრია-გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის თუ ავსტრალიის მთელს სიმდიდრეს – ქსნის, არაგვის, მტკვრის, ლიახვის, ალაზნის, რიონის თუ ენგურის ჭალებში დაგდებული ერთი ხავსიანი ლოდი გვირჩევნია. არის კი, მსოფლიოში ადგილი, რომელიც სამშობლოს შეცვლის. ჩვენი მიწა, რომელიც გვაკავშირებს წასულთან, აწყმოსთან და მომავალთან, სადაც თაობები საუკუნეების განმავლობაში აშენებდნენ არამარტო აგურის და ქვის საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებს, არამედ, ერთმანეთის სიყვარულზე დაფუძნებულ ადამიანურ ურთიერთობებს, თავდადებას და სამშობლოს სიყვარულს. ტირან შევარდნაძის, სიგუას, იოსელიანის, გულუას, კიტოვანის ხუნტამ სული წაგვიბილწეს ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში. იმ სისასტიკემ ანდერძი აუგო ახალგაზრდობას, ჩვენი თაობა, შავბნელ დროს გაიზარდა – შეურაცხყოფილ, ანექსირებულ, სისხლისგან დაცლილ ქართველ ადამიანს უკვე ყველაფერი გადახდა, ყველაფერი იგრძნო, აიტანა, გამოიტირა. იბრძოლა, მაგრამ ბოლოს, თითქოს, მაინც, დამორჩილდა, რომელიც გულგრილობას ჰგავს, ისე როგორც, სიკვდილი – ძილს. ომში დამარცხება და განსაცდელი ჭედავს ერის რჩეულთ. იგი ალაგებს ადამიანებს სულიერი ღირსების მიხედვით. ცალკე არჩევს წმინდასა და მტკიცეს და კიდევ უფრო, განწმენდს და განამტკიცებს მათ. მაგრამ, ამასთანავე, აჩქარებს დაღუპვას. ამიტომაც, ხალხს უდიდესი მასა დაეცა, დაშორდა რჩეულთ. აღარავის აქვს ნდობის, თანაგრძნობის გამოჩენისა და ერთობლივი მოქმედების სურვილი. მხიარული, გულღია, უდარდელი და სახეგაბრწყინებული ხალხის ნაცვლად – გულჩათხრობილი, განმარტოვებული, მოჩვენებით ოპტიმიზში, სინამდვილეში კი, ღრმად წყნარ პესიმიზმში ჩაძირული ადამიანები მივიღეთ. უფრო იოლია მათი მოსყიდვა, ვიდრე აზრის შეცვლევინება. ყველაზე საშინელება კი ისაა, რომ ადვილად დავკარგეთ ყველაფერი ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა ძნელად მოიპოვეს. დღევანდელი თაობის გარკვეული ნაწილისათვის ცხოვრების იდეალად ლხინი და დროსტარება გამხდარა. ძნელია მოიძებნოს შესაფერისი სიტყვები იმ დუხჭირი ვითარებისთვის, რაც ჩვენ დაცემულ ქვეყანაში გამეფდა ყოველ სფეროში, ყოველ უბანზე: თვითნებობა, უკანონობა და ქაოსია მოძალებული, ვითარც მარადიული თანამგზავრი სიღატაკისა, ჭირის და ძალადობისა. სიღატაკის ტრიუმფმა დააქვეითა ზნეობა. სადაც კანონი არ კანონობს, იქ, საზოგადოების მოქმედება ცხოველურ ინსტიქტებს უახლოვდება. მოგმართავთ, ქართველ ახალგაზრდობას, სტუდენტებს – გაიზიარეთ ერის სირცხვილი. ეცადეთ, გავლენა მოახდინოთ მის ბედზე. ერი განუყოფელი უნდა იყოს თქვენგან, ისე როგორც, თქვენ ხართ მისგან განუყოფელი. არ გაიზიარებთ მის დაცემას, მის შერცხვენას? ბედის ანაბარა მიატოვებთ ერსა და სამშობლოს? მაშინ ის დაღუპება. თქვენ კი, მარტო განაგრძობთ სიარულს, შეიძლება დიდებით მოსილნი, მაგრამ მკვდარზე უფრო გამოუსადეგარნი. ვერცერთი თაობა ვერ ასცდება თავის წინაპრების მკაცრ სამსჯავროს. იცოდეთ, ქართველთა ღვთაების სუსხიან განაჩენს ვერსად წაუხვალთ! სამშობლოს მოღალატე, ამ ქვეყნად უმკაცრესი სასჯელის ღირსია! იცოდეთ, ჩვენ დავბრუნდებით ბოროტების დასათრგუნად! ქართველნო! მასონი ამერიკელები დაუნდობლები და ულმობელები არიან! მათ ხანძრის ალში გაახვიეს მთელი სამყარო. მათ მსოფლიოს პროგრესისა არაფერი სწამთ, შეგნებას მოკლებულები არიან. გულიდან განდევნილი აქვთ ყოველგვარი ადამიანური გრძნობა. აშშ და დასავლეთი ძარცვავს და ანადგურებს დანარჩენ მსოფლიოს. რა ეშმაკი შეგიჯდათ! გონს მოდით! დუმილი ღმერთის ღალატია და ნუ ელით, რომ ღმერთი გადმოგხედავთ, აღსდექით, გაერთიანდით, ჩვენი მისია შევასრულოთ და გავანთავისუფლოთ სამშობლო მასონური ამერიკა-ევროპისა და სისხლისმსმელი ქართველი მოღალატეებისაგან. საქართველოს უნდა მართავდეს არა რომელიმე ქვეყნის დასმული და მათი ინტერესების გამტარებელი ადამიანი ან, ადამიანთა ჯგუფი, არამედ ისინი, ვინც ნებისმიერ დიდ მოთამაშესთან, მხოლოდ, საქართველოს ინტერესებით იხელმძღვანელებენ.**

**მასონური აშშ და მასონური ევროკავშირი საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ იყენებს. ქართველნო, ერთმანეთში ნუ ავურევთ პოლიტიკას და დიპლომატიას. რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენივე სამშობლოსთვის გარდაუვალად აუცილებელია! დიპლომატიური ურთიერთობა უნდა აღსდგეს ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადავდგათ ნაბიჯი. რუსეთი სირიაში მასონების დაქირავებულ ტერორისტებს ებრძვის. სინამდვილეში ეს ბრძოლა არის დაპირისპირება ზნეობასა და უზნეობას, ეროვნულობასა და გარყვნილ კოსმოპოლიტებს შორის. ქართველნო. დავფიქრდეთ – სად ურჩევნია საქართველოს. მასონური ამერიკის და ე.წ. ევროპული ღირებულებების დასავლეთში, რაც პირველ რიგში ერთსქესიანთა ქორწინების ანუ, სოდომ-გომორული ცოდვის დაკანონებას ნიშნავს, თუ ერთმორწმუნე რუსეთის ეგიდით შექმნილ ევრაზიულ კავშირში (თანასწორად და არა, მონად), სადაც ეკონომიკურის გარდა, სხვა, გაცილებით ღირებული სარგებელი გველის: შევინარჩუნებთ მართლმადიდებლობას, ეროვნულ თვითმყოფადობას, აფხაზეთს და სამაჩაბლოს დაბრუნების შანსს. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო და ყველა საღად მოაზროვნე მსოფლიოში!**

**ამინ!**

**საქართველოს ერთადერთი და კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას კავკასიის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის 3035 მებრძოლის სახელით:**

ლევან ზაალიშვილი,
ლაშა გამსახურდია,
მართა სავანელი,
სალომე მჭითური,
დავით ჯანდიერი,
სანდრო მარიამიძე
სირია, დამასკო

# ქურდია ეგ თქვენი ჯოზეფ დაული, ნაცანალებო!

ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის ჯოზეფ დაულის სკანდალური განცხადების შემდეგ, სადაც მან ღიად გამოხატა მხარდაჭერა დანაშაულებრივი ორგანიზაცია **"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"** მიმართ და ციხეში მოინახულა პირწავარდნილი კრიმინალები ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და ბაჩანა ახალაია, ბუნებრივია, გაგვიჩნდა იმის ინტერესი, რომ გაგვერკვია, თუ ვინ არის და რას წარმოადგენს ეს ჯოზეფ დაული. ინტერესი კი განპირობებული იყო დაულის საკმაოდ აუხსნელი თავგამოდებით ნაციონალების სასარგებლოდ და მაღალი რანგის პოლიტიკოსისათვის სავსებით არაკორექტული გამონათქვამებით იმის თაობაზე, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონიერად ჩაატარებდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს. სტრიქონებს შორის კი აშკარად გამოსჭვივოდა არაჯანსაღი აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას მიიღებდა ამ არჩევნებში მხოლოდ ნაციონალების გამარჯვების შემთხვევაში.

ძალაუფლებისადმი მანიაკალური სწრაფვის მქონე ნაცებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მათთვის მთავარია არა საქართველოსა და ქართველი ხალხზე ზრუნვა, არამედ სახელისუფლებო ბერკეტების კვლავ ხელში ჩაგდება, რათა ამ ეთნიკურად არაქართველმა დაშნაკებმა ძველებური მონდომებით გააგრძელონ ქვეყნის ყვლეფა და განადგურება.

და როცა დავადგინეთ, თუ რას წარმოადგენდა ნაციონალთა არამკითხე დამცველი ჟოზეფ დაული, ჩვენთვის ნათელი გახდა, თუ რატომ ეხმარება ეს მექრთამე არარაობა ასე თავგამოდებით ნაცდაშნაკთა დანაშაულებრივ ორგანიზაციას!

თაღლითობის საკმაოდ მძიმე ბრალდებით ჯოზეფ დაული გამოძიების ქვეშ იმყოფებოდა საფრანგეთში, სახელმწიფო ქონების გაფლანგვისთვის. მასზე აღძრული იყო საქმე ჯერ კიდევ 1990 წელს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფულის, 16 მილიონი (10.6 მილიონი ფუნტი სტერლინგი) ევროს მითვისებაზე, რომელმაც მანამდე სამი ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი აცდუნა. მის წინააღმდეგ გამოძიება 2004 წელს დაიწყო, სავარაუდოდ, თანხების ფერმერთა კავშირის, FNSEA-ს დასაფინანსებლად გამოყენების და მისი თანამშრომლებისთვის თანხების გადახდის გამო.

ამ ელზასელი ფერმერისათვის არაფერი ადამიანური, უფრო სწორად, უწესო თაღლითისათვის დამახასიათებელი ნიშანი – უცხო არ არის.

გაიშიფრა ჯოზეფ დაული და უკან დახევა მოასწრო დროულად, რითაც კიდევ ერთხელ ჩაიფუშა ნაციონალების ნაძირალური სვლა – ჩრდილი მიეყენებინათ პოლიტიკური ოპონენტებისათვის!

ერთი წესიერი კაცი მაინც ეპოვა ნაცანალურ მოძრაობას ევროპაში სულ თაღლითებსა და ყალთაბანდებში რომ ერთობიან.

ვერ მოახერხებენ, რადგან დამნაშავე მხოლოდ დამნაშავესთან ახერხებს საერთო ენის გამონახვას!

როლანდ ჯალაღანია

# ქართულ-იბერიული (მეგრული) ლექსიკონის წინასიტყვაობა

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ქართულ-იბერიული (მეგრული) ლექსიკონი შეძლებისდაგვარად მიზნად ისახავს წარმოაჩინოს კოლხურ-იბერიული (იგივე მეგრული) მეტყველების ის სულიერი საგანძური, რომელიც უძველეს დროში პრომეთეს ჩირაღდანი იყო მსოფლიოს ხალხთათვის. ის ბოლო 40 საუკუნეა მიჯაჭვულია კავკასიას თარგამისიანთა სახით. თარგამასის ყველაზე უფროსი ძის პაიოსის და უმცროსი ძის ეგროსის სახელებს ერთიდაიგივე მნიშვნელობის დატვირთვა ჰქონდა. ჰაიასა იგივე აიაა და ეგრისის ძველი სახელწოდებაც აია იყო. მთელი კავკასიაში უძველეს დროში კალხური ნათესავი იყო განფენილი, რასაც ჰეროდოტესთან ვხვდებით. ის მოსახლეობის აღწერისას კავკასიის შესახებ, მარტო კოლხებს ასახელებს. კოლხური მოდგმიდან თავის დროზე გამოვიდნენ იბერები, ქართები, ალბანელები და სხვა კავკასიური ერები თუ ეთნოსები. უძველეს ხანაში კოლხიბერულიდან (იგივე აურიდან) გამოვიდა და განვითარდა შუმერული, ეგვიპტური, ებრაული, ბერძნული, ლათინური და სხვა კულტურები. დღეს კოლხურ-იმერული მოდგმის პირდაპირი შთამომავალია მეგრულ-ლაზური ენა. თავისი სულიერი სიდიადით ის ლაზარეს ენაა და დღესაც დაუხვეწავ დამდაბლებულ მდგომარეობაშია სხვა ენებთან შედარებით. კოლხური ენის ასაღორძინებლად გამოსაყენებელია ის საზომი, რაც მის სულიერ საგანძურს ავლენს, რაც დღეს გაუხეშებული და გადაგვარების პირასაა მისული. ბევრი მისი სანიმუშო ფორმის სიტყვების მიუხედავად იმისა წერილობითი წყაროები თითქმის არ გაგვაჩნია, ძირეულად მეგრულ-ლაზურ ენებშია შემორჩენილი. აგრეთვე მის მეზობლად მყოფ ისეთ კლასიკურ ენებში, როგორიცაა ქართული, ბერძნული და სხვა კავკასიური თუ ინდო-ევროპულ ან სემიტურ ენებშია გაბნეული. აქედან შეიძლება დასკვნა გამოვიტანოთ: ერთიდაიგივე სიტყვა სხვადასხვა ენაში მეორდება, თუგინდ სხვადასხვა ფორმით და მისი შესატყვისი აქვს, რა თქმა, უნდა, მეგრულ ენას, დავასკვნით რომ ეს სიტყვა კოლხურია.

ჩემი ძირითადი საკვლევი გზა ინტუიციაა, რაც ქრისტეს რწმენასთანაა დაკავშირებული, რადგან კოლხური (იბერიული) ერის გავითარებით მიეცემა ქრისტეს ნათელი კაცობრიობას, რაც ახალი იერუსალიმის დამკვიდრებას ნიშნავს. ღვთიური სულიერება განსაზღვრავს იბერიული ენის აღორძინებას, რაც ნაწილობრივ ანტიკური ისე დღევანდელი ენების სტრუქტურული აგებულების გათვალისწინებით უნდა მოხდეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მისი ძირითადი დასაყრდენი მეგრული ენა იქნება. როგორც მოგეხსენებათ, პრომეთე იგივე ამირანი ჩვენივე მოდგმიდან გამოსული სულიერი და მატერიალური შერწყმითი გაბრძნობის ინიციაციის გმირმა ჰერაკლემ გაათავისუფლა.

დავუკვირდეთ ძველ სამყაროში არსებულ სახელწოდებათა თუ სხვა სიტყვათა ჟღერადობას: აია, ეა, აიეტი, აფშირტე (აფსირტე), მედეა (მედეია), ხუტა, ხოტუ, მატუა, დიაოხი, ხარიზმა (ქარიზმა), ხუფუ (ხეოფსი), რა, პტახ, რამზესი, ტუტანხამონი, ნანა, შარტე, ანუ, არმხუტუ, აპოლონი, აფროდიტა, არისტოტელე, პლატონი, სოკრატე, ანიკეტი, კურუშ (პიროსი ბერძ.), დარაიავაუშ(დარიოსი), ხშიახშ (ქსერქე), ახაშაირიშ (არტაქსექსე), შაკია (საკია), შაშ (შახი), ერგე, ეკერაუო, ტარუმ, ტროა და ა.შ. ყველა ამ სიტყვებს თუ დავუკვირდებით, ვნახავთ რომ აქ ფიგურირებს ბგერები, რომლებსაც გარკვეული ჟღერადობა გააჩნიათ და ჰქმნიან ამათუ იმ წამოწევის ამაღლებულობის კლასიკურ ფორმებს. შეიძლება ბგერები ამ მიმდევრობით ოთხ ჯგუფად დავყოთ: 1 საფეხური ან ჯგუფი ღვთაებრივი ანბანი ა, ე, ო, უ, პ, ხ, ტ, შ, რ. მეორე ჯგუფი წარჩინებულთა ანბანი: ფ, გ, დ, ზ, ლ, მ, ნ, ღ. მესამე ჯგუფი საშუალო ფენები: ბ, ქ, თ, ს, კ, ჟ, ი, ჯ. მეოთხე ჯგუფი: დ, ყ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ჰ. ძველი ფორმის საპოვნელად საჭიროა მეოთხე და მესამე ჯგუფის ბგერების მეორე და პირველი ჯგუფის ბგერებში გადაყვანა, მაგ: ღორონთი – ხორონტ, ყოროფა-ხოროფა-ხორონ, ჭდონი-წდანი-სკონშხონ, წდარ-სკარ-შხარ-შ, ჩხენ-ცხენ-შხენ, ქობალ-ხორბალი-ხ! რ!ბ! ძალა-ძილ-ზარძრო-ტრო-ტარ-ტროა. წიე-ძიე-ტიე-ტე-ტი-ტ! და ა.შ. ბგერების ასეთი გადანაცვლება მოფრთხილებას ითხოვს, რადგანაც ბევრი სიტყვა დღევანდელობისთვის გაუგებარი ქნება, მაგ: ჭკიმა-შვიმა-შუიმა-შ! (შოლუა), თუთა-ტუტა-ტოტ-სურ-შურ და ა.შ. ბგერების გადანაცვლებით შეიძლება ამა თუ იმ ენის ნათესაობის დადგენა.აგრეთვე იმის გათვალისწინებით თუ რა ბგერა ახასიათებს კოლხურ-იბერიულ ენას, მაგ: რაუ-რაუა-ეკერაიო-(ძვ. მიკენში) – როი(ინგ)- რერ(იტ)-რეალ(ესპ.)-რაუინ(რაბინ ებრ.)-მრევლი-რეკვა-გამრეკელი, შიმა-სიმა-სიმონ-ისმაილ-სმენა, ხარა-ხიოლ-ხიორ-ხაიროს(ბერძ) -სიხარული, ჭუბურ-წუბულ-წაბულ-წაბლი, დია-დი(სვ)-დიდა-დედა-დიაცი-დინა-დევა-დევუშკა-დევოჩკა-დივჩინა-დონა-დამა-მადამ ა. შ. ძველ კოლხურისათვის დამახასიათებელი იყო ოთხივე ჯგუფის ბგერები, რადგანაც საწყისი ენა იყო კაცობრიობისათვის კოლხურ-იბერიულში განსაკუთრებით 1 ჯგუფი დომინირდება. ყველაზე მეტად ხ და შ თანხმოვნები და ა, ე, ო, უ ხმოვნები. ეს მოდგმა გაფენილი იყო დიდ ტერიტორიაზე დაახლოებით ტიბეტიდან ატლანტიკის ოკეანემდე და მათი მეტყველება სიტყვიერების სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

შეძლებისდაგვარად მოკლედ განვიხილოთ კოლხურ-იბერიული ენის სტრუქტურა. ძველ; ენაში და ნაწილობრივ დღევანდელ მეგრულში ს და სი პრეფიქსებიანი ბა დაება სუფიქსებიანი სიტყვები მთავრდება ა და უა ბოლოსართით, მაგ: სიკარგე, ჯგირალა იგივე ჯგორა და არასიჯგირული. ჭითარა და არა სიჭითარა, უბრალოებაუბრალარა, სითბო-სტიბა(ლა) და არა სიტობა, შეკრება-კვათუა. მაგალითისთვის არსებობს კუჩხობის მაგივრად კუჩქა, ლახალა, პონა და ა. შ. თითქმის მსგავსი მაგალიტები აქვს ბერძნულ ენას, რომელსაც პელასგური ფესვები აქვს, მაგ: თავისუფლება-ელეუთერია, ნაცნობობა-სონოისია და სხვა ხშირ შემთხვევაში სათაურსაც მეგრულ ენაში ო თავსართი ცვლის. მაგ: საკრავე-ოკივიბესათევზაო-ოჩხომურ, სალოცავი-ოხვამე. დღევანდელ მეგრულ ენაში დასაშვებია სა და სი თავსართიანი სიტყვებიც.

ამ ძირძველ ენას ახასიათებს **ებ**ა და **ობ**ა ბოლოსართიანი სიტყვებიც. რაც ძველ დროში ქართულ ენაში დამკვიდრდა, მაგ: ალება, ალობა, კეთება, რსხება და ა. შ. ძირითადად მეგრულში იხმარება თა ბოლოსართიანი სიტყბენი რზაფა, გაფა, აკოგაფა და ა. შ.

არსებობს ონ და ონა სუფიქსებიც. რაც კრებით მრავლობით ან ზოგადი აღნიშვნის დაბოლობაა: ელონა, ბულონა, ჭარკონა, წალიკონ, პონა, ჯღონა, დობადონა, გესვარონ და ა.შ.

თუ სიტყვის დაბოლოებაში თანხმოვნის წინ ა, ე, ო ხმოვანია მაშინ სადაურობის აღმნიშვნელი ბოლოსართის გარდა ხმოვნის შემდეგ იკითხება ლ თანხმოვანი, მაგ: ორინაუ, ჯღიმილ, მანტებელ, წირწკოლ, ვარკალ, ღვითულ და სხვა. ზოგ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული ხმოვნების წინ ლ ან სხვა თანხმოვანი. სიტყვის ბოლოში ლ-ს მაგივრად იკითხება რ თანხმოვანი, მაგ: ნაბოლარა, სუმორ, კილერ და ა. შ.

თუ სიტყვის ბოლოს ფიჰურირებს ი, უ ხმოვნები და სიტყვაში არ არის რ თანხმოვანი, მაშინ წარმოითქმის ბოლოში რ თანხმოვანი, მაგ: ხანტირ და არა ხანტილ, ბეჟირ, კოლხურ, კოჩურ. თუ სიტყვაში ლ ბგერაა, მაშინ დაბოლოება იქნება ლ თანხმოვნით, მაგ: რდილ, ქარგილ, გრილ და ა.შ.

სადაურობის აღმნიშვნელ სუფიქსებში თუ ადამიანზეა საუბარი, წარმოითქმის არ სუფიქსი, მაგ: ზუგდიდარ, გალარ, აბაშარ და ა. შ. ხოლო ადამიანის გარდა სხვა მნიშვნელობის სიტყვის ბოლოს იქნება ურ ბოლოსართი, მაგ: ზუგდიდურ, გალურ, აბაშურ და ა.შ.

კოლხურში იყო მამრობითი და მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ბოლოსართები, რომელშიც დღევანდელ მეგრულშიც არის შემორჩენილი. გათხოვილი ქალის მიმართვაში: გაბუნიხე, ჭანტურიხე, გრიგოლიხე. მდედრობითობის აღმნიშვნელია ხ-ხე, ხოლო მამრობითობას აღნიშნავს ტ-ტი-ტე ბოლოსართი შეად. წიე-ძიე-ტიე-ტეტი, მაგ: აიეტი, აფსირტე, ლიპარიტ, ბაგრატ, რატ და ა.შ. მამრობითი სქესის აღმნიშვნელი დაბოლოება აქვთ სიტყვებს კაბეტ, ხუტა, მირგატ, პიტა. მდედრობით დაბოლოებიანი სიტყვებია: კოლხ, მესხ, დიაოხ, ჰენიოხ, ბერეხ. როდესაც მდედრობითი ხ ბგერით მთავრდება სიტყვა, ამ შემთხვევაში წარმოითქმის მამრობითთან დაკავშირებით როგორც არის, მაგ: კოლხ, მესხ, ბერეხ. ხოლო მდედრობითობის დროს ამ სიტყვებს ემატება ე ხმოვანი, მაგ: კოლხე, მესხე, ბერეხე. ე ხმოვანი ერთვის აგრეთვე გათხოვილი ქალის გვარს, მაგ: ფანცულახე, რუბენიხე.

მამრობითი და მდედრობითი სქესობრიობის აღნიშვნა სიტყვის ბოლოს იქნება საქმიანობის დახასიათების განსაზღვრისას. თუ წინადადებაში იხმარება მდედრობითობის აღმნიშვნელი სიტყვა, მაშინ მდედრობითობის აღმნიშვნელი დაბოლოება არ გამოიყენება სიტყვის ბოლოს. მაგ: სკვამ ოსურ, წკონდა მარია, ზოგადად კი სქესის გამოყოფა ხდება განსაკუთრებით ხაზგასმის შედეგად თუ არ გამოიყენება ზემოთაღნიშნული დაბოლოებები გრამატიკულ შეცდომად არ ჩაითვლება.

თუ სიტყვის ბოლოს თანხმოვნის წინ **ო** ხმოვანი თუ ფიგურირებს მაშინ სიტყვა თუ თანხმოვნით მთავრდება, მაგ: კილოთ, ჭიროთ. სხვა შემთხვევაშ კი კოლხურში თ თანხმოვანს ტ ბგერა ცვლის.

რაც შეეხება ნახევარ ხმოვნებს რაც მეგრული ენის ერთ-ერთი მთავარი შემადგენლობაა, მაგ: კ, რ, ბ, გ, გ, ფა, ვ, ჭ, ფ, რუ, ნქ, ც, ტ, კ, ნტ, რ. ასეთი ნახევარ ხმოვნები კოლხურიდან იღებს სათავეს. ძველ აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგ, ებრაელები წერდნენ შეკვეცით, მაგრამ წარმოთქმისას ახმოვანებდნენ. კოლხურ ენას მკაფიო ხმოვნები აჟღერებდნენ, რადგანაც მათი ცნობილი რიტორიკული გამოსვლები ან მითის მიხედვით მეფე აიეტის მჭექარე ხმა ამის გარეშე წარმოუდგენელია. რადგანაც სახელმწიფოების წარმმართველ ენას ხმოვნები თანხმოვნებთან ერთად სიცოცხლის უნარიანს ქმნის, რაც აღმავლობის ერთ-ერთი უმთავრსი ფაქტორია. როდესაც ენის კლასიკური სტრუქტურა მოიშალა, მისი ხმოვანებიჩ დაერღვა, რისი შედეგიცაა დღევანდელი თუ ბოლო საუკუნეების მეგრულ ენაში თანხმოვნების და ნახევარხმოვნების სიჭარბე. რადგანაც ჯერ ხმა ისმის და აქედან ხმოვანი ბგერაა, მას კი თანხმოვნები ახლავს. **"რა ენა წახდეს, ერის დაეცესო"** – ნათქვამია.

ჟღერადობის მხრივ, ძველ კოლხურ-იბერიულში დღევანდელი მეგრული ქ თანხმოვნის ნაცვლად ხშირ შემთხვევაში გამოითქმოდა კ ბგერა, მაგ: ცკვერ-სქვერი, უშკურ-უშქური, სკან-სქან, სკვამ-სქვამი და სხვა. ძველი დროის და დღევანდელ მრავალ კლასიკურ თუ არაკლასიკურ ენის სიტყვებს ი ხმოვნით დაბოლოება არ ახასიათებდათ. კოლხურ-იბერიული სულიერების განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი ამაში მდგომარეობს, მაგ: ბერძნულში გამოითქმის იდიო (საკუთრება), არხნ (ძალაუფლება), მელონ(მომავალი). ძველ ურარტუში იყო სიტყვები სერ, ჩელ, კურ. ლაზურში არის: ოსურამან, ჭაჯ, მშირიდონ, ქუნ. სვანურში: ლიშვემ, წდნარ, ჩიქარ, თხვიმ. სომხურში : ჭანჯ და არა ჭანდი., ლაკურტ, გორდ. აფხაზურში: გალ, ტყვარჩალ, ბზიაბს და ა. შ. დღევანდელ მეგრულში ი ხმოვანი სიტყვის დაბოლოებისას არ იკვეცება. ზემოთაღნიშნულიდან სხვა ძირძველ მეზობელი ენებიდან გამომდინარე კოლხურ-იბერიულ ენაში ი ხმოვანი იკვეცება, მაგ: დიდ, დემ, კოჩ, გრილ, სკან და ა.შ. არის სიტყვები რომელსაც აქვს ი დაბოლოება, მაგ: თი, სი, ჟი და ა.შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული სიტყვის წარმომავლობასთან დაკავშირებით, რაც ძირითადად მეგრულ ენას ეყრდნობა, წარმოაჩენს კოლხურ იბერიული ენის სულიერ სიდიადეს, რაც ნოიტური ებნის გამოხატულებაა და შეიცავს გადარჩენის კოდს. დიდი წარღვნისას ნოესა და მისი ოჯახის გადარჩენის მადლს, ასევე წინარე კაცობრიობის ნათელი პერიოდის მადლს. "კოლხები ურიცხვნი არიანო", წერდა აპოლონიას როდოსელი და სხვა ავტორები. მათ მეტყველებაში ძირითადად ფიგურირებდა პ, ხ, ტ, შ, რ და ა, ე, უ ბგერები. ხშირად ბგერას თავისი საიდუმლო დანიშნულება ჰქონდა. აღვნიშნავ რომ, კოლხურ ქართულ ინდოევროპულ **ფ**-ს შორის საშუალო ჟღერადობა ჰქონდა. გამოითქმებოდა როგორც მაგარი ფ. ხოლო ბგერა ყ-ს ნაცვლად გამოითქმებოდა მაგარი ყ ბგერა, მაგალითად ყუდე, ყვალ, ყინჩ, ყანცა და ა.შ. კოლხურ-იბერიელების სხვადასხვა განშტოებებში პატრიარქატიც იყო და მატრიარქატიც. პატრიარქალური ხელისუფლება რაც სიყვარულსა და კეთილგონირებას უნდა ეყრდნობოდეს განაპირობებს ღვთის მადლის დამკვიდრებას და გონიერების გაბატონებას. თუ ქალთა საზოგადოებაში ერთი მამაკაცია გამოითქმის ზოგადი ფორმის ან მამრობითი დაბოლოების სიტყვა განსაკუთრებული ხაზგასმის დროს, მაგ: პატონეფ, თერონიტეფ, კაბეტეფ, მარგალეფ. თუ მარტო ქალებია, მაშინ მდედრული სქესის აღმნიშვნელი დაბოლოებით, მაგ: პატონიხეფ, კაბეტიხებ, ბერეხეეფ, კიდევ ვიმეორებ რომ, სქესობრივი დაბოლოების აღნიშვნა უმთავრესად იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ მას განსაკუთრებულად გამოვყოფთ.

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები ყიფშიძე, ბერიძე აღნიშნავდნენ რომ მეგრული იგივე იბერიული ენაა. მათთან ერთად დამატებით ვიტყვი რომ მისი აღორძინებით იქმნება კეთილი ნების გაბრწყინება და ქრისტეს ნათელი მიეცემა კაცობრიობას, რადგანაც თეთრი ადგილის დამკვიდრებას დედამიწაზე, რასაც ივერიის გაბრწყინებით მიუთითებენ წმინდა მამები, ნოიტური იბერიული ენის აუღორძინებლად ვერ მოხდება და, მასთან ერთად დაილოცება მეტნაკლებდ ყველა ენა დედამიწაზე.

კაცობრიობის ცნობიერება უნდა დაუბრუნდეს მამის წიაღს და აღიაროს ისტორიულად დარღვეული სამართლიანობა. ამის გამო საუკუნეებია რაც მთელი კაცობრიობა ზარალდება და ჯვარცმულია.

**მალხაზ გრიგოლია**

## პოეზიის კუთხე

საგანგებო გზავნილი დიპლომატს

### რჩევისთვის გმადლობთ, კარასინ!

მის მაღალაღმატებულებას, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ გრიგორი კარასინს!

„შეცვალეთ, ნუღარ დარჩება
კანონი ოკუპაციის!“ –
რომ გვირჩევთ,
ვიღებთ ამ რჩევას
ალალად, განა დაცინვით!
ოღონდ, ბატონო კარასინ,
ზუსტად დავიცვათ ბალანსი,
თქვენც მოგვაშორეთ ბალასტი
ოკუპანტ დარდუბალასი!

სათრეველები გადასათრევებზე

### ქარს ვინც თესავს!

ისევ და ისევ ქვეყნის მაოხართა
„დანოსი“ და ამჯერადაც მათი საზღვარგარეთელი შეფის მუქარანარევი
გამოქომაგება ევროსაბჭოდან...
როდემდე ვითმინოთ, ჩემო ხალხო,
„ნაცების“ ცილისმწამებლური ენატანიობა და „არამკითხე მოამბეთაგან“
ქვეყნის ცხოვრებაში უხეში ჩარევის
დღითიდღე მზარდი მოძალება?

ყველა გოგი და მაგოგი,
არ დანდობით, არ დაზოგვით,
ევროსაბჭოს აწვდის „დანოსს“,
რომ სიცოცხლე დაგვანანოს...

მოღალატე! – სხვა რა ჰქვია,
ვინც ამკვიდრებს ანარქიას?

ჰოდა, დაე, ყველა ქლესამ
დაიხსომოს კარგად ესა,
ვინც შებილწავს ჩვენს საესავს,
ქარიშხალს მკის, ქარს თუ თესავს!

### შტრიხები დემაგოგზე

შხამში ნალესი დანაა,
მოწამლული აქვს გენი და
ისეთი სალახანაა,
ნაკვერცხალს იღებს ენითა!

### დღეს პირველი აპრილია!

ბარში დარი სადაროა,
მთაში ფეხი დაუცურდა კლდეზე ყინულს,
საფიქრალი რამ დალიოს,
სადღაც თოვს და
ნაფიფქარი მოაქვს ბინულს.

რა შორს დარჩა დაპირება?
რიონი სულ გადირია
და ქვებს ისვრის!
დღეს პირველი აპრილია,
მოტყუება ადვილია,
მაგრამ რისთვის?

### ვინ ცხოვრობს კარგად საქართველოში?

*დღე დღევანდელი ნეკრასოვისებურად*
ავგიორგობს რაკი, ყიამყრალობს რაკი,
დაბრუნებას „ციხით“ ნატრობს კანდელაკი;
შეეგება სტუმარს ტყუილების გუდით,
თან გვაშინებს ყველას ის და მისი გუნდი:
„ვოტ პრიეხალ დოლი, ჟოზეფ ვას რასსუდიტ,
ბარონ ვას რასსუდიტ, ჟოზეფ ვას რასსუდიტ!“
და კვერს უკრავს ნათქვამს ქვეყნის ავის მდომი
„ციხოსანი“ ყველა, „ნაცი“ ყველა დონის!

**ალექსანდრე შენგელია**

# მცხეთა – მეორე იერუსალიმი და „ახალი ისრაელის“ დედაქალაქი

*ანუ საქართველოს უძველესი სამეუფო ქალაქის – მცხეთის პროექტების: „მცხეთა-იერუსალიმისა“ და „გეთსიმანიის ბაღის“ ანალიზისა და შეფასებისათვის მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“ 2015 წლის 12 ოქტომბრის სხდომაზე.*

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

**„გეთსიმანიის ბაღი“**-ს გაშენება ორი წლის წინ დაწყებულა საქართველოს პატრიარქის ინიციატივითა და კურთხევით და სამთავროს მონასტრის წინამდებარე ველზე ზეთისხილის ნერგები ჩაურგავთ. პატრიარქი გვპირდება, რომ გეთსიმანიის ბაღი გაფართოვდება. მისი უწმინდესობის მიერ საქართველოს პრემიერისადმი მიწერილი თხოვნის წერილით კი ვიგებთ, რომ იერუსალიმის „გეთსიმანიის ბაღი“-ს მცხეთური ანალოგი მცხეთის ჯვრის მონასტრამდე ადის. საქართველოს პატრიარქი გეთსიმანიის ბაღისათვის 49 ჰექტარს ითხოვს. თავს ნებას მივცემ, წაგიკითხოთ, საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, ილია მეორის ხელმოწერით დადასტურებული წერილიდან ნაწყვეტი საქართველოს პრემიერისადმი, როგორც ოფიციალური დასაბუთება იერუსალიმის „გეთსიმანიის ბაღის“ ქართული ანალოგის მოწყობის აუცილებლობისა მცხეთაში: „...მოგეხსენებათ, სვეტიცხოველი არის უმთავრესი ტაძარი საქართველოსი, რასაც პირველ რიგში განაპირობებს აქ დაცული სიწმინდეები, – მაცხოვრის კვართი და წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხალენი, – ძველი და ახალი აღთქმის უმნიშვნელოვანესი სიწმინდეები. თქვენთვის ცნობილია ისიც, რომ მცხეთა ძველ წყაროებში მეორე იერუსალიმად არის მოხსენიებული. ამიტომაც აქაურ ტოპონიმიკაში გვხვდება გოლგოთა, გეთსიმანია, ბეთლემი, თაბორი, ელეონი, იორდანე, კედრონი და წმინდა მიწის სხვა დასახელებები. მაგალითად, მცხეთის ჯვარი არის იგივე გოლგოთა, მის ქვემოთ მდებარე ტერიტორია კი, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო გადმოსაცემად ითხოვს,(49 ჰა ), – გეთსიმანიის ბაღი. ჩვენ მიწის ეს ფართობი გვესაჭიროება, რათა აქ, ერთის მხრივ, გეთსიმანიის გარემო შევქმნათ, და ამასთან გავაცოცხლოთ ბიბლიური ისტორია და ყოფა საქართველოსთან კავშირში, როგორც ეს არის რიგ ევროპულ ქვეყნებში. უნდა აღდგეს წმინდა ნინოს მიერ გაკვალული საკრალური გზაც სვეტიცხოვლიდან ჯვრამდე და ის სულიერი ერთობა, რაც ამ ორ ადგილს ოდითგანვე ჰქონდა: ასე რომ უნდა მოეწყოს როგორც დასვენების ადგილი, ისე გამორჩეული სულიერ-საგანმანათლებლო სივრცე. ამიტომაც, გთხოვთ, გადმოგვცეთ აღნიშნული 49 ჰა მიწის ფართობი. ეს საკითხი გასულ წელს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა ერთობლივ კომისიაზე მოწონებულ იქნა და, თუ თქვენის მხრიდანაც თანხმობას მივიღებთ, ვფიქრობთ, მცხეთა, როგორც წმინდა ქალაქი, კიდევ უფრო დიდ დატვირთვას შეიძენს და კიდევ უფრო მრავალ მომლოცველსა და დამთვალიერებელს მოიზიდავს. შევნიშნავთ იმასაც, რომ რამდენადაც წმინდა დედაქალაქი მცხეთა დაცულია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კონვენციით, ჩვენს მიერ განხორციელებული ყველა სამუშაო შესაბამისობაში იქნება მის მოთხოვნებთან. აღნიშნული ტერიტორიის სხვა მიზნით გამოყენება კი, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერსპექტივით, მიუღებლად მიგვაჩნია. ღმერთმა დაგლოცოთ. ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. წინამდებარე წერილი თან ახლდა ჩვენს მიერ ოფიციალურად გამოთხოვილ „მცხეთა-იერუსალიმისა“ და „გეთსიმანიის ბაღის“ პროექტებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, მცხეთის ოფიციალური დაწესებულებიდან. აქ ნამდვილად ურიგო არ იქნება გავიხსენოთ მამა გიორგი ზვიადაძის განმარტება მისი უწმინდესობის ერთერთი გახმაურებული საშობაო ეპისტოლეს(2014 წ.) გამო, რომ პატრიარქის ეპისტოლეები არ წარმოადგენენ მის პირად წერილებს, რომ საქართველოს საპატრიარქოში მუშაობს მთელი „მექანიზმი“ პატრიარქის ეპისტოლეების შექმნისა. სამწუხაროდ საზოგადოებისთვის უკვე შეუძლებელი ხდება გარკვევა იმისა, თუ სად იწყება ზღვარი პატრიარქსა და „მექანიზმს“ შორის, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ეპისტოლეს უკვე ქადაგების სახე აქვს, და პატრიარქის პიროვნულ მეტყველებაში ვისმენთ, როდესაც პატრიარქი საუფლო კვართსა და ილია წინასწარმეტყველის ხალენს თითქმის თანაბარი ღირებულების სიწმინდეებად მოიხსენიებს: ერთს – ძველი აღთქმისად და მეორეს - ახალი აღთქმისად, რითაც ფაქტიურად ძველი და ახალი აღთქმის მნიშვნელობებსაც უთანაბრებს ერთმანეთს. მხედველობაში გვაქვს საპატრიარქოს რადიო „ივერიის“ მიერ 2015 წლის 9 ივლისს გადაცემული, საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის ქადაგება იოანე ნათლისმცემლისა და ილია თესბიტელის ხალენის შესახებ, რომელიც სრულიად თანხვედრილია, როგორც საპატრიარქო პოზიცია საქართველოს პრემიერისადმი ზემოთხმობილი წერილის ავტორის პოზიციასთან. უფრო მეტიც: ქადაგებაში მისი უწმინდესობა განგვიმარტავს, რომ ქრისტეს მოვლინებამდე, 600 წლის წინ, ქალდეველთა მეფის,ნაბუქოდონოსორის დარბეულმა **„ებრაელებმა, მარტო ხალენი კი არ ჩამოგვიტანეს, მცხეთას, არამედ ჭეშმარიტი ღმერთიც გვიქადაგეს კერპთაყვანისმცემელ ქართველებს და ქრისტიანობისათვისაც მოგვამზადეს“.** – აქედან დაიწყოო ჩვენი მოქცევა – ბრძანებს მისი უწმინდესობა – მერე მოვიდნენო მოციქულები საქართველოში. ამიტომ საქართველოს პატრიარქის ქადაგების ქვეტექსტით და ღია შთაგონებით, მცხეთა ქართველთა და ებრაელთა ქალაქია. აი, რაში სურს მის უწმინდესობას ჩვენი დარწმუნება. ქადაგებაში განმარტებული არ აღმოჩნდა ქრისტეს წინ ექვსი საუკუნით ადრე ჩამოტანილი ხალენი როგორ ან როდის დაიკრძალა სვეტიცხოველში? მაგრამ აქ მარტო ხალენის სვეტიცხოველში დაკრძალულობის ფაქტთან არა გვაქვს საქმე, რომლის შესახებაც არანაირი ისტორიული წყარო არ არსებობს, მაშინ როდესაც კვართის ისტორია და ქართული ქრისტიანობის ისტორია დოკუმენტურად, ისტორიული წყაროებით, განუყოფელია. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ქადაგება, როგორც განმიმარტა რადიო „ივერიის“ წარმმართველმა ქალბატონმა ,2015 წლის 9 ივლისს განმეორებითი გადაცემა იყო 2004 წლით დათარიღებული ქადაგებისა. ჩემი ყურადღება საგანგებოდ მიიპყრო აღნიშნულმა ქადაგებამ, რამდენადაც იგი ჩემი საპროტესტო გამოსვლის მეორე დღეს იქნა გაშვებული საპატრიარქოს ეთერში: ჩემი საპროტესტო გამოსვლა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისრაელის მოქალაქის, ბ-ნი იცკ შავითის მიერ ქალაქ-მუზეუმში, მცხეთაში, ერთი ჰექტარი მიწის ყიდვასთან დაკავშირებით, ახალი იერუსალიმის ასაშენებლად, 2015 წლის 8 ივლისს შესდგა, ინტერნეტ ტელევიზიის, ობიექტივის პირდაპირ ეთერში. 2015 წლის 9 ივლისის განმეორებით ქადაგებაში კი, საქართველოს პატრიარქი არა მარტო ელია თესბიტელის ხალენის ჩამოტანას განგვიმარტავდა საუფლო კვართის ჩამობრძანების წინა საფეხურად, არამედ ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის დარბეულ ებრაელებსაც, რომელთაც თურმე დარბეულებმა კი არ შეაფარეს თავი მცხეთას, მცხეთის მამასახლისისაგან ხარკის დაწესებით, არამედ ჭეშმარიტი ღმერთის მქადაგებლებად და ქრისტეს მოციქულების წინარე მასწავლებლებადაც მოგვევლინენ. ჩვენ, ქართველი ხალხი, რომელიც ქრისტესწინარე ქრისტიანებად მივიჩნევთ ჩვენს თავს, ჩვენი ეროვნული მახასიათებლების გამო, თურმე ნაბუქოდონოსორის დარბეულმა ებრაელებმა მოგვამზადეს ქრისტიანობისათვის საქართველოში, მაგრამ იმავე ებრაელებმა, საქართველოში, საკუთარი თავი ვერ მოამზადეს ქრისტიანობისათვის, ხოლო თავიანთ ქვეყანაში მაცხოვარი-იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. ლეონტი მროველის ცნობით, კონსტანტინოპოლიდან წმინდა ნინოს ჩამოყვანილი ეპისკოპოსისა და მღვდელ-დიაკვნების მიერ გამართული დიდი საერო ნათლობის დროს მცხეთელმა ებრაელებმა უარი განაცხადესო მონათვლაზე – გვამცნობს მემატიანე **„ქართლის ცხოვრებისა“.** რაც შეეხება ებრაელთა ღმერთის ჭეშმარიტებას. აქ დიდ უხერხულობასთან გვაქვს საქმე. ებრაელთა ღმერთი რომ ჭეშმარიტი ღმერთი ყოფილიყო, იესო ქრისტეს მოვლინება აღარ იქნებოდა საჭირო. ერთპიროვნული მამაღმერთი ებრაელებისა – იეღოვა და სამპიროვანი ერთი ღმერთი ქრისტიანებისა ცა და მიწასავით არიან დაშორებულნი ერთმანეთისაგან. საქართველოს პატრიარქის ერთერთ გახმაურებულ ეპისტოლეში ვკითხულობთ, რომ მოსემ შექმნა ათი მცნება, ხოლო იესო ქრისტემ დაამატა ერთი მცნება“. არაფრით არ შეიძლება, რომ ეს პატრიარქის სიტყვები იყოს. ის ერთი მცნება, **„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“** – კი არ დაამატა მაცხოვარმა, არამედ ერთ მცნებაში მოაქცია მოსეს ყველა მცნება, და დატოვა მხოლოდ პირველი: ანუ მცნება უფლის სიყვარულისა. – მოყვასის სიყვარული ყველა მცნების მომცველიაო თავისთავში, გვითხრა მაცხოვარმა. გარდა ამისა, მსოფლიო ბიბლეისტიკაში, დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მოსეს ათი მცნება ეგვიპტელთა წმინდა წიგნიდან არის გადაწერილი, ხოლო ებრაელთა მთელი თეოლოგია, სამყაროს ბიბლიური შექმნისა, გადმოტაცებული და ნასესხებია ჩვენი წინაპრების, ქალდეველების სიბრძნიდან, და არა მარტო ნასესხები, დასახიჩრებულია თეოლოგიურად. ამ დასახიჩრების მხილებას შეეწირა კაცობრიობის უდიდესი გონითი ენერგია საუკუნეების განმავლობაში. წმინდანად შერაცხული საქართველოს პატრიარქი, კირიონ მეორე (გიორგი საძაგლიშვილი) საოცარი გაბედულებით ამხელდა ებრაელთა მიერ სხვა ხალხთაგან მითვისებულ რელიგიურ შეხედულებებს, რომელთა მორგებითაც საკუთარ ყაიდაზე, საუკუნეების განმავლობაში შეჰყავდათო შეცდომაში მთელი მსოფლიო ებრაელებს (იხ. გაზეთი-ალმანახი: **“ერის ღირსება“**,2006 წელი). მწუხარებითა და გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ზემოთმოხმობილი ქადაგების მიხედვით, მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის უცნაური წადილი საქართველოს ისტორიაში ებრაული მენტალიტეტის ხელოვნური გაზრდისა და მაღლა აწევისა, სრულიად კავშირშია 2007 წელში გამოქვეყნებულ გაიოზ მამალაძის წერილთან, რომელიც საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა წინაპრების დაბრუნებას (!), და არა პირველ ჩამოსვლას საქართველოში, ნაბუქოდონოსორის დარბეულ ებრაელთა ისტორიული ტყვეობის ეპიზოდთან დაკავშირებულ ამბად განიხილავს, სუმბატ დავითის ძის ქრონიკაზე დაყრდნობით, და ბაგრატიონებს ქართული ქრისტიანობის ებრაელ ხელმძღვანელებად წარმოგვიდგენს. იგივე სულისკვეთებისაა ვლადიმერ ვახანიას მიერ ქალდეველებზე გამოგონილი **„ბიბლიური მითები“,** ვითომ ბაბილონელებმა იმიტომ წაასხეს ტყვედ ებრაელები, რომ ებრაელთა მსოფლიო ბატონობა იწინასწარმეტყველეს და ტყვედ წაყვანილ ებრაელებს თავისი სიბრძნე წერილობით ჩააბარეს... ეს თანხვედრილობა ებრაული მენტალიტეტის აწევის სხვადასხვა გზით მცდელობებისა მიმანიშნებელი უნდა იყოს ყველა ამ პოზიციის – ვლდიმირ ვახანიას, გაიოზ მამალაძის და საქართველოს დღევანდელი ეკლესიის ერთიან და საერთო სათავეზე, სახელმწიფოებრივ სათავეზე. მისი უწმინდესობის დაბეჯითებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ სვეტიცხოველშია დაკრძალული ორი დიდი სიწმინდე: კვართი უფლისა და ილია წინასწარმეტყველის ხალენი, უნდა შევნიშნოთ, რომ **„ქართლის ცხოვრებაში“,** არანაირი წყარო იმისა, რომ ხალენი სვეტიცხოველშია დაკრძალული, არ არსებობს. ეს რომ ასე იყოს, პირველ რიგში ამას თამარ მეფის ნდობით აღჭურვილი საქართველოს პატრიარქი – ნიკოლოზ გულაბერისძე აღნიშნავდა თავის თხზულებაში: **“საკითხავნი სვეტიცხოველისანი“.** მითუმეტეს რომ სწორედ ამ საკითხავში ავლენს საქართველოს ეს უგანათლებულესი პატრიარქი, ისტორიული წმინდა მოსასხამებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას და საგანგებო კლასიფიკაციას ამ მოსასხამებისას საუფლო კვართთან მიმართებაში. ისტორიული წმინდა მოსასხამები ეს „მონათა საგრაგნელებია“, ხოლო კვართი იესო ქრისტესი, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს ოქროს ხანისეული პატრიარქის, ნიკოლოზ გულაბერისძისათვის სრულიად ცალკე დგას ყველა ისტორიული და წმინდა მოსასხამისაგან, რამეთუ იგი თავისი არსით ქვეყნიერების დამტევ სიწმინდეს ნიშნავს: **“გიხაროდენ, ჰოი, კვართო, გამოუთქმელო ქებათა კაცობრივთა ენათაგან, რამეთუ უკუეთუ მონათა საგრაგნელნი ესრეთ იდიდებიან ვიდრემე, ვითარცა საცნაურ არს აჰრონისა შესამოსელთათვის, მოსეს პირის საბურველთათვის, ელიაის და იოანეს ხალენისათვის, პეტრეს და პავლეს სუდარვარშამანგებისათვის, ვინმე უკუე შეუძლოს შესხმად დიდებისა შენისა, რომელსა ცანიცა ვერ დაიტევენ, თვით ღმერთი იგი, დამბადებელი ყოველთაი, შენ შორის სათნოყოფით დატევნულობდა. ჰოი, სამგზის სანატრელო კუართო საღმრთოო, რამეთუ თვით მებრ ესე ოდენ კმა არს შენდა ქებად ღირსებით სახელდებაი ოდენ ღმრთისა კუართობისაი შენ შორის, კუართო საღმრთოო და საუფლოო!“**(ნიკოლოზ გულაბერისძის **„საკითხავნი სუეტიცხოველისანი“**, ნესტან სულავას გამოცემული 2007 წელს, მცხეთა-თბილისი). თითქმის გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ სტრიქონების ავტორს, საქართველოს პატრიარქს, მსოფლიო სიწმინდეებში განსწავლულს, მსოფლიოს უდიდესი სალოცავების მოლოცვისათვის პატრიარქობიდან გადამდგარს და საპატრიარქო ტახტზე მხოლოდ თამარ მეფის თხოვნით დაბრუნებულს, სცოდნოდა, რომ ელიას ხალენი, რომელიც მისეულ **„სვეტიცხოვლის საკითხავებში“ „მონათა საგრაგნელთა“** კატეგორიაშია მოხსენიებული, დაკრძალული იყო სვეტიცხოველში, იქ, სადაც საუფლო კვართია დაკრძალული და ეს მოხსენიებისა და საგანგებოდ პატივმისაგები განმარტების გარეშე დაეტოვებინა. თუ ნაბუქოდონოსორის დარბეულ ებრაელებს ხალენის წამოღების თავი ჰქონდათ, ეს ებრაული წყაროებით უნდა იყოს დადასტურებული. გარდა ამისა, როდესაც ისინი ჩამოვიდნენ მცხეთაში, **„ქართლის ცხოვრების“** მიხედვით, სწორედ რომ დარბეულები, ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ, ე.ი. მეექვსე საუკუნეში ქრისტეს წინარედ, მაშინ სვეტიცხოველი არ არსებობდა. სვეტიცხოველი აშენდა ათი საუკუნის შემდეგ და მთელი ისტორია სვეტიცხოვლის აშენებისა და კვართის ჩამობრძანებისა, ქართულ მატიანეში აღწერილია. როგორ შეიძლება ასეთი რელიქვიის საიდანმე გადაკრძალვის ფაქტი სადმე არ დადასტურებულიყო სვეტიცხოველთან დაკავშირებულ ქართულ წყაროებში. **“ქართლის ცხოვრებაში”** ერთადერთხელ იხსენიება ხალენი. ისიც გაურკვეველი და უმისამართო ინფორმაციის სახით: – ვიეთმე ამბობენო, რომ ხალენიც მცხეთაშიაო – ვითომ წმინდა ნინო ეტყვის მეფე მირიანს: „ვიღაცეები“ ამბობენო... საგანგებოდ მომყავს ეს ფრაგმენტი ვრცლად, აზრის სრულყოფილად წარმოჩენისათვის: **„...ღმერთი არს ცათა შინა, უხილავ არს თავადი იგი ყოველთა დაბადებულთაგან, თვინიერ ძისა მისისა, რომელი მისგან გამოვიდა და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა ვითარცა კაცი, რომელმან აღასრულა ყოველი, რომლისათვის მოსრულ იყო და აღვიდა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა.... მეფეო, ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა მიხედვად (თუ: „ღმრთისა მიმართ“, შდრ. ქვემოთ:“და ერიცა თვისი მიაახლოს ღმერთსა“, დ. ს.) რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ერთი: სამოსელი ძისა ღმრთისა აქა არს (დახალენი სამის ელიასით ქუეს ვიეთ მე აქა ვეყოფა. და მრავალნი საწაულნი არიან, რომელნი ღმერთმან გამოაჩინნეს. და აწ მე მთავარი ესე შენი განვკურნო ძალითა ქრისტეს ღმრთისათა ჩემისათა და ჯუარითა ვნებისა მისისათა, ვითარცა დედოფალი განვკურნე სენისაგან დიდისა. და რა იგი ვაუწყე მას, ჰყოფს იგი, რათა სულიცა თვისი განაბრწყინვოს და ერიცა თვისი მიაახლოს ღმერთსა“.** (ქ.ცხ. ტ.1. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ, 1955 წ., გვ. 107, სტრ. 21). თუ დავაკვირდებით, ტექსტში, არაფერ შუაში არ არის ილიას ხალენის მოხსენიება ყურმოკრულის საფუძველზე. უფრო მეტი: წმინდა ნინოს მსჯელობითი აზრი ჩაჭრილია და გადასვლა კვართიდან ქრისტეს ძალაზე დარღვეულია ხალენის ხსენებით.

**დენიზა სუმბაძე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# აფხაზების შემობრუნების და აფხაზეთის ერთიან სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის გზები

**(ამონარიდი ნაპო მესხიას წიგნიდან: „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი")**
***(გაგრძელება წინა ნომრიდან)***

ასე რომ, ამერიკისთვის საქართველო არის მხოლოდ და მხოლოდ სატყუარა ანკესზე, რომლითაც იგი ცდილობს დაიჭიროს დიდი თევზი – ზვიგენი და მსოფლიოს თვალში რუსეთი მტაცებლად და ოკუპანტად წარმოაჩინოს. ამით კი სურს გადაფაროს მის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი **„საქმენი საგმირონი"** ხიროსიმასა და ნაგასაკიში, კორეასა და ვიეტნამში, იუგოსლავიაში, ერაყსა და სირიაში თუ სხვა არაბულ ქვეყნებში, მაგრამ როგორია ეს ჩვენთვის?!

ასეთია ჩვენი პოლიტიკური პარტნიორის ნამდვილი სახე, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხვდებით ან არ გვინდა გავაცნობიეროთ, რომ გვკვებავენ ილუზიებითა და რეალობას მოკლებული მოსაზრებებით, თითქოს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები აიძულებენ რუსეთს დატოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. ეს არარეალურია!

მაშინ სადაა ხსნა, სადაა გამოსავალი?! რა გზა არსებობს? არის ასეთი, ერთადერთი სწორი და უტყუარი გზა – ეს ეროვნული, ერის შიგნით არსებული რესურსებია. ეს ერის ერთიანობის გზაა! ამისთვის საჭიროა ისეთი ურყევი კავშირი პოლიტიკურ ძალებსა და ხალხს შორის, რომელიც უზრუნველყოფს არა ცალკეული პირებისა და დაჯგუფებების ამბიციების, არამედ ქართველი ხალხის ინტერესის დაკმაყოფილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ძალები და ხალხის ინტერესები უნდა იყოს თანმხვედრი. დღეს ეს არ იგრძნობა და სანამ სააკაშვილის ხელისუფლების ნარჩენები (რომლებიც ოკეანისგაღმელი **„მეგობრების"** მიერ მთავარ ოპოზიციურ ძალად არიან დანიშნულნი) პარლამენტის ტრიბუნებიდან და ტელეეკრანებიდან ყმუიან, ეს შეუძლებელია. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩატარდება ახალი საპარლამენტო არჩევნები და ხელისუფლებაში მოვლენ ნამდვილი ეროვნული ძალები და ეროვნული ოპოზიცია.

მაშინ გახდება შესაძლებელი თავის დროზე გაყალბებული რეფერენდუმის შედეგების გადასინჯვა და სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც ასევე მეტად პრობლემურია, რადგან ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი არჩევნების შედეგებს ითვლიან და ადგენენ, სამწუხაროდ, არა ცსკო-ში, არამედ – ამერიკის საელჩოში.

ამის დარეგულირება შეუძლია მხოლოდ ეროვნულ გმირს, ხალხის უპირობო ლიდერს – ისეთს, როგორიც ნეტარხსენებული მერაბ კოსტავა იყო. მერაბ კოსტავა რომ ყოფილიყო ჩვენს შორის, არც ანტიეროვნული ოპოზიცია (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, გია ჭანტურია, ნოდარ ნათაძე, გია ყაარყარაშვილი, ლანა ღოღობერიძე, იზა ორჯონიკიძე, ლუიზა შაკიაშვილი, ირინა სარიშვილი, ელდარ შენგელაია, ჯანსუღ ჩარკვიანი, მამა-შვილი გაბაშვილები და ძმანნი მათნი) გაბედავდა გაჭაჭანებას და ეროვნული ხელისუფლების დამხობას ვერავინ შეეცდებოდა. ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ ანტიეროვნული ძალები ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის გარემოცვის სახით. არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა ქვეყანაში მათი მოსვლის შედეგად – არც აფხაზეთი გასხვისდებოდა და არც სამაჩაბლო. მერაბ კოსტავა გამონახავდა გზას აფხაზებისა და ოსების გულებისკენაც – ის მერაბ კოსტავა, რომელიც, 1989 წლის ივლისის სისხლიან დღეებში, გადაეღობა ღალიძგაზე საკუთარ ხალხს – აზვირთებულ და აბობოქრებულ სამეგრელოს მოსახლეობას, არ გაატარა ისინი ღალიძგის მეორე ნაპირზე და არ დაუშვა ქართველთა და აფხაზთა კიდევ ერთი შეტაკება, განმეორებითი სისხლისღვრა აფხაზეთში. მას ეს არ გაუჭირდებოდა, მაგრამ არ დასცალდა! იცოდნენ ეს და ამიტომ მოუსწრაფეს სიცოცხლე მუხანათურად, რამაც სასოწარკვეთილებაში და ერთგვარ უიმედობაში ჩააგდო ქართველი ხალხი. მაგრამ გარკვეული მოლოდინის შემდეგ გამოჩნდა ნამდვილი ლიდერი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ღმერთმა არ გაგვწირა ბოლომდე და ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახით ქართველ ხალხს ქვეყნის მხსნელი მოუვლინა. მან თავისი სწორუპოვარი ქველმოქმედებითა და მეცენატობით არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთა, მაგრამ ყველაზე მთავარი სააკაშვილის რეჟიმის ლეგიტიმური გზით დემონტაჟი იყო, თუმცა ეს საქმე ბოლომდე მიყვანილი არ არის. მომაკვდინებელი ბაცილა ჯერაც არ არის ბოლომდე ამოშანთული, რაც ხელს უშლის ქვეყნის განვითარების, აღმშენებლობის საქმეს, განსაკუთრებით – საგარეო პოლიტიკის სწორად ჩამოყალიბებას. აქ ყველაზე მტკივნეული საკითხი რუსეთთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და ხელახლა ჩამოყალიბების საქმეა. მართალია, აქტიური პოლიტიკიდან ბატონი ბიძინას ნაჩქარევად გასვლამ გაურკვევლობა გამოიწვია, მაგრამ იმით, რაც მოასწრო და გააკეთა, ოქროს ასოებით შევა საქართველოს ისტორიაში. ბატონ ბიძინა ივანიშვილს აქვს შანსი დაუბრუნდეს პოლიტიკას და ბოლომდე მიიყვანოს მის მიერ დაწყებული საქმეები. მხოლოდ მას აქვს ხალხის უსაზღვრო ნდობა და დღეს მხოლოდ მას ამოუდგება მხარში, როგორც პოლიტიკური სპექტრის პროგრესული ნაწილი, ასევე ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა. მაგრამ ამას სჭირდება, როგორც ითქვა, მისი სულისკვეთება და ეროვნული ლიდერის დაუოკებელი ჟინი, რომელიც გაუძლვება ერს, როგორც ეს მოხდა ჩინეთის უახლოეს ისტორიაში.

ჩვენ გვჭირდება ჩვენი დენ სიაოპინი, რომელმაც, მიუხედავად ოპოზიციის უზარმაზარი წინააღმდეგობისა და გაუთავებელი მილიონიანი საპროტესტო აქციებისა, გაბედა და ცხოვრებაში გაატარა მეტად კომპრომისული, მაგრამ გონივრული ჩანაფიქრი – ერთ ქვეყანაში, სოციალისტურ ჩინეთში, შემოიღო საბაზრო ეკონომიკა; ერთ ქვეყანაში შესაძლებელი გახადა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის თანაარსებობა, რომლის შედეგად შემოიერთა დიდი ბრიტანეთის დროშის ქვეშ 150 წლის განმავლობაში მყოფი ჰონ-კონგი. საგულისხმოა მისი სიტყვები: **"არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფერისაა ჩემი კატა – მთავარია ის თაგვს იჭერდეს."** ამ სიტყვებით და გაკეთებული საქმეებით მან უკვდავებაში შეაბიჯა და კაცობრიობის ყველა დროის უბრძნეს ადამიანთა შორის დაიმკვიდრა სამარადჟამო ადგილი.

სწორედ ასეთი გაბედული და ძლიერი ლიდერი სჭირდება დღეს ქართველ ხალხს – ლიდერი, რომელიც გონივრულად გამოიყენებს დენ სიაოპინის გამოცდილებას, აგრეთვე ჩინეთის გამოჩენილ ფილოსოფოსის, ლაო ძის შეგონებას: **"დაეთანხმე, დაემორჩილე, რომ დაიმორჩილო!"** და **"ტკბილად მოუბარი ენით"** მოაწესრიგებს რუსეთთან მეზობლურ ურთიერთობას, დააბალანსებს პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებს ევროკავშირსა და ოკეანესგაღმელ ჩვენს პარტნიორთანაც.

მხოლოდ ეს გზაა სწორი, თუ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაა ჩვენთვის მთავარი და არა სხვადასხვა ქვეყანაში უვიზოდ სიარული თუ კანარის კუნძულებსა და ლას-ვეგასში ნებივრობა – დროისტარება-გრიალი.

დროა ვაკეთოთ ის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის გამთლიანებასა და მართმადიდებლური კულტურის შენარჩუნება-განმტკიცებას. ჩვენ არ გვჭირდება ამდენი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის ფარგლებს გარედან – უცხოეთიდან ფინანსდებიან და მხოლოდ ღმერთმა უწყის თუ ვის მსახურობენ ისინი – ადამიანის უფლებათა დაცვის მანტიით, ლახავენ ადამიანის ჭეშმარიტ უფლებებს – გვთავაზობენ გეებისა და ლესბოსელების აღლუმს, ერთსქესიან ქორწინებასა და ე.წ. კუზენ-კუზინას ურთიერთობის ინსტიტუტის შემოღებას.

დროა გავახილოთ თვალი და ავირჩიოთ სწორი გზა. ამ საქმეში, ვიმეორებ, ჯერ კიდევ აქვს შანსი ბატონ ბიძინა ივანიშვილს, თუ ჩაუდგება სათავეში ხალხს. თუ ბატონი ბიძინა ამას სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ შეძლებს, ის მაინც უნდა გააკეთოს, რომ ქვეყნის სათავეში მოიყვანოს არა უსახური და უინიციატივო, არამედ ძლიერი და გაბედული ადამიანები, რომლებიც ფლობენ საჭირო, ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღების ხელოვნებას და შეუძლიათ საბოლოო შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა.

ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში დღეს ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ ერთდროულად რუსეთთან, აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობის მოწესრიგება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ გააჩნია ისეთი და იმდენი რესურსი, რომ რუსეთის ხელისუფლება მათთან დიალოგზე წამოვიდეს და სერიოზული საკითხი განიხილოს. აქ ზედმეტია საუბარი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ წრეებზე, რომელთათვისაც ეს ხალხი კატეგორიულად მიუღებელია. მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი იტვირთონ ზემოაღნიშნული მისია. ერთ-ერთი მათგანია ბატონი ალექსანდრე ჭაჭია – თავის ხალხსა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული და ერთგული კაცი, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა საცხოვრისია. ბატონ ჭაჭიას აქვს კრიზისიდან საქართველოს გამოყვანის სწორი ხედვა და სათანადო ბერკეტები – ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს აფხაზი ხალხის ყველა ფენაში. ამასთანავე მიღებულია და დიდი ავტორიტეტი აქვს რუსეთის ელიტურ და სამთავრობო წრეებში. მას, ბატონი ბიძინა ივანიშვილის თავკაცობით, შეუძლია პოზიტიური როლი იკისროს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობის აღდგენის საქმეში.

უნდა მოვრჩეთ ნაცარქექიობას და მრუდე, შევარდნაძე-სააკაშვილის სარკეში ცქერას, საიდანაც ვერც შორეულ სამყაროს დავინახავთ და ვერც ცხვირწინ მდებარე პრობლემებს. დროა, ჩამოვეშვათ მიწაზე და დავინახოთ რეალობა, რომ ჩიხიდან გამოსვლის გზა არც ევროპის დედაქალაქებისკენ მიემართება და არც შეერთებული შტატებისკენ. ევროკავშირთან თუ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება ვერ გაათავისუფლებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს, რასაც ყველას გასაგონად და გასაგებად გვეუბნებიან დასავლური პოლიტიკოსები (დაწყებული აშშ-ს ექს-პრეზიდენტ ბილ კლინტონით, მისი გაერთიანებული სამხედრო შტაბების ყოფილ მთავარსარდლით, გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილით და დამთავრებული დასავლეთის თანამედროვე ლიდერებით), რომ საჭიროა რუსებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა, რათა მათთან გამოვნახოთ საერთო ენა. გასაგებად გვითხრა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომ საქართველო (ისევე როგორც უკრაინა) არასდროს მდგარა და დღესაც არ დგას ნატოსკენ მიმავალ გზაზე, რასაც სრულად დაეთანხმა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.

რა არის აქ გაუგებარი და რატომ არ გვინდა შევიგნოთ, რომ საგარეო საქმეებში აქცენტების სწორად გადანაწილება და პრიორიტეტული მიმართულებების სწორად შერჩევაა საჭირო. არ არის მომგებიანი მეზობლის, რაგინდ აგრესიულიც არ იყოს ის, გაუთავებელი ლანძღვა-გინება: ლილიპუტინის ძახილით, მილიტარისტული რიტორიკითა და იარაღის ჟღარუნით არასდროს გაუკეთებია ვინმეს საქვეყნო საქმე. უნდა გამოვნახოთ საერთო ენა ჩვენს დიდ მეზობელთან, რომელთანაც, სხვათა შორის, ბევრი რამ გვაქვს საერთო და გვაკავშირებს. ბევრი ნეგატიური მოვლენების გვერდით, რომლებიც ავადმყოფურად ასოცირდება რუსეთთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას შევინარჩუნეთ სარწმუნოება, ენა და მამული. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთთან გაერთიანებამდე, დაშლილი იყო სამეფოებად და სამთავროებად (რომლებიც ცალ-ცალკე შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში) და მანამდე, საუკუნეების განმავლობაში, საქართველო არ იყო შენივთული, როგორც ერთიანი სხეული. სწორედ რუსეთის რევოლუციების შემდეგ მიიღო მან მონოლითური სახე და ჩამოყალიბდა როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, და ასეთივე სახით გამოეყო რუსეთს. რუსეთზე საუბრისას, ამას ხმამაღლა თუ არ ვიტყვით, გვახსოვდეს მაინც, რა ბედი ეწია მრავალ ჩვენნაირი ბედ-იღბლის მქონე ხალხს, რომლებიც არ მოექცნენ რუსეთის მფარველობაში – მათ დაკარგეს არა მხოლოდ მამული, არამედ ეროვნებაც, ენაც, სარწმუნოებაც... ასე რომ, ნუ ვიქნებით უმადურები, რადგან უმადურობაზე საშინელი არაფერია.

დღესავით ნათელია, რომ ჩვენი პრობლემების მოგვარება და ჩიხიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის გავლით და მასთან მოგვიწევს საუბარი პირისპირ, გვინდა ეს თუ არა. დიახ, ერთმორწმუნე რუსეთს ოკუპირებული აქვს დღეს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩვენ მისი დეოკუპაცია გვინდა. ამაში, როგორც უკვე ხაზგასმით ითქვა, დასავლეთი ვერ გვიშველის. თუ ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია და ქვეყნის გაერთიანებაა პრიორიტეტული ჩვენთვის, უნდა ჩამოვსხდეთ მასთან და გავმართოთ პირდაპირი დიალოგი იმაზე, თუ რას ითხოვს ამის სანაცვლოდ რუსეთი.

ცხადია, რომ რუსეთი შემოგვიგდებს **„ნატოსთან"** დაკავშირებულ პრობლემატიკას. ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. თუ ნატოში გაწევრიანება ჩვენთვის არარეალურია, რაზეც უკვე იყო საუბარი, მაშინ შევწყვიტოთ ამაზე რიტორიკა, მივყვეთ ლოგიკას და მივიღოთ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – კომპრომისებით და ზოგიერთისთვის არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღებით გამოვიხსნათ ჩვენი ტერიტორიები – ქართველი ხალხის საცხოვრისი. სწორედ ესაა კომპრომისებისა და კონსენსუსის გზა, რომლებსაც უწოდებენ გონივრულ დიპლომატიას და გონივრულ საგარეო პოლიტიკას.

ამ საქმეში, როგორც ხაზგასმით ითქვა, ძალზე მნიშვნელოვანია მმართველი ძალების, მისი ლიდერის და ხალხის თვალსაზრისთა იდენტურობა და ერთსულოვნება. ვიმეორებ, დღეს ეს არ იგრძნობა – ხალხს უნდა ერთი, ხოლო ხელისუფლება კი აკეთებს სხვას – არჩევნებამდე გაცემული დანაპირების საპირისპიროს. მოშლილია თანხვედრა და წინსვლას აფერხებს სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები, ასევე რესპუბლიკელები, რომელთა ფსევდო-პატრიოტული ლოზუნგები და მოწოდებები ქვეყნისთვის ძირგამომთხრელი საქმიანობაა, რაც (მედიცინის ენაზე) ექვემდებარება ამპუტაციას. დროა შეიგნოს ეს ქართველმა ხალხმა და განთავისუფლდეს მათგან ლეგიტიმური გზით – არჩევნებით. ეს, ვიმეორებ, შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში მოვლენ ხალხის მიერ არჩეული პროგრესიული ძალები, ეროვნული ოპოზიცია და არა ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოგდებული ანტიეროვნული ძალა. სწორედ მაშინ გახდება ადვილი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სწორი ორიენტირების შერჩევა, კონსტრუქციული დიალოგის ჩამოყალიბება როგორც რუსეთთან, ასევე ჩვენგან განდგომილ აფხაზ და ოს ხალხებთან, მათ ლიდერებთან.

რეგიონში არსებული რეალობა, აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარება, ახლო თუ შორეული პერსპექტივები ახლებურ ხედვასა და გააზრებას მოითხოვენ. სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ დაშვებული შეცდომებიდან, რათა თავი ავარიდოთ მორიგ გართულებებსა და უკუშედეგებს. განზე უნდა გადავდოთ პირადი ინტერესები და ამბიციები, თუ ერთიანი საქართველო გვინდა, თუ კი ერის გამთლიანება და გადარჩენა გვწადია. ამისათვის, ვიმეორებ, ხელისუფლებისა და ერის პროგრესული ძალების (არა ფსევდოპატრიოტებისა და დანიშნული ოპოზიციის) ერთიანობაა საჭირო. აი, მაშინ მივიქცევთ განაწყენებული და განდგომილი ხალხების ყურადღებას. ამასთანავე, საჭიროა თანამიმდევრული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე ტერიტორიებზე, რათა აფხაზებს, რუსეთის მხრიდან გამუდმებული ეკონომიკური და სხვა სახის ექსპანსიის ფონზე, გაუჩნდეთ პერსპექტივა და მიეცეთ არჩევანის საშუალება, გაერკვნენ, საით აჯობებს – ჩრდილო-დასავლეთისკენ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ეს უთუოდ შეუწყობს ხელს აფხაზების შემობრუნებისა და შემორიგების პროცესს, შეახსენებს მათ თავიანთ საწყისს, შორეულ წარსულს, აღუდგენთ ისტორიულ მეხსიერებას და შთააგონებს მათ, რომ მხოლოდ ქართველებთან თანაარსებობაა ერთადერთი სწორი გზა, მათი, როგორც ეთნოსის, გადარჩენისა. რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ იქნება საკმარისი, მაგრამ არსებულ ვითარებაში ყოველივე ამას დიდი და სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

**ნაპო მესხია,**
**აკადემიკოსი,**

---

**თანაგრძნობას ვუცხადებთ ჩვენს აფხაზ დებსა და ძმებს აფხაზეთის საამაყო შვილის, აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის**

**კონსტანტინე ოზგანის**

**გარდაცვალების გამო.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!**

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", გაზეთი "ილორი"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს გზა საყდრამდე არ მიგვიყვანს!

**„ოხ, ღმერთო ჩემო! სული ძილი, ძილი,**
**როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!"**
**ილია**

ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის დაპირებამ, რომ საქართველოში ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული სახალხო მმართველობა დამყარდებოდა და იმ ბალასტისგან განთავისუფლდებოდა, რასაც **"ნაცმოძრაობა"** ჰქვია, ყველასათვის ცხადია, რომ ჩაილურის წყალი დალია. ქართული საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, რომ რეალური მიზეზი ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლისა ამერიკული პროექტი იყო, ბოკერიას შუამავლობით, და არა ქველმოქმედის, სამშობლოზე შეყვარებული პიროვნების კეთილი ნება და ქართველებზე გულისტკივილი. ეს გარემოება მის განცხადებაშიც აისახა, როცა ბრძანა, რომ რუსეთს არ დაელაპარაკება, სანამ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. სწორედ ამიტომ, პირველი ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ, თანაც პუტინის მმართველობის პერიოდში. საგულისხმოა, რომ ლავროვმა ვილნიუსში არც მოუსმინა და არც დაელაპარაკა საგარეო საქმეთა უმწიფარ და მარიონეტ მინისტრს, რომელიც მადლიერების ცრემლებს აღვარღვარებდა მონური მორჩილებით ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისას.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლი – ვალერი გაბელია აცხადებს, რომ 2004წ. პუტინი მონდომებული იყო მოლაპარაკება დაეწყო ხელისუფლებასთან და საუკუნის პრობლემა გადაეჭრათ, მაგრამ ხელისუფლებამ არ ინება საპასუხო ნაბიჯის გადადგმა, რადგან დასავლეთი და ამერიკა ცდილობენ პოსტსაბჭოთა სივრცის დისტანცირებას რუსეთისაგან. ხელისუფლებისგან ამ თემის იგნორირება ნიშნავს, რომ არ აღელვებთ იმ ადამიანთა ბედი, საკუთარი სახლ-კარი და მიწა-წყალი რომ დაატოვებინეს და გლეხები ბაზრის მაწანწალებად აქციეს. ძალიან მეიმედებოდა ბ-ნი ბიძინას ერთი ფრაზა მისთვის ჩვეული ჟესტიკულაციით: **„აი, გახსოვთ როგორი ცხოვრება იყო საბჭოთა კავშირის დროს"**... და აღარ დაამთავრა ნაცების შიშით. მეიმედებოდა ბერას სიმღერის ტექსტიც: **„ქართული, ყველაფერი ქართული"...** თუ ვინმე ფიქრობს, რომ საბჭოეთმა დამოუკიდებლობა წაგვართვა და დღეს ამ ბედნიერებით ვტკბებით, იქნებ მიპასუხოს, რატომ იმართება ჩვენი სამშობლო ევროპა-ამერიკის დირექტივებით, თანაც უფრო ვერაგულად და მიზანმიმართულად?! ხელისუფლების წარმომადგენელთა დაავადებულ ცნობიერებაში სამშობლოს სიყვარული საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვამ ჩაანაცვლა. ფინანსდება მხოლოდ არაეროვნული პროექტები და შეჩერებულია ქვეყნის ეროვნული განვითარების ყველა ბერკეტი.

მეიმედებოდა, რომ რესპუბლიკელებს ბ-ნი ბიძინა გვერდზე გასწევდა, როგორც არაეროვნულ ძალებს, მაგრამ ყველა ბერკეტი რესპებს ჩაუგდო ხელთ და აირჩიეს ეროვნული ტრადიციების მაგინებელი პრეზიდენტი მისივე კეთილდღეობისთვის. ნაცვლად სახალხო მმართველობისა, სადაც ხალხი უნდა იყოს შემკვეთი, ხოლო ხელისუფლება – შემსრულებელი, მივიღეთ ლიბერასტული მმართველობა, რაც ემსახურება თავად ხელისუფლების წევრთა და უცხოელების, ე.წ. ინვესტორთა გამდიდრებას, ხალხისათვის და ქართული ტრადიციებისთვის მიუღებელი უცხო კანონების შემოღებას და ერის თვითგანადგურებას. თუ საქართველოს საგარეო პოლიტიკა მსოფლიო გლობალური პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს, ვინ დაუშალა ხელისუფლებას თუნდაც დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება ძველ ადგილზე? მეტიც, ძეგლი რომ არ დაბრუნდეს იმ ადგილზე საბაგირო გზის მშენებლობა დაიწყეს! დღემდე იძულებულს ხდიან საზოგადოებას სულაქოთებული კრიმინალი ნაცების განცხადებები ისმინოს ხელისუფლების წევრთა არაფრისმთქმელ განცხადებებთან ერთად დიალოგის რეჟიმში, რაც საზოგადოების ზიზღსა და სიძულვილს იწვევს.

პარლამენტის თავმჯდომარე თუ, ერთის მხრივ, მკვლელი ნაცების სახის გადარჩენას დემოკრატიის გადარჩენად მიიჩნევს, რაც 17 აპრილს პრაღაში ვიზიტისას განაცხადა, მეორეს მხრივ, უკრაინაში მიტინგების დარბევის საპასუხოდ მთავრობის მიმართ (წერილობითი) პროტესტი გამოხატა ნაცებთან ერთად და აცხადებს, რომ მთელი პასუხისმგებლობა უკრაინის ხელისუფლებას ეკისრება – ეს ამაზრზენი ცინიზმია!

ნაცების სახის გადარჩენით თავის გადარჩენა უნდა **„ოცნებას"**, რადგან დისკრედიტებულ ოპოზიციას ყოველთვის მოუგებს არჩევნებს. სხვაგვარად მას მომავალი არა აქვს.

ივანიშვილი საეკლესიო დოგმების წინააღმდეგია, მაგრამ თავად მიწესებს დოგმებს: დავით უსუფაშვილს ნუ აკრიტიკებთ, სახელმწიფო მოღვაწეა და პატივი უნდა სცეთო. ვერავინ მიკარნახებს პატივი ვცე თუ არა უსუფაშვილს, რამეთუ პიროვნება თავად უნდა აღვივებდეს ხალხში პატივისცემას თავისი განვლილი გზით, ეროვნული თვითშეგნებით, ქვეყნისა და ერის ტკივილის გათავისებით.

ხელისუფლების იდეოლოგიურმა გებელსმა, ლევან ბერძენიშვილმა ჩემი დედასამშობლო დუჟიან ფსიქოპატთან – სააკაშვილთან გაათანაბრა რეიტინგით და არჩევანის წინაშე დაგვაყენა: ევროპა თუ დამნაშავე ექსპრეზიდენტის დასჯა? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: რა თქმა უნდა სამართლებრივი სახელმწიფო ევროპისა და ამერიკის ჩინოვნიკთა დიქტატის გარეშე, რომელნიც ისეთივე კრიმინალები არიან, როგორც ნაცები. საკმარისია ამ ცისფერფალოსიანთა ხელის მოთათუნება და ხელისუფლების წარმომადგენლები უსიტყვო, მონური მორჩილებით ასრულებენ მათ დირექტივებს.

ირაკლი ალასანია გვმოძღვრავს, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ და დავაფასოთ წინა მთავრობის ძალისხმევა ქვეყანაში პროგრესის მისაღწევად. რამდენ კარში თამაშობს ეს არსება? სააკაშვილმა მართლაც დაანახა მსოფლიოს რომ ჩვენს სამშობლოს მანიაკი მართავდა 9 წელი და **„პროგრესიც"** შემოიტანა ქვეყანაში პოლიტიკური პროქტოლოგიის სახით.

საბჭოურ პერიოდში საქართველოს სახელი სტალინთან ასოცირდებოდა, ჭეშმარიტ გენიოსთან, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოს საქართველოში დაბადებული ქართველი გენიოსი მართავდა. მახსოვს უნივერსიტეტიდან შუა აზიაში მოგზაურობის დროს როგორი სიყვარულით და ცნობისმოყვარეობით დაგვყვებოდა ადგილობრივი მოსახლეობა: **„საქართველო, სტალინი"** შეძახილებით.

როცა საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი თავად ცდილობს კრიმინალის გამართლებას და კანონსამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას ეს ქვეყნის მომავალს საშიშ პრეცენდენტს უქმნის. შეკვეთილი მკვლელობის შეფასების სანაცვლოდ 10 დადებით და 10 უარყოფით ახსნას გვთავაზობს, როგორც ჩანს ლიტერატურასთან ახლოსმყოფ **„დავით ზურაბიშვილს იაპონელი მწერლის – აკუტაგავას"** ნაწარმოები წაუკითხავს და მისი იმპროვიზაციები შემოგვთავაზა.

ე.წ. პრეზიდენტმა რომელიც ზოგადი განცხადებებით იფარგლება, თავი შეიკავა **„ორი გვამის"** თემის შეფასებისაგან, სამაგიეროდ ისეთ ჯარზე ოცნებობს, რომელიც ნებისმიერ აგრესორს სურვილს დაუკარგავს საქართველოსთან დაპირისპირების. საინტერესოა, ვის უქნევს თითს უმრავლესობის პრეზიდენტი, რუსეთს თუ თურქეთს? იქნებ ალასანიას ინფორმაციას ეყრდნობა, რომ ჩვენი ჯარი პრაქტიკულად უკვე ნატოშია?

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავიდოღლუმ ღიად განაცხადა, რომ ეკონომიკის საშუალებით აპირებენ თურქული იმპერიის აღდგენას, რომლის შემადგენლობაში იყო ბათუმიც. აგრესორი აგრესორად დარჩა, შეიცვალა მხოლოდ მიდგომები და ხმალი ფულმა ჩაანაცვლა.

2004წ. 17 მარტს აზერბაიჯანში თურქეთის ელჩმა უნალ ჩევიკოვმა განაცხადა, რომ ყარსის ხელშეკრულების თანახმად თურქეთს აჭარაში ჯარების შეყვანის უფლება აქვს. პუტინი არ დაეთანხმა, მაგრამ როგორ მოიქცევა რუსეთის ხელისუფლება თუ საქართველო კვლავ ევროპისკენ აიღებს გეზს? 75-მილიონიან თურქეთს აღუდგება წინ ქართული ჯარი და საჯიშე ბიჭებს უჯიშო ხელისუფლების სკამებს შევწირავთ?

ორი საუკუნე, ფაქტიურად რუსეთთან ერთ სახელმწიფოდ ვიცხოვრეთ და ერთიანმა ტერიტორიულმა სივრცემ შეგვინარჩუნა ტერიტორია, იდენტობა და რწმენაც. მაინც, რას ელის ქართველი საკუთარი ქვეყნის ინტერესების დამცველი რუსეთის ხელისუფლებისგან, როცა თავად საქართველოს ხელისუფლება არ იცავს თავისი ქვეყნის და ხალხის ინტერესებს?

თურქეთი ცდილობს გაიმყაროს პოზიციები საქართველოში თურქი მოსახლეობის მიგრაციის ფონზე, რაც საქართველოს დიდ საშიშროებას უქმნის. არ გამოირიცხება შეიარაღებული აგრესიაც.

1974წ. თურქეთმა შეიყვანა ჯარები კვიპროსში და კუნძულის 1/3 დაიკავა. ნატოს წევრ ქვეყნის – საბერძნეთის, ასევე ამერიკისა და ევროკავშირის წინააღმდეგობის მიუხედავად მას შემდეგ არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ კვიპროსის დანარჩენი 2/3 ნაწილი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდა.

ამჟამად საქართველო ქაოტური განვითარების პრინციპით იმართება და არ არის კონცენტრირებული საგარეო საფრთხეებზე, რადგან ხელისუფლება საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით არის დაკავებული. ექსპრემიერმა მინისტრებს ხელფასები 4000-დან 8 ათასამდე გაუზარდა, ხოლო დაუბეგრავი მინიმუმი 150 ლარი დააწესეს, რაც ცინიზმი და მასხრად აგდებაა. ამ ქმედებით ხელისუფლებამ მდიდარი უფრო გაამდიდრა, ხოლო ღარიბი გააღატაკა, რაც ადამიანში კრიმინალური ცნობიერების გაღვიძების პრეცენდენტად შეიძლება იქცეს. ხელისუფლების უმოქმედობამ იძულებული გახადა საკუთარი ხალხი უცხოეთში გადაიხვეწოს, იმათხოვროს, იქურდოს, მონურად ემსახუროს დამქირავებელს. ეს ხალხის უპატივცემულობაა და ამიტომაც უცხოური კომპანიები მონებივით ექცევიან ჩვენს მოქალაქეებს. ასეთი პოლიტიკით არც უცხო ქვეყნების ხელისუფალთა მიერ იმსახურებს პატივისცემას საქართველოს მთავრობა.

თუ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, კერძოდ, ყაზახეთში პენსია 200$-დან 400$-ის ეკვივალენტია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით და ინფლაციის შემთხვევაში მოსახლეობა კომპენსაციასაც კი იღებს, ეს მმართველი ხელისუფლების გონიერებაზე მიუთითებს, რომელიც მალე ქვეყანას ევრაზიულ კავშირშიც გააერთიანებს.

საქართველოში კულტურის ძეგლებსაც სტატუსი ჩამოართვეს, საავადმყოფოებიც გაყიდეს, რის შედეგადაც კვალიფიციური ექიმის კონსულტაცია გაორმაგდა და გასამმაგდა, ხოლო საზოგადოებას დაზღვევის სახით ძაღლივით ძვალი გადაუგდეს. ასეთ დაზღვევას სჯობდა კარგად დავიწყებული ძველი გაიხსენონ, როცა სრულიად უფასო გვქონდა სამედიცინო მომსახურება და **„ევროპისკენ მიმავალ გზაზე"** წითელი ჯვრის საავადმყოფო გახსნან, სადაც უფასოდ იმკურნალებდა მოსახლეობა.

ბ. ივანიშვილის გარემოცვის ფალოსმორტყმულმა წევრებმა ექსპრემიერის არასამთავრობო ორგანიზაციის **„მოქალაქის"** გენ.დირექტორად გაურკვეველი ორიენტაციის **„ფალოსჭამია"** პიროვნება შეუგდეს, რომელიც 2012წ. **ლგბტ** საზოგადოების შეკრების ინიციატორი იყო ემზარ ჯგერენაიასა და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორ გ.კეკელიძესთან ერთად. მათ პატივსაცემად გამართულ შეხვედრაზე ეროვნული ბიბლიოთეკის ფრანგულ დარბაზში ფალოსის ფორმის ტორტიც დააგემოვნეს. ეს ყოველივე ექსპრემიერის ღირსების შესალახად მოაწყეს რესპუბლიკელებმა, პიროვნების, რომელმაც სარკოფაგიდან ამოღებული მუმიადქცეული რესპუბლიკელები გააცოცხლა და ქვეყნის მართვის სადავეები ჩააბარა. კიდევ არაერთ სირცხვილს იგემებს ბ-ნი ბიძინა მისი რჩეული დასავლური ორიენტაციის მქონე **"კარგი გუნდის"** წყალობით.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეროვნული სული უნდა ტრიალებდეს და არა სულაქოთებულთა სიმყრალე. მათთვის უმჯობესია რომელიმე ევროკავშირის წევრ ქვეყანაში **ლგბტ** წარმომადგენლებს სექსუალური მომსახურება გაუწიონ.

დიდ პატივისცემას გამოვხატავ ი. ღარიბაშვილის მიმართ, მაგრამ ასეთი გუნდი არც ქართულ საქმეს გააკეთებინებს და მის დისკრედიტაციასაც შეეცდება.

მსგავსი ცნობიერების ადამიანები **„მეგობარ"** ევროპელთა თუ ამერიკელთა მითითებით აღრმავებენ შუღლსა და დაპირისპირებას. ამის მაგალითია უკრაინაც, სადაც ქვეყნის **„დემოკრატიული"** ოპოზიციის ლიდერი ვ. კლიჩკო, რომელიც პირად გამორჩენაზეა ორიენტირებული, დედასამშობლოს დასანგრევად მზად არის. იმ ქვეყნის დასანგრევად, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში თუჯის, ფოლადის, ქვანახშირის, მარცვლეულის და სხვა პროდუქტების წარმოების მხრივ ჩემპიონი იყო ევროპის ქვეყნებთან შედარებით და ეს კომპარტიის მე-19 ყრილობაზეც აღინიშნა. აი, რატომ ისწრაფვის უკრაინისკენ ევროკავშირი, რომელსაც როგორც ვამპირს მსგავსი ქვეყნების სახით ახალი, ცხელი სისხლი სწყურია თავისი არსებობის გასახანგრძლივებლად. ოპოზიციის ლიდერი ზნეობრივ დეფიციტსაც განიცდის. ამას ადასტურებს გერმანულ გეიჟურნალ MAX-ისთვის გადაღებული მისი შიშველი ფოტოსურათები, რითაც უცხო ქვეყნის პედერასტებს თავისი დაკუნთული სხეულით ვნებას აღუძრავს. ასეთმა კაცმა უნდა მართოს უკრაინის პოლიტიკური პროცესები?

საპარლამენტო უმრავლესობას არ უჩნდება პროტესტი იმ სისტემის წინააღმდეგ, რაც გვამებზე და სისხლზე აგებული ხელისუფლების წარმომადგენლებმა შექმნეს. მეტიც, მათ გზას აგრძელებენ გვამებისა და პოლიტიკური პროქტოლოგიის გარეშე. სამწუხაროა, რომ საუკუნეების მანძილზე მტერთან მებრძოლი ქართველის სულში ჩაკლეს სიმართლის გრძნობა და გამოხატვის თავისუფლება.

სამაგიეროდ, ბელგიის პარლამენტის წევრს – დორან ლუის სკანდალურმა გამოსვლამ ბრიუსელში, რომელიც სისტემას დაუპირისპირდა, ოდესმე ქართველთა გამოღვიძების იმედი ჩამისახა: **"...წადით თქვენი, ყველასი... მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული, ე.წ. კეთილისმყოფელი პარტიებისა, კორუფციული ელიტის ფეხსაცმლის ლანჩის მლოკავებისა, წადით თქვენი, ყველასი... ვინც თამაშობს ბომბებით; წადით თქვენი... ვინც დემოკრატად ასაღებთ თავს და სინამდვილეში სისხლის სამართლის საზიზღარი დამნაშავეები ხართ!"**

პარლამენტარის გამოსვლა სრულიად ასახავს საქართველოს დღევანდელ რეალობას და მოუთმენლად ველი ჩვენი ღირსების მქონე პრემიერი მსგავს მიმართვას კარგი კახური ტრადიციულით როდის დააბოლოვებს!

მანამდე კი მინდა ნ. დუმბაძისეული პათოსით თავად მივმართო დაავადებული ცნობიერების მქონე საქართველოს რიგით თუ საჯარო პირებს: – **"გაიღვიძეთ, სამშობლოს გამყიდველებო, მკვლელებო, მკვლელობის და გვამების შემკვეთებო, დამყაჩაღებლებო, მწამებლებო, კრიმინალთა მფარველებო, "ოცნებაში" ჩანერგილებო, პროქტოლოგ-პედერასტებო, ფალოსჭამიებო, თაღლითებო, მანიაკებო; გაიღვიძეთ, „"აშენ-და", ევროკავშირში ხართ!"**

ფუი!

**იზა თამაზაშვილი,**
**ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე**

# მოგზაურობა კავკასიაში

## სვატოპლუკ ჩეხი

*ქუთაისი-სვანეთი-მოწამეთა-გორი-უფლისციხე-თბილისი-კოჯორი-თეთრიწყარო-მანგლისი-არაგვისპირეთი-ვლადიკავკაზი*

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ჩემს თანამემამულეს მხარში ამოუდგა მეზობელი, რომელმაც თითქმის გამოაცარიელა საკუთარი ბინა და ჩვენ დაგვითმო ორი სკამი და რკინის საწოლი, ყველაფერი ეს საკმარისი გახლდათ სტუმრებისათვის.

ამ თავაზიან მეზობელს სახლის მეორე ოთახი ეკავა. ახალგაზრდა, ხმელ-ხმელი შეუხედავი კაცი იყო დოქტორი ლინდერი, როგორც გვარმა მიგანიშნათ, ეროვნებით გერმანელი გახლდათ, წარმოშობით ვგონებ, შუაგულ შვარცვალდიდან. ბუნების რა განგებამ მოავლინა იგი კავკასიაში ან რა კაცად მიიჩნევდნენ ნაცნობები, ვერაფერს მოგახსენებთ. მხოლოდ ის ვიცი, თბილისში ერთი რუსი მოხელის ოჯახში მასწავლებლად იყო. ახლაც ამ მოხელის ცოლშვილს ახლდა თეთრწყაროში.

გეგონებოდა უხილავმა ფერიამ შემოაშუქა ჩვენს ოთახშიო და მასპინძელს დახმარების ხელი გაუწოდაო. მაგიდაზე გაჩნდა ქათქათა სუფრა. დაიწყო ვახშამი. გაჩნდა წითელი კახურით სავსე დოქი, ჭიქას ჭიქაზედ ვცლიდით, დოქი კი პირამდე სავსე იდგა.

ისე კარგად მოვილხინეთ გვიან ღამემდე, როგორც სჩვევიათ საერთოდ უცოლო მამაკაცებს. ჩვენი მხიარულება მატულობდა ყოველი ყლუპის შემდეგ. კაპელმაისტერმა მ-მა სულ დაჰკარგა ხალისიანი დიდებულება, ბროწეულივით აუწითლდა პირისახე, სწორედ ისე, როგორიც ღვინო იდგა მის ჭიქაში. ყბედი გერმანელი აღარ მომეშვა, გამომიცხადა, დანახვისთანავე სულიერი ნათესაობა ვიგრძენი შენთანო. დიდხანს მელაპარაკა განყენებულ თემებზე, გამუდმებით მარწმუნებდა, პოეტი ვარო, ვრცელი ეპიკურ-ლირიკული პოემა **„სილვია“** დავწერეო და თუ ნებას დამრთავთ, ნაწყვეტებს წაგიკითხავთო. მეცნო პოეტის ტრაგიკული ბედი: **„უკვდავ“** ქმნილებებს რომ თხზავს უცხოობაში, გულგრილი საზოგადოების წიაღში.

ამიწერა, თუ როგორ დაეხეტებიან ის და მისი აღსაზრდელი მთელი დღეობით თეთრიწყაროს უმშვენიერეს ჭალაში თუ უსიერ ტყეში, როგორ აგროვებენ ყვავილებსა და ხოჭოებს. მაჩვენა თავისი კოლექციებიც. ეს კოლექციები, კავკასიური ბუნების ზღაპრული სილამაზის მადლიერების ნიშნად, მართლაც, რომ ღირდა სანახავად. აქ ვნახე თითქოს ოქრომჭედლის ნაქანდაკევი რქიანი ხოჭოები, უნატიფესი ნაშთებით ფრთამოხატული პეპლები, სხვათაშორის, მე არაერთი კერძო პირის კოლექცია მინახავს და მათთან შედარებით თბილისის მუზეუმის კოლექცია უბადრუკად მომჩვენებია.

დოქტორი ლინდერი რუსულ ენასთან მწყრალად იყო, მხოლოდ რამდენიმე აუცილებელი სიტყვა იცოდა, სამაგიეროდ, სიყვარულით გამსჭვალულიყო ყოველივე თათრეულისადმი. მიქებდა თათრული ენის ჟღერადობასა და ხატოვანებას. მარწმუნებდა, კავკასიელი თათრების ყოფასა და ადათებში თვითმყოფადი პოეზია სჭვივისო.

მაჩვენა მოზრდილი ბროშურის მოცულობის ხელნაწერი, რომელიც უკვე გაემზადებინა შინ გასაგზავნად. დაწვრილებით აღწერდა ამიერკავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრების სურათებს. ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისიანებზე ეს ნაშრომი შორეულ შვარცვალდში. მოხუცი მამა ჯერ შეძრწუნებულ ოჯახის წევრებს წაუკითხავს, მერე სათუთად დაკეცავს, წაიღებს სადმე ტყის პირას, ბუსნოზე და ახლა მეზობლებს მოასმენინებს საოცარ ამბებს.

სხვა რა ილაპარაკა დოქტორმა ლინდერმა, აღარ მახსოვს; არც ის ვიცი, როდის დაიცალა ჯადოსნური სურა. მეორე დღეს კაპელმაისტერ მ-ს სიცილმა გამომაღვიძა და ძლივს წამოვწიე თავი დახვეული ნაბდის სასთუმლიდან.

### ოსი მეგობრები

მარტოდმარტო დავეხეტები ვლადიკავკაზის — კავკასიის ჩრდილო კარიბჭის ქუჩაბანდებში. ვიდრე ქუჩის ბოლომდე მივაღწევდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო ფორანთან თავშეყრილმა ხალხმა. მთელს კავკასიაში ასეთ ფორანს ურემს ეძახიან. შეკრებილთა შორის იდგა ჩია ტანის, ჯმუხი და ულამაზო სახის მამაკაცი, თუმცა ერთობ საინტერესო გამომეტყველებით. აქაურების გამაოგნებელ სილამაზესა და ნატიფ, თითქმის მდიდრულ სამოსს მიჩვეულს მეჩოთირა ამ კაცის გარეგნობა, როგორღაც მოშვებულად იდგა. ტანსაცმელი დაუდევრად ეცვა. გრძელი, რუხი ჩოხა ნათხოვარივით ეკიდა მხრებზე. სამასრე გულისჯიბეები ცარიელი ჰქონდა. დახეული შარვალი ეცვა. ფეხშიშველა იყო. გვერდზედ ჩამოეფხატა გაცვეთილი ფაფახი. მოკლედ შეკრეჭილი წვერი კი ულაყის ხერხემალზედ გაბნეულ ჯაგარს მიუგავდა. იქვე ძიძგილაობდა ორი მაღალ-მაღალი, ხვლიკივით მარდი ყმაწვილი. მთელი მათი ჩაცმულობა შარვლისა და მკერდგაღეღილ პერანგისაგან შედგებოდა, ერთიცა და მეორეც რიგიანად დაცრეცილი და ნახმარი უნდა ყოფილიყო. ის, რაც ამ ჩაცმულობას ასე თუ ისე მაინც მოხდენილს ხდიდა, გახლდათ უმშვენიერესი ბოშური კოლორიტი და ხასიათი. მიუხედავად ყოველივე ამისა, სახე საოცრად ლამაზი და მშვენიერი ჰქონდათ, თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდათ, კბილები სპილოს ძვალივით უქათქათებდათ.

ურმის ხელნაზე ჩამომჯდარიყო მოციმციმე ცისფერთვალება, სანდომიანი სახის ჭაბუკი. ჭორფლიც კი თავისებურ იერს მატებდა, მისი სამოსი სხვათა ჩაცმულობისაგან ნაბდის ქუდით განსხვავდებოდა. ამ ქუდმა გამაკვირვა, ეს იყო განსაკუთრებული ფორმის ნაბდის შლაპა წაწვეტებული ბოლოთი და ზემოთ ოთხკეცად გამოყოფილი არშიით; მსგავს შლაპებს ერთ დროს ჩვენში ატარებდნენ. ბოლოში ღილი ამშვენებდა, ღილს კი შავი ძაფის ფუნჯი. ასეთმა თავსამკაულმა გამაოცა, იმიტომ რომ კავკასიაში აქამდე არსად მენახა შლაპა, როგორც ეროვნული სამოსის დამახასიათებელი ნიშანი.

აქვე ერთი დედაბერი იყო. წვეტიანი ნიდაყვებით დაყრდნობოდა ძელს, რომელიც უღლის მაგივრობას ეწეოდა. გრძელსახელოებიან ქურთუკში გამოხვეულს განიერი და უყაირათოდ შეკერილი შარვალი ეცვა, რომლის ბოლოები საგულდაგულოდ გაენასკვა რატომღაც. ერთიცა და მეორეც, სიმართლე უნდა ითქვას, დაძონძილი ჩვრები უფრო იყო, ვიდრე ტანისამოსი. რაც შეეხება მისი თავდაპირველი ფერის ამოცნობას — ნურას უკაცრავად, ადვილ საქმეს როდი წარმოადგენდა. თავზედ შემოხვეული რუხი მანდილი საკმაოდ შვენოდა მის ჭორფლიან, ქარდაკრულ სახეს.

სურათი რომ სრული გამოვიდეს, უნდა დავსძინო, რომ ამ მხარეში ურემი უსათუოდ გადატვირთულია ათასგვარი ნივთებითა და აღკაზმულობით. აი ამ დედაკაცის ურემი, მაგალითად, სავსე გახლდათ რაღაცა კასრების მსგავსი სხვადასხვა ზომის ჭურჭლეულით, ტომრებითა და გოდრებით. ზემოდან თითქოს თავმომწონედ გადაჰფარებიაო დაფერადებული კალათები, ზოგი წნელისა, ზოგიც — დაფნის. კალათები პირამდე სავსე იყო მთაში დაკრეფილი მარწყვით.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი წვრილმანი უკიდურეს სიღატაკეზე ღაღადებდა, ეს ჯგუფი შემოსილი იყო ცოცხალი, აყვავებული ბუნების მადლით. თავი ვერ შევიკავე და გადავწყვიტე საფუძვლიანად გავცნობოდი მათ.

დინჯად მივუახლოვდი მამაკაცს და მორიდებით ვკითხე, კენკრას რამდენად ჰყიდი-მეთქი.

— აბაზად, — გულგრილად მომიგო მან და ხოკერი მიჩვენა (აბაზი — ქართული ვერცხლის მონეტაა, 20 კაპიკის ღირებულების, ჩვენებურად 30 კრეიცერი იქნება).

— ძვირია, — ვუთხარი.

— ვერ იყიდი და ისე წაიღე! — ღიმილით მითხრა და ერთი კენკრა გამომიწოდა.

ნაჩუქარ ხილს შევცქეროდი და თან ვეკითხებოდი, რომელი ერის წარმომადგენელი ხარ-მეთქი.

— ოსები ვართ, — გაკვირვებულმა მიპასუხა რატომღაც და განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა.

რა დაგიმალოთ და ძალიან გამიხარდა. ადრეც მინდოდა გავცნობოდი ამ მცირერიცხოვან ხალხს, რომელთა შესახებ სხვადასხვა თხზულებაში წამიკითხავს: გარეგნობით, ადათით და ენით გერმანელებთან მსგავსებას ავლენენო. გულით მეწადა გამეგო, მართალი იყო თუ არა ეს თვალსაზრისი. საინტერესოდ მიმაჩნია ეს საკითხი. ცოტა ქვემოთაც მოგახსენებთ ზოგ რასმე გაკვრით. აქვე შევნიშნავ, რომ გარდა სიტყვათა მსგავსებისა, ოსი ვაჟის შლაპამ გამიორკეცა ინტერესი.

ისედაც მაინტერესებდა ოსების გაცნობა. თბილისში მეუბნებოდნენ: გაუტეხელი, უცილობელ-უზიანო და სასოწარკვეთილი ხალხიაო, მათთვის ფუფუნებას თუ ქონებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვსო. ოსის ოჯახში თუ ფეხი შედგი, — მომითხრობდნენ ისინი, — განსაკუთრებული პატივისცემით მიგიღებს სტუმარს, მოგართმევს სულითა და გულით ყველაფერს, რაც კი მოეძევება; ვიდრე მის ჭერქვეშ იმყოფები, სტუმარს აუგად ვერავინ მოიხსენიებს და არც არავინ შეეხება უდიერად, მაგრამ გასცდები თუ არა მასპინძლის ზღურბლს, გახსოვდეს, რომ შენი თავის პატრონი შენ თვითონა ხარ; ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის შენსა და შენი სიცოცხლის წინაშე.

აღიარეთ, ხალხნო, თქვენც სიამოვნებით გაეცნობოდით კანონებით გაურყვნელსა და ბუნების ჭეშმარიტ შვილებად შერაცხულ ხალხს.

ოსი ზედაც არ მიყურებდა, თავის ურემს დასტრიალებდა. მე კუდში დავდევდი და გაფაციცებით მივჩერებოდი.

— გეთაყვა, ერთი მითხარი, აი, ამას ოსურად რა ჰქვია? — შევეკითხე მისდა მოულოდნელად და თითით მარწყვისკენ ვანიშნე.

— ამას? — დამტვრეული რუსულით ჩაილუღლუღა და გაოცებულმა თვალი თვალში გამიყარა, ჩვენ ამას ნარიშკებს ვეძახით, — თქვა ბოლოს.

— ამას რაღას ეძახით? — ახლა კი ჭაბუკის შლაპაზე მივუთითე, პასუხიც ვერ მოასწრო, რომ სწორედ ეს ჭაბუკი დაიძრა ჩემკენ, ცნობისმოყვარეობამ თუ უბიძგა.

— ნამატ ხუტ — სანდომიანად მომიგო მამაკაცმა, ამის თქმა და შლაპიანი ღიმილნარევი სახით მხარში ამომიდგა. ბიჭებმა ჭიდაობას თავი ანებეს, წამოხტნენ, წინ გადამიდგნენ და ცნობისმოყვარეობით მომაჩერდნენ. ქათქათა კბილებს აელვარებდნენ. მხოლოდ დედაბერი არ განძრეულა. არაკეთილმოსურნედ უნდა ყოფილიყო ჩემდამი განწყობილი.

ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა **„ნამატ ხუტის“** გაგონებაზე, — შლაპა **„ნამატ ხუტ“, „ხუტ“** — რა მსგავსებაა, მისი წარმოთქმისთანავე წარმოვიდგინე, რომ ჩემ წინაა გერმანელ ჯვაროსანთა ჯარების შთამომავალნი, რომელნიც საუკუნის წინათ კავკასიის მთებში ხეტიალის შემდეგ შემორჩნენ. ცნობისმოყვარეობამ მოლოდინს გადააჭარბა.

**თარგმანი ალ. კაკულიასი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# სუმელას მონასტერი — ჩვენი უძველესი ძეგლი



**„სუმელა“** მეგრულ-ლაზურიდან ქართულ თარგმანში იგივეა რაც **„სამება“** და არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი ვერსია, რომ მონასტრის სახელწოდებაც აქედან მოდის...

მონასტერი მდებარეობს ტრაპიზონთან ახლოს 1200 მეტრი სიმაღლის მთაზე და იგი დაარსებულია 386 წელს...

მას შემდეგ, რაც საბერძნეთმა და თურქეთმა ლოზანის კონფერენციის დებულებების თანახმად მოახდინეს მოსახლეობის გაცვლა, სუმელადან ბერძნები გადასახლდნენ, რამაც გამოიწვია სამონასტრო ცხოვრების შეწყვეტა. მონასტრის რელიქვიები, მათ შორის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი დაკარგვას გადაარჩინეს პონტოელმა ბერძნებმა, ხოლო მოგვიანებით, 1930 წელს გადააბრძანეს საბერძნეთში და დააბრძანეს მაკედონიის ქალაქ ვერიაში.

საუკუნეების განმავლობაში სუმელას მონასტერი ითვლებოდა არა მარტო ბერძნების, არამედ ქრისტიანული სამყაროს წმინდა ადგილად, თუმცა თურქეთის ხელისუფლება მეტად მტრულად შეხვდა მართლმადიდებელ მომლოცველებს. მონასტრის მოლოცვა პირველად შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2007 წელს. 2009 წლის 22 ნოემბერს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ თურქეთის სახალხო კრების თავმჯდომარე მეჰმედ ალი-შაჰინი და რუსეთის დუმის დეპუტატი, პარლამენტთაშორისი კომისიის კოორდინატორი ივან სავიდი (დაბადებული საქართველოში, სოფელ სანთაში). შეხვედრაზე განიხილეს მომლოცველთა პრობლემები, მათ შორის 2009 წლის 15 აგვისტოს ტრაპიზონის აეროპორტში მომხდარი ინციდენტი, როდესაც მართლმადიდებელ მღვდელს გახადეს ანაფორა და აჰყარეს ჯვარი, თითქოსდა ხელისუფლების ბრძანების მიხედვით.

2010 წელს თურქეთის კულტურის სამინისტრომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ბართლომე I-ის თხოვნის საფუძველზე ნება დართო მონასტერში აღედგინათ 1922 წელს შეწყვეტილი ღვთისმსახურება. 2010 წლის 15 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, პატრიარქმა აღავლინა ლიტურგია სხვადასხვა ქვეყნის მომლოცველებთან ერთად.

2000 წლის 25 თებერვლიდან მონასტერი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

ყოველი წლის 15 აგვისტოს, ბერძნული კალენდრით მარიამობის დღესასწაულზე სუმელას მონასტერში ქრისტიანული ღვთისმსახურება აღევლინება. ამ დღეს მონასტერში უამრავი მომლოცველი მიდის. სხვა დროს, როგორც ყველა ტურისტულ ობიექტში, წირვა-ლოცვის ჩატარება, პარაკლისის აღსრულება, სანთლის დანთება — შეუძლებელია. წესის დამრღვევი ჯარიმდება...

რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ვაიქართველების საქციელს, რომლებიც ყოველივე ამის შემდეგ თურქეთს ჩვენს კეთილისმყოფელ მეგობარ ქვეყნად მოიხსენიებენ, ხოლო საქართველოში თურქები იმდენად მიუშვეს თავის ნებაზე, რომ თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე ქრისტიანები თურქებისაგან ბევრად შეზღუდულად გრძნობენ თავს.

თურქებს რომ თავი გავანებოთ, ასევე ძალიან გვიჭირს იმ აზერბაიჯანის მეგობარ ქვეყნებთან ერთად მოხსენიება, რომელიც უფლებას არ აძლევს აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველ ქრისტიან მრევლს, რომ კახში მდებარე ქურმუხის ეკლესიაში ქრისტიანული წესით აღავლინონ წირვა-ლოცვა. ქურმუხის ეკლესიის გასაღები მოლას უდევს ჯიბეში და მხოლოდ მაშინ უღებს ეკლესიის კარებს მომლოცველებს, როცა მოეპრიანება. ამაზე რატომღაც ხმას არ იღებენ ის არასამთავრობოები და პარლამენტარები, რომელთა ინიციატივითაც მიღებული იქნა საქართველოში ყოველი სახის უმცირესობის დამცველი ანტიდისკრიმინაციული კანონი.

ასევე არაფერს ვამბობთ იმ, თავხედ გრიგორიანელ მონოფიზიტ სომხებზე, რომლებიც ექვსასამდე ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას იჩემებენ.

კი გვიბოძა უფალმა თავისთვის გახაზირებული საბოსტნე მიწა ქართველებს, მაგრამ, ამავე დროს, რატომ მოგვისახლა ჩვენს სამანებზე ასეთი გაღორებული და მუდამ სხვის მიწა-წყალზე დახარბებული მეზობლები, დღემდე ამოუხსნელ ამოცანად რჩება...

**საქ. ინფ.**

# ვინ არის "მასტერა" – გახმაურებული დანაშაულები, რომელიც გიორგი დგებუაძის სახელს უკავშირდება



2016 წლის 22 მარტს, გამთენიისას, ნიდერლანდების სამეფოდან საქართველოში ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი გიორგი დგებუაძის, იგივე **"მასტერას"** ექსტრადირება განხორციელდა. **კუდ**-ის ყოფილი მაღალჩინოსანი გიორგი დგებუაძე საქართველოს პროკურატურის მოთხოვნით ჩამოიყვანეს.

ვინ არის სააკაშვილის მთავრობის მაღალჩინოსანი **"მასტერა"**, რომელიც ძებნაში 2013 წლის 7 მარტიდან იმყოფებოდა?

**"ვარდების ხელისუფლების"** ჯალათად წოდებულ პოლიციელზე საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის. როგორც ცნობილია, მის ბიოგრაფიას გრიფი **"საიდუმლო"** ადევს, მედიაში პერიოდულად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გია დგებუაძე, იგივე **"მასტერა"** გასული საუკუნის 90-იან წლებში ცნობილი **"იოსებიძელების"** საძმოს წევრი იყო (საძმო მეტწილად იოსებიძისა და მისი მეზობელი ქუჩების მცხოვრები ახალგაზრდებისგან შედგებოდა, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული იმხანად ყველაზე თავზეხელაღებულ **"კულინარიელებთან"**. იმდროინდელი განგსტერული ქრონიკების გმირები **"მასტერას"** ვერ იხსენებენ, თუმცა, ამბობენ, რომ ზუგდიდელი კანონიერი ქურდის, ზურაბ დგებუაძის (ზუგდიდსკის) ნათესავია. სავარაუდოდ, კრიმინალურ სამყაროსთან მისი ურთიერთობაც აქედან მოდისო.

პროკურატურის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ 2005 წლიდან გიორგი დგებუაძე იკავებდა შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეორე სამმართველოს უფროსის თანამდებობას, ხოლო მოგვიანებით თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩანა ახალაიას ბრძანებით დაინიშნა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსად.

გიორგი დგებუაძეს ბრალად ედება 2006 წლის 12 იანვარს, **კუდ**-ის უფროსთან დავით ახალაიასთან და ამავე დეპარტამენტის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, **"ნავთლუღის"** ავტოსადგურში სამი ახალგაზრდის – შოთა გორგაძის, მარად ართმელაძისა და რომან სურმანიძის წინასწარ დაგეგმილ მკვლელობაში მონაწილეობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. 21 წლის რომან სურმანიძე, 17 წლის შოთა გორგაძე და 23 წლის მარად ართმელიძე მაშინ საშიშ დამნაშავეებად გამოაცხადეს. ოფიციალური ვერსიით, ახალგაზრდები პატიმარ გიორგი გორგაძესთან შეთანხმებით, მსჯავრდებულების ციხიდან გაქცევის მიზნით, რუსთავის ციხეზე შეიარაღებულ თავდასხმას გეგმავდნენ. მოკლულთა შორის პატიმარ გორგაძის 17 წლის ძმა, შოთა გორგაძეც იყო. ინფორმაცია **"ციხეზე შესაძლო თავდასხმის"** შესახებ **კუდ**-ში შევიდა. ამის საფუძველზე კი ნავთლუღის ავტოსადგურის ტერიტორიაზე სპეცოპერაცია ჩატარდა. ბიჭებს 10-11 ტყვია ჰქონდათ მოხვედრილი...

### "მასტერას" ცოდვები

დათა ახალაიას მარჯვენა ხელმა გიორგი დგებუაძემ საქართველო არჩევნების შემდეგ დათა ახალაიასთან ერთად დატოვა. **"მასტერა"** ცნობილი იყო, როგორც ზონდერჯგუფების ხელმძღვანელი. მას ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და წამების ორგანიზება ედება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დგებუაძის სახელი ფიგურირებს ნავთლუღის სპეცოპერაციის, ასევე რეინჯერ დავით ცინდელიანის, თავდაცვის სამინისტროს მზვერავ პაატა ქარდავასა და ბათუმელი სამხედრო მზვერავ როინ შავაძის მკვლელობის საქმეში. მისმა სახელმა ასევე გაიჟღერა ბადრი პატარკაციშვილისა და ოპერაცია **"ენვერის"** საქმეებში.

2007 წელს, როდესაც ქართველი მილიარდერის ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვამ იმდროინდელ ხელისუფლებას მოსვენება დაუკარგა, სპეცსამსახურებმა საქმეში გარკვევა და ბოლომდე მიყვანა, **"მასტერას"** მიანდეს. მან მსგავსი საქმეების უბადლო ოსტატი უვაის ახმადოვი გაიხსენა... ისინი ერთმანეთს სავარაუდოდ, დუბაიში შეხვდნენ. ცხრა ძმა ახმადოვს ჩეჩნეთში ყველა იცნობდა. ომის დროს საველე მეთაურები იყვნენ, მშვიდობიანობის დროს კი ადამიანების გატაცებაში ბადალი არ ჰყავდათ. დადიოდა ლეგენდები, რომ მათ შეეძლოთ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან გაეტაცებინათ ნებისმიერი რაოდენობის ადამიანი. ომსა და კრიმინალურ გარჩევებს ცოცხალი ორი ძმა გადაურჩა. ისინი 2001-2003 წლებში პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ცენტრის ქოლგის ქვეშ მშვიდად აგრძელებდნენ ჩვეულ საქმიანობას.

**"მასტერა"-ახმადოვის** მოლაპარაკებებისას დასახელდა კიდეც პატარკაციშვილის კილერის კონკრეტული გვარი – ეს რუსლან პაპასკირი (ზოონი) უნდა ყოფილიყო, რომელიც იმხანად სტამბოლში დოკუ უმაროვის თანამოაზრეებზე ნადირობდა. შესაჯერებელი იყო მკვლელობის დეტალები, აჯობებდა, მკვლელობა ჰაერში მომხდარიყო... თითქოს ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაგრამ მოულოდნელად ახმადოვმა საქმეზე უარი თქვა...

თუმცა ჩეჩენი ავტორიტეტი ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა. მან კარგად იცოდა, რომ ქართველი სპეცსამსახურების ნდობა არ შეიძლებოდა და **"მასტერასთან"** ყველა საუბარს იწერდა. ბერეზოვსკის ჩანაწერები 1.500.000 დოლარად მიყიდა, ბერეზოვსკიმ კი პატარკაციშვილს მისცა. 2007 წლის დეკემბერში ეს ჩანაწერები ქართული საზოგადოებისთვისაც გახდა ცნობილი. როცა 2012 წლის ნოემბერში სტამბოლში რუსლან პაპასკირი დააკავეს, **"მასტერას"** სახელი თურქი სამართალდამცავებისთვისაც გახდა ცნობილი.

2012 წლის იანვარში **"მასტერა"** ბაჩანა ახალაიამ თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანა, განუყრელ მეგობრებთან მეგის ქარდავასა და ალექსანდრე მუხაძესთან ერთად. სამხედრო მოსამსახურეებთან **"მუშაობის"** გამოცდილება **"მასტერას"** 2008 წლიდან ჰქონდა. 2008 წლის 16 აგვისტოს სპეცრაზმის თანამშრომლებს აჭარიდან თბილისში გადმოჰყავდათ დღემდე დაუდგენელი მოტივით დაკავებული სამხედრო მზვერავი როინ შავაძე, რომელიც იმ დროს რატომღაც სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს. გზაში ის უამრავი თვითმხილველის წინ დახვრიტეს (მოკლულს 28 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი). ოფიციალური ვერსიით, შავაძემ გაქცევა სცადა. მზვერავის ქვრივი დღემდე აცხადებს, რომ მისი მეუღლის მკვლელობაში გარეულია **კუდ**-ის იმდროინდელი ხელმძღვანელობა – დათა ახალია, გია დგებუაძე და აჭარის **კუდ**-ის უფროსი თემურ პატარიძე.

2012 წლის სექტემბერში, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, **"მასტერა"** მიხვდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში არც მას დაადგებოდა კარგი დღე და გაქცევით უშველა თავს. თანაც ამბობენ, რომ **"შავი დღისთვის"** გადანახული უამრავი კომპრომატი გაიყოლა ჰოლანდიაში... ასე რომ, **"მასტერას"** საქართველოში ჩამოყვანა სავარაუდოდ, მრავალ გახმაურებულ თუ გაუხმაურებელ დანაშაულს ახდის ფარდას...

**"მასტერა"** სავარაუდოდ, ოქროს მოწმე იქნება მერაბიშვილის, ადეიშვილისა და თვით სააკაშვილის საქმეებშიც. ყველაზე მეტად კი ახალაიების საქმეში. ამაზე საუბრობს **"კვირის პალიტრისთვის"** 2015 წელს მიცემულ ინტერვიუში ადვოკატი მამუკა ნოზაძე: **"დგებუაძე მნიშვნელოვანი მოწმე იქნება ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთის საქმეშიც – ფარულ ჩანაწერებში ჩეჩენ საველე მეთაურთან დგებუაძე აწარმოებს მოლაპარაკებას (ამაზე ირაკლი ოქრუაშვილმაც ილაპარაკა). ბიზნესმენის მკვლელობა მათ ჩეჩენ ტერორისტს შეუკვეთეს და დგებუაძის აღიარება გამოააშკარავებს შეკვეთილ მკვლელობას. გაცხადდება ციხის ბუნტთან, ნავთლუღის სპეცოპერაციასთან, გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია თუ სხვა. "მასტერა" გახმაურებული საქმეების 90%-ში მონაწილეობდა. მეეჭვება, მან დუმილის უფლება გამოიყენოს, როგორც წესი, ასეთი ადამიანები ვერ უძლებენ საპატიმროს და ადვილად თანხმდებიან შეთავაზებას, რომ შეღავათების სანაცვლოდ, თქვან სიმართლე. ამის მაგალითია ოლეგ მელნიკოვი, რომელმაც, ფაქტობრივად, ყველაფერი თქვა. მან ყველას წინააღმდეგ მისცა მამხილებელი ჩვენება".**

---

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა მოძრაობის დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერი**

**მუშნი გახარია...**

**უფალმა გაანათლოს ამ დიდებული ადამიანის სული...**

---

# და წარვსდგე ჩემს მეუფესთან, ხელდანთებული ცვილითა...



93 წლის ასაკში გარდაიცვალა სევარიონ ვლადიმერის ძე ბარბაქაძე, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი – ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, სოფლის სინდისად აღიარებული ღვაწლმოსილი პიროვნება, ადამიანი, რომელიც ლამის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შრომობდა და დოვლათს ქმნიდა.

ბუნებაში გარდაიქმნა დამაშვრალი ბერიკაცი...

სევარიონ ბარბაქაძე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც მოუკვდა და არა მხოლოდ ოჯახს, არამედ სოფელს, ქვეყანას, საზოგადოებას, რადგან იგი ერისა და ბერის მორალური და ზნეობრივი ორიენტირი გახლდათ.

ძნელია, იმ გაძაღლებულ ყოფაში, რაც ჩვენმა ქვეყანამ და საზოგადოებამ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში გადაიტანა, ლამის 100 წელს მიაღწიო ისე, რომ სოფელში მომდურავი არავინ გყავდეს.

არავინ დარჩენია მომდურავი კახეთის მხარეში ილია ჭავჭავაძის მიერ, საქართველოს საზღვრების განსამტკიცებლად, მეოცე საუკუნის დასაწყისში დასახლებულ იმერელთა შთამომავალს, იმიტომ, რომ უხმო, მშრომელი კაცი იყო, გასაჭირში ჩავარდნილის დაუზარელი დამხმარე, უპრეტენზიო სტუმარი და გულღია მასპინძელი. მისი ხასიათი ვერაფერმა დაამძიმა – დიდი სამამულო ომიდან სხეულით ჩამოტანილმა ნახევარკილოგრამიანმა შრაპნელის ნამსხვრევმაც კი, გერმანული ფაშიზმის აღორძინების ავბედით სიმბოლოდ რომ ჩაიტანა საფლავში!

სტკიოდა ომის დროიდან შემორჩენილი ნაიარევები, მაგრამ უფრო დიდი ტკივილი 4 წლის შვილის – ნოდარის ტრაგიკულმა აღსასრულმა მიაყენა და ეს ტკივილი გაუსაძლისი გაუხადა 33 წლის შვილიშვილის – ბაჩუკის ასევე ტრაგიკულად დაღუპვამ. მის პირად ტრაგედიას კი წერტილი დაუსვა მეუღლის – შესანიშნავი დედისა და ბანოვანის მარიამ ბიწაძის გარდაცვალებამ, რომელთან ერთადაც ათწლეულების განმავლობაში ქმნიდა ჭეშმარიტ ქართულ ოჯახს, შრომისადმი სიყვარულს უნერგავდა შვილიშვილებს და მათ შვილებსაც. სევარიონ ბარბაქაძე ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, რომელიც მოესწრო შვილიშვილის შვილიშვილს...

უბედნიერესი კაცი იქნებოდა, რომ არა ტრაგიკული წიაღსვლები, მაგრამ ადამიანი ხომ სიხარულისა და მწუხარებისთვისაა მოვლენილი უზენაესის მიერ!

სასწაულად უხაროდა, როცა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულს – 9 მაისს მივულოცავდი ხოლმე გაზეთის მეშვეობით. სტალინი უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ მიაჩნდა და ხშირად შემომჩივლებდა ხოლმე – ნეტა იმ ხალხის ტვინში ჩამახედა, სტალინის სახელს რომ ლაფს ასხამენ. თვითონ მაინც თუ აქვთ გაკეთებული იმის მემილიონედი საქმე, რაც სტალინმა გააკეთაო!

ყოველი 9 მაისი მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო, სუფრას გაშლიდა და სევდიანად იგონებდა თანამებრძოლებს, რომლებიც ცოცხლები ვეღარ დაბრუნდნენ ომიდან. ერთხელ შემომჩივლა – თანდათან გვაკლდება ვეტერანები, გასულ წელს მთელ ლაგოდეხში მხოლოდ სამმა კაცმა მოვიყარეთ თავიო.

თავადაც დააკლდა...

არც ის მიაჩნდა სამართლიანად, რომ დიდ სამამულო ომს, რომელმაც სამასი ათასამდე ქართველი საჯიშე ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, უგვანო ლიბერალები სხვის ომად თვლიდნენ.

ახალი თაობის სხვა მრავალი სიტყვა და საქმე არ მოსწონდა, მაგრამ საჯაროდ მაინც არავის განიკითხავდა – ყველა საზრიან არსებას თავისი მოსაწონი მისწრაფება აქვს და მხოლოდ ღმერთია ადამიანების მსაჯულიო – იტყოდა ხოლმე გულისტკივილით.

მე მეამაყება, რომ სევარიონ ბარბაქაძე ჩემი უახლოესი ნათესავი იყო!

მსუბუქი იყოს მის ნაჯაფარ მკერდზე დაყრილი მიწა!

ერისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ სევარიონ ბარბაქაძეს სრული მორალური უფლება აქვს უფლის სამსჯავროზე მივიდეს დიდი ვაჟას სიტყვებით: **"და წარვსდგე ჩემს მეუფესთან, ხელდანთებული ცვილითა"...**

**როლანდ ჯალაღანია**

# მერაბიშვილი ამას პრეზიდენტის სირის გადასახადს უწოდებდა

მთავარი ქინძის მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩადენილი რომელიმე ქმედება თუ გამაკვირვებდა, ნამდვილად არ მეგონა, რადგან იმას, რაც მისი **„მეფობის ხანაში“** ხდებოდა არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანურთან.

2014 წელს მოწყენილ პრეზიდენტყოფილს აშშ-ში 19 წლის გოგონა გაუცნია, რომელიც 17 წლის ასაკში ბიჭი ყოფილა და რამდენიმე რთული ოპერაციის შემდგომ ქცეულა ლამაზმანად.

ამბობენ, იგი მიშას უფროს ვაჟთან ედუარდთან ერთად სწავლობდაო. მიშას გოგონა ალექსი პირდაპირ თავის მდიდრულ აპარტამენტში შეუტყუებია ავენიუზე, რომელიც რაღა თქმა უნდა, დახვეწილი გემოვნებით ყოფილა მოწყობილი და სულ რამოდენიმე მილიონ დოლარად არის შეფასებული.

ბიჭად ყოფილი გოგონასთვის ქართული **„მაგარი“** ღვინო შეუთავაზებია **„მაღალს“**, რომელშიც განსაზღვრული რაოდენობის ნარკოტიკიც დაუმატებია და გათიშული, 17 წლის, აშშ-ს კანონმდებლობით არასრულწლოვანი გაუუპატიურებია.

გამთენიისას ალექსს სელფი გადაუღია, სადაც რაღა თქმა უნდა, კარგად ჩანს მძინარე პრეზიდენტყოფილი, რამოდენიმე ფოტო გადაღებულია მისი აპარტამენტის სხვა ოთახებშიც. მათ შორის, საპირფარეშოშიც, საინტერესოა, მის **„ნაშებს“**, რატომ უჩნდებოდათ სურვილი ტუალეტში სელფის გადაღების.

საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს მასაჟისტი დოროთი, რომელიც **„მაღალმა“** აშშ-დან თავისი თვითმფრინავით ჩამოიყვანა და იმდენი თანხა დაახარჯა, ერთ სოფელს რომ ააშენებდა. სხვათა შორის, მოგვიანებით დოროთიმ და ალექსიმ თურმე ერთმანეთი გაიცნეს და შთაბეჭდილებები გაუზიარეს ერთმანეთს **“მაღალზე“**.

ღვინოში ნარკოტიკის ჩაყრა არც დოროთთან ურთიერთობისთვის დავიწყებია მაღალს. თურმე ლოდინი არ უყვარდა და **„პირდაპირ საქმეზე“** გადასასვლელად იყენებდა ამ ხერხს.

ალექსი იხსენებს, რომ მიშა ძალაუფლებაზე იყო შეყვარებული და დარწმუნებული იმეორებდა, რომ ის აუცილებლად დაბრუნდებოდა საქართველოში და დაიბრუნებდა **„გვირგვინს“**. თუმცა მას გეგმები დროებით შეეცვალა, ალექსი დაპატიჟა წვეულებაზე, სადაც მისთვის უჩვეულოდ, ყველა თავისთვის ილხენდა და საქმიან შეხვედრას უფრო ჰგავდა, ვიდრე **„ფართს“**. მან თავისი თვალით ნახა უკრაინელი, ამერიკელი და ქართველი პოლიტიკოსების ჯგუფი (ამოიცნო მიშას ბიძაც), რომლებიც რაღაც საკითხს განიხილავდნენ, იმ საღამოს ალექსს **„რიგმა“** არ მოუწია, რადგან მაღალთან სხვა გოგონა დარჩა. სამაგიეროდ, ალექსს მტკიცებულებები ჰქონდა და შეურაცხყოფილი შურისძიებაზეც ფიქრობდა. თუმცა მეგობრები აფრთხილებდნენ, რომ **„შარში“** იყო გახვეული.

**„მაღალთან“** გადაღებულმა ფოტოებმა მისი სამეგობრო მოიარა. მიშასთან შეხვედრა კიდევ ერთხელ მოასწრო ალექსმა. მიშას უთქვამს, რომ მას უკრაინაში სთავაზობდნენ სამსახურს, ეტყობა, ფერადი რევოლუციის მოწყობაც სამსახურია. შემდგომ ალექსი ტელევიზიით ადევნებდა თვალს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, არც უკრაინული **„გატაცებები“** დარჩენილა მისი ყურადღების მიღმა, ამიტომაც ბიჭუნად ყოფილმა შურისძიება გადაწყვიტა და დაწვრილებით უამბო **„ნტვ“**-ს ჟურნალისტს მიშას ამერიკული არდადეგების შესახებ.

წინა ხელისუფლების პოლიტიკური **„პორნოდრომის“** არქივს თუ გადავხედავთ, არაერთ **„საგმირო“** საქმეს აღმოვაჩენთ. ნარკომანობიდან დაწყებული, იმ ქალბატონებით დამთავრებული, რომელთაც პოლიტიკაში მოხვედრამდე და ხალხისთვის ჭკუის სწავლებამდე **„მაღალთა ამა ქვეყნისათა“** ლოგინები მოიარეს.

პოლიტიკაში ხომ ბევრ ფულს შოულობენ და მყისვე მიხვდნენ ზოგიერთები, რომ მათი დრო დადგა! პრეზიდენტყოფილს პოლიტიკა და სექსი ერთ რანგში ჰყავდა აყვანილი და ზედაც უხვად აყრიდა **„კოკაინს“**, რადგანაც მიშა უკუღმართი იყო, მეც ბოლოდან დავიწყე მისი სექსოდრომის განხილვა.

სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო წლებში, მინისტრებად ახალგაზრდა საზოგადოებისათვის უცნობი ქალბატონები რომ დანიშნა, ალბათ, იფიქრა, **„ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“**, – კანადაში ვერა ქობალიას გამომცხვარი პური ისე მოსწონებია **„ბუღას“**, რომ მყისიერად განათებია კოკაინით დახშული გონება და ზეციური ხმაც გაუგია: **„ვერა დააყენებს ქართულ ეკონომიკას ფეხზე“**-ო და სასწრაფოდ თვითმფრინავის ბილეთი შეუძენია მისთვის. სამინისტროს ერთი სიტყვა, მდგრადიც დაუმატეს, ფეხზე დაყენებული ეკონომიკა რომ მალე არ ჩამოშლილიყო.

სანამ ხელისუფლება ახალი მინისტრის პიარით იყო დაკავებული, ინტერნეტში ქობალიას პიკანტური ფოტოები გამოქვეყნდა, სადაც მეგობრებთან ერთად ბარში ერთობოდა. თუმცა მძაფრი რეაქცია სულაც არ ჰქონია მიშას, **„აპატია, როგორც ძმამ და მეგობარმა!“**

მეორე ქალბატონი მინისტრი, რომელიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, ხათუნა კალმახელიძე გახლდათ. სასჯელაღსრულებაში მიმდინარე ცემა-ტყეპა და წამება ისე მოეწონა თაყვანისმცემელიც კი დაჰყავდა **„სეირის“** საყურებლად.

მინისტრყოფილი, ჯერ კიდევ 2011 წელს ეძებდა აკაკი წერეთლის საფლავს სოფელ სხვიტორში, რომ მისთვის მირთმეული ყვავილები მგოსნის საფლავზე დაეწყო. ეს კი ის მომენტი იყო როცა არ მუშაობს სლოგანი **“ვინც ეძებს, ის პოულობს“**. სამაგიეროდ, 2011 წელს **„სად“**-ის №5 დაწესებულებაში უცხოელ სტუმრებთან ერთად მყოფი იუბილარი მინისტრი მიშამ **„ვახტიდან მოხსნა“** და ევროპაში **„გაიტაცა“** დაბადების დღის აღსანიშნავად და რასაკვირველია, **„ამბავიც“** ისევ **„სად“**-მა **„გაუბაზრა“**. **„უმადურმა“** ქართველებმა გამოუქვეყნეს ფოტოც, სადაც კალმახელიძე ვიღაც მამაკაცის მუხლებზე მოკალათებული ამაყად პოზირებდა.

2008 წელს, ნოემბერში, როცა ქართველი ხალხი ჯერაც რუსეთთან ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა, ქვეყნის მთავარსარდალმა **„მის უკრაინის“** კონკურსში მონაწილე 2 ლამაზმანი **„შეუკვეთა“** ვანო მერაბიშვილს. ვანომ ეს საქმე გივი თარგამაძეს გადააბარა, რომელიც იმჟამად ოდესაში იმყოფებოდა.

გივია თარგამაძე სასწრაფოდ გადაფრინდა კიევში, რადგან მიშას მოწონებული ორივე ქალი კიეველი აღმოჩნდა. მიშას 2 დღეში, ორივე უკრაინელი მოდელი ჩამოუყვანეს თბილისში, მათ 4 დღე დაჰყვეს აქ და სასტუმრო **„ჰოლიდეი ინ“**-ში ცხოვრობდნენ.

წყაროს ინფორმაციით, ამ უკრაინელი ქალების პრეზიდენტის მომსახურების საფასური ამ ბანკის სპეცანგარიშიდან გადაიხადეს თავისი სასტუმროს ხარჯებიანად. თუმცა, იმჟამად, **„მადნეულის“** გენერალურმა დირექტორმა კობა ნაყოფიამ პრეზიდენტის მეძავებს ძვირადღირებული საჩუქრები უყიდა და აეროპორტშიც თავად მიაცილა. სხვათა შორის, ნაყოფია ერთ-ერთია იმ ბიზნესმენებიდან, რომელიც სისტემატურად რიცხავდა ფულს ბანკის **„სამეძავო ანგარიშზე“**. ნაყოფია სააკაშვილის ყველა ახირებას უსიტყვოდ ასრულებდა, ამიტომაც იყო, კახა ბენდუქიძის რჩეულმა პრეზიდენტის კარზე გავლენა მალევე მოიპოვა, დეპუტატიც გახდა და საქართველოში გამართულ ტენდერებსა და აუქციონებსაც უპრობლემოდ იგებდა.

2009 წლის სექტემბერში, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ლონდონში გასეირნება გადაწყვიტა 2 დღით.

მან თან გიგი უგულავა და კიდევ ორი მეგობარი მამაკაცი იახლა. ცხადია, ორივე დღე ქეიფსა და მოლხენაში გაატარეს, მეტი რაღა საქმე ჰქონდათ, აწყობილი და დალაგებული ქვეყანა დატოვეს და 2 დღით განტვირთვა ამ ღვაწლმოსილი ხალხისთვის რა ბედენა იყო?

ჰო, 4-კაციანი დელეგაცია უპრესტიჟულეს სასტუმრო **„რიცში“** დაბინავდა. მიშამ პირველსავე დღეებში მოისურვა რომელიღაც ბრიტანელ ქალბატონთან სექსი, ცხადია, მოდელთან და ისიც ნათელია, რომ მისი მომსახურება საქართველოს რამდენიმე სოფლის ერთად აღებულ წლიურ ბიუჯეტს აღემატებოდა. საქმის გაჩარხვა გიგი უგულავას მიანდო მიშამ. გიგიმ ვანო მერაბიშვილს დაურეკა თბილისში, მიშველე, მიშას ესა და ეს მოდელი უნდა და თუ არ მივუყვანე სასტუმროში, კი იცი, რა შავ დღესაც დამაწევსო. ვანომ თბილისიდან მოაგვარა ყველაფერი. გიგის ისღა დარჩენოდა, ლიმუზინით სახლში მიეკითხა მოდელისთვის და სასტუმროში მიეყვანა.

2010 წელს საქართველოს დელეგაცია ვაშინგტონში იმყოფებოდა. დელეგაცია სასტუმრო **„კარტონ-რიცში“** დაბინავდა. საქვეყნო საქმეებს რომ მორჩნენ, მიშამ და მისმა გარემოცვამ სასტუმროს რესტორანს მიაშურეს და გვარიანად მოულხინეს. კარგად გამოთვრნენ.

მიშა საპრეზიდენტო ნომერში რომ ავიდა, მაშინ მოითხოვა ქალი. საბედნიეროდ, ამ დელეგაციაში ვანო მერაბიშვილიც იმყოფებოდა და მიშას სურვილის დაკმაყოფილება მან ითავა. ვანომ სასწრაფოდ მოიძია ელიტარული ბოზი, მიშას შეუგზავნა ნომერში და ეს **“ცხოველიც“** დაშოშმინდა.

2012 წელს საქართველოს დელეგაცია კვლავ ამერიკას სტუმრობდა. ამჯერად სამთავრობო ვიზიტი მეტად მნიშვნელოვანი იყო – მიხეილ სააკაშვილი ამერიკის პრეზიდენტს, ბარაკ ობამას უნდა შეხვედროდა. საქართველოს დელეგაცია ვაშინგტონში, სასტუმრო **„მანდარინა ორიენტალში“** გაჩერდა. სააკაშვილის და ობამას შეხვედრა სულ 15 წუთს გაგრძელდა. ცხადია, დელეგაციის სხვა წევრებმაც გამართეს შეხვედრები ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლებთან. ეს უკვე ის დროა, როცა სააკაშვილის **„ნაცმოძრაობას“** საპარლამენტო არჩევნები წაგებული აქვს და მიშა, ევროპასა და ამერიკაში, ხელისუფლებაში დაბრუნების უმოკლეს და ანტიკონსტიტუციურ გზებს ეძებს, რაღაცას **„ვარდების რევოლუციასავით“**. ცხადია, ამ გეგმის განსახორციელებლად და უკანონობის **„გასაპრავებლად“**, უპირველესად, ამერიკის მხარდაჭერა სჭირდებოდა. მიშას ეს გეგმა და სურვილი სწორედ 30 ნოემბერს, ვაშინგტონში, ბარაკ ობამასთან შეხვედრისას ჩაიშალა. ობამამ მკაცრად გაუმეორა სააკაშვილს ის, რასაც მას არჩევნების შემდეგ ყველა გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსი ეუბნებოდა: შენი დრო დამთავრდა, ორჯერ იყავი ქვეყნის პრეზიდენტი და ახლა დროა, ქვეყნის მმართველობას ჩამოსცილდე და ძალაუფლება მშვიდობიანი გზით გადასცე მომდევნო პრეზიდენტსო.

სააკაშვილი თეთრი სახლიდან სახეშეშლილი, რომ იტყვიან, წაშლილი გამოსულა. ცხადია, საშინელ ხასიათზე იყვნენ მისი დელეგაციის წევრი ბობოლა **„ნაციონალები“**. უგუნებობის გამოსასწორებლად ყველამ ერთად რესტორანს მიაშურა. წყარო აცხადებს, რომ სააკაშვილი რესტორანშივე გვარიანად გამომთვრალა, შემდეგ კი სასტუმროში მისულს, ბარში გაუგრძელებია სმა. ბარში ყოფნისას მოუთხოვია ქალი და მისი გარემოცვის წევრებიც დატრიალებულან: არიქა, ბელადს საწადელი ავუსრულოთ და ერთი ლამაზმანი ჩავახუტოთო. მიშა მეტად გულუხვი გამომდგარა იმ დღეს: მარტო მე კი არა, დელეგაციის ყველა წევრ კაცს თითო ქალი მოუყვანეთო, უბრძანებია.

**„ნაციონალების“** ვიპ-ლიდერებმა, ვაშინგტონის ვიპ-ბორდელების ადგილმდებარეობა ისე კარგად იციან, თვალდახუჭულები აგნებენ თურმე. პირველად ხომ არ იყვნენ ვაშინგტონში, და არც მიშას ეს ახირება იყო მათთვის პირველი და უცხო.

მოკლედ, ათზე მეტი მეძავი მოუყვანიათ **„მანდარინა ორიენტალში“** და ბარიდან რესტორანში გადაუნაცვლებიათ. ერთი ჟივილ-ხივილი აუტეხავთ სააკაშვილსა და მის ხროვას, დაუმხიათ თავზე ყველაფერი.

მათდა საუბედუროდ, იმავე სასტუმროში იტალიის საპარლამენტო დელეგაციის წევრები ცხოვრობდნენ, რომლებიც ამერიკელ კონგრესმენებთან მოლაპარაკებაზე იყვნენ ჩამოსულნი. რამდენიმე იტალიელი დეპუტატი იმ დროს, როცა სააკაშვილი და მისი ბიჭები რესტორანში ილხენდნენ, იმავე რესტორანში ვახშმობდა დეპუტატური სიდარბაისლით. იტალიელებს პროტესტის ნიშნად, რესტორანი დაუტოვებიათ და სასტუმროს ხელმძღვანელობისთვის უთქვამთ, ხვალ სხვა, უფრო წყნარ და კომფორტულ სასტუმროში გადავალთ და ჩვენს უვახშმობას არ გაპატიებთო.

ადმინისტრაციას დაცვა გამოუძახებია, მაგრამ მიშა და მისი გუნდი არც მათ დანებებიან. დაცვამ სამჯერ გააფრთხილა ქართველები და გამომთვრალებს რომ ვერაფერი შეაგნებინა, პოლიცია გამოიძახეს. აი, მაშინ კი გამოფხიზლებულან მიშა და მისი ამალის წევრები, რადგან საერთაშორისო სკანდალის სუნი იკრეს. ალბათ იფიქრეს, ამერიკა დემოკრატიის დედა და მამაა, თუ კანონს დაარღვევ, გინდა პრეზიდენტი იყავი, მაინც პასუხს გაგებინებენო. სკანდალსა და საერთაშორისო შერცხვენას გადაურჩნენ მიშა და მისი ბიჭები. იმ შუაღამისას, საქმეში ამერიკელი რესპუბლიკელი კონგრესმენები, ჩარლზ დენტი და სინტია ლუმისი ჩაერივნენ, რომლებიც პირადად სააკაშვილმა წამოყარა თბილი ლოგინებიდან.

კონგრესმენებმა საქმე ჩაფარცხეს – თავიანთი სტუმრები, იტალიელი დეპუტატებიც გააჩერეს, პოლიციაც და სასტუმროს ადმინისტრაციაც. ცხადია, იმაზეც იზრუნეს, რომ ინფორმაციას არ გაეჟონა და ეს ამბავი ამერიკულ მედიას არ გაეგო. თუმცაღა, ამერიკის პოლიტიკური ბომონდის არაერთმა წარმომადგენელმა გაიგო სააკაშვილისა და მისი დელეგაციის წევრების ამ აყალმაყალის შესახებ.

2010 წლის 24 ნოემბერს ლისაბონში გამართული **ნატო**-ს სამიტის შემდეგ საქართველოს დელეგაციის წევრებმა, ლისაბონის სასტუმრო **„ტიარაში“** 70 მეძავი აიყვანეს, სასტუმროს ადმინისტრაციას კი ეს ბოზები საკუთარ ცოლებად წარუდგინეს. გაგიჟდნენ **„ტიარას“** თანამშრომლები: რა უბედურებაა, ყველა ქართველს პორტუგალიელი ცოლი როგორ ჰყავს, თანაც, ყველა ლისაბონელიო. ეს ამბავი მალე გასკდა. პორტუგალიურმა გაზეთმა **„ჩორეირო და მანჰამ“** ამ კოლექტიური სექსსკანდალის დეტალები მთელ ქვეყანას მოსდო.

ამ გაზეთს 250.000 აქვს ტირაჟი და ცხადია, ყველა საგაზეთო მასალა მის საიტზეც იდება. ამ საქმის ჩაფარცხვა ვეღარ მოახერხეს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა. გაზეთამდე მას შემდეგ მივიდა ეს ინფორმაცია, რაც სასტუმროში ქართული დელეგაციის წევრებმა, თითქმის შიშვლებმა დაუწყეს დევნა პორტუგალიელ მეძავებს და მათი გაჟიმვა ლამის ფოიეშივე მოინდომეს.

ქართველთა ხმაურით შეწუხდა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომელიც თავის დელეგაციასთან ერთად მეხუთე სართულზე ცხოვრობდა, ერთი სართულით მაღლა, ვიდრე ქართველები და ლისაბონის პოლიციას სწორედ ფრანგებმა დაურეკეს. სხვათა შორის, იმავე სასტუმროში, **ნატო**-ს წევრი კიდევ ორი ქვეყნის პრეზიდენტი და მათი დელეგაცია ცხოვრობდა, მაგრამ ქართველთა ჩაშვება მაინც სააკაშვილის ძმაკაცს, სარკოზის დაჰბრალდა.

მიშას და მისი ხროვის უამრავი სექსსკანდალის გახსენება შეიძლება კიდევ, თუმცა, მთავარია, ვინ უზრუნველყოფდა მათი არცთუ იაფი ავხორცობის დაფინანსებას. ცნობილი ფაქტია, რომ სპეცანგარიშები, რომლებზეც **„საპროცესო“** თანხები ირიცხებოდა და რის გამოც დღეს მოსახლეობის ლამის 50% სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, დღესაც გაურკვეველია.

არსებობდა სხვა გაურკვეველი ანგარიშებიც, რომლის შევსებასაც პირველ ეტაპზე ფინანსური პოლიციის ყოფილი შეფი დავით კეზერაშვილი უზრუნველყოფდა.

2007 წლიდან კი ამ საბანკო ანგარიშზე სოლიდური თანხის მობილიზების საკითხს ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი უზრუნველყოფდნენ, მთელი ფული მიშას ქალებში გრიალს და გართობას ხმარდებოდა.

ავი ენები ამბობენ, **„მაღალს“** კაცების მიმართაც ჰქონია ლტოლვა, მაგრამ **„მოგუდულში“** ხდებოდა ეგ საქმეო. აღნიშნულ სპეცანგარიშზე სოლიდურ ხარკს რიცხავდნენ ბიზნესმენებიც.

იმ ბიზნესმენთა ნაწილმა იცოდა, რისთვის იხდიდა ხარკს, ნაწილმა კი არაფერი იცოდა ამის შესახებ. ცხადია, ბიზნესმენთა უმეტესობას შანტაჟის, მუქარისა და სხვა უკანონო გზებით აიძულებდნენ, გადაეხადა სოლიდური თანხები. არ გადაუხდიდნენ მიშას **„საგულაო“** ფულს და უკეთეს შემთხვევაში, ბიზნესს საერთოდ დაკარგავდნენ, თუ უფრო გაჯიქდებოდნენ და ვანო და ზურა მთლად დედას უტირებდნენ – ან თავად **„გაამგზავრებდნენ“** ამ ბიზნესმენს ციხეში, ანდა ოჯახის რომელიმე წევრს დაუჭერდნენ შეთითხნილი ბრალდებით.

მე თქვენ გეტყვით და ამგვარი ფაქტების ნაკლებობა გვქონდა ამ 9 წლის მანძილზე და გაუკვირდებოდა ვინმეს. თუმცა ამაზრზენი ის არის, რომ ბიზნესმენთა დიდმა ნაწილმა წინასწარ იცოდა, რომ ფულს პრეზიდენტის ვნებების დასაკმაყოფილებლად იხდიდა და მორჩილად აკეთებდა ამას, პროტესტი არც ერთს არ გამოუხატავს. მეტიც, ზოგიერთები სიამოვნებით აკეთებდნენ ამას. **„დიდი“** ვანო აღნიშნულ ხარკს **„პრეზიდენტის სირის გადასახადს“** უწოდებდა.

**ქეთევან ზარნაძე,**

**(გაგრძელება იქნება)**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# „მარაკანა” თუ „უემბლი”? ბედნიერი ვარ ამ ორ სტადიონზე რომ ვითამაშე“



მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ევროპის პირველობებსა თუ ოლიმპიურ თამაშებში რამდენჯერმე მონაწილე სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში ქართველი მოთამაშეები ხშირად ირიცხებოდნენ. არაერთმა ჩვენებურმა ფეხბურთელმა გამოიჩინა თავი ამ ასპარეზობაში, ზოგიერთი მათგანისათვის კი ეს შეჯიბრებები დიდი გულისტკივილის მიზეზი გახდა.

დღევანდელ წერილში წარსულს გავიხსენებ და სიტყვას ცნობილ ქართველ მოთამაშეებს გადავცემ, რომლებიც სსრკ-ის ეროვნული გუნდის რიგებში საკუთარ ასპარეზობას გაიხსენებენ.

**მურთაზ ხურცილავა:** „ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირზე მითამაშია ოლიმპიადიდან დაწყებული მსოფლიო ჩემპიონატით დასრულებული, მაგრამ ფიფას ოქროს თასის გათამაშებას არაფერი შეედრება – უმაღლესი დონის შეჯიბრებაა, მხოლოდ რჩეული გუნდები და მოთამაშეები ასპარეზობენ, სტადიონები პირთამდე სავსეა, განწყობა – ენითაუწერელია! მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში უკვე გამარჯვებაა, ტურნირის მოგებაზე ხომ არაფერს ვამბობ!

1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთის სამშობლომ – ინგლისმა უმასპინძლა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ისტორიაში საუკეთესო შედეგი სწორედ მაშინ აჩვენა, არადა, მეტის მიღწევა შეგვეძლო. იცით, გავედით თუ არა ნახევარფინალში, ბევრმა ჩათვალა, რომ **„ამოცანა შესრულებულია”** და მომდევნო შეხვედრებში ვალის მოხდის მიზნით გავიდა მინდორზე. ამას რაც მოჰყვა, კარგად იცით.

მესამე ადგილისთვის პორტუგალიელებს შევხვდით. მატჩის წინ სიზმარში ვნახე – თითქოს საჯარიმოში ხელით ვითამაშე. ამის შესახებ ჟორა სიჭინავას დილითვე ვუამბე, მან კი მეგრულად მითხრა – ღმერთი არ გაგიწყრეს, ასეთ რამეზე ფიქრს მოეშვიო... მწვრთნელებისგან ვიცოდი, რომ ეუსებიოს წინააღმდეგ უნდა მეთამაშა, მაგრამ შუადღით გამომიცხადეს, ტორესი უნდა აიყვანოო. ის ლამის ორმეტრიანი თავდამსხმელი იყო, ჩემზე გაცილებით მაღალი... ერთ მომენტში ავუხტი და სწორედ მაშინ ამიხდა სიზმარი – ბურთი ხელზე მომხვდა. თამაშის შემდეგ ჩემთვის არავის უსაყვედურია, მაგრამ ეს ჩემთვის ვერაფერი ნუგეში იყო.

ჩემი აზრით სსრკ-ს ნაკრები ყველაზე ძლიერი 1967-1968 წლებში იყო – მაშინდელი რეიტინგით ევროპის ნომერ პირველი გუნდი ვიყავით! იმ წლებში ჩვენი მომგები არავინ იყო ბობი ჩარლტონის და გორდონ ბენქსის ინგლისით დაწყებული და ჯანი რივერას და სანდრო მაცოლას იტალიით დასრულებული. მაგრამ მაშინდელი სისტემის უბედურებაც ის იყო, რომ როგორც კი რამე კარგი გაკეთებოდა ან შეიქმნებოდა, უმალ მის ნგრევას იწყებდნენ. ის გუნდიც საკავშირო ფედერაციის მესვეურებმა ფაქტიურად, ძალით დაშალეს – ვალერი ვორონინი, ედუარდ სტრელცოვი და იოზეფ საბო ერთიმეორეზე სულელური ბრალდებით გარიცხეს გუნდიდან.

მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე ბულგარეთში ვემზადებოდით – კუნთი სწორედ იქ გამიწყდა. ვიფიქრე, ეს ტურნირი უჩემოდ ჩაივლის-მეთქი, მაგრამ მწვრთნელებმა მაინც ჩამრთეს გუნდში. იმ ნაკრებში ჩემთან ერთად იყვნენ რევაზ ძოძუაშვილი, გივი ნოდია, კახი ასათიანი, სლავა მეტრეველი და ანზორ კავაზაშვილი. ურიგო შემადგენლობა ნამდვილად არ გვყავდა, მაგრამ ურუგვაისთან კურიოზული გოლი გავუშვით და ნაადრევად დავბრუნდით შინ.

ევროპის 1972 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს შევხვდით. ჩავედით ბელფასტში და საითაც არ გაიხედავდი, ყველგან ჯორჯ ბესტის ფოტო გხვდებოდა თვალში. კი, მას მაშინ კარიერის პიკი გადავლილი ჰქონდა, მაგრამ მაინც ფანების კერპი იყო – სარეკლამო ფირნიშებიდან, გაზეთებიდან, მაღაზიის ვიტრინებიდან, ძეხვეულიდანაც კი ჯორჯ ბესტი გიღიმოდა! იქაური ახალგაზრდობა გიჟდებოდა მასზე, აღმერთებდნენ! ჩვენს წინააღმდეგ კი ითამაშა, მაგრამ რეზო ძოძუაშვილმა შავი დღე აყარა – გასაქანი არ მისცა. თუ არ ვცდები, თამაშის მერე ბესტმა რეზოს მაისურიც გაუცვალა.

ევრო 72-ის ფინალში ჩვენ გასვლას არავინ ელოდა. მაშინ ნაკრები გადახალისების პროცესში იყო, ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ ოთხნი დავრჩით: მე, რეზო ძოძუაშვილი, ევგენი რუდაკოვი და ვლადიმირ კაპლიჩნი. არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ახლები, მაგალითად ედუარდ კოზინკევიჩი, ანატოლი ბაიდაჩნი და ოლეგ დოლმატოვი ნამდვილად ჩამოუვარდებოდნენ წინამორბედებს. მიუხედავად ამისა, მაინც შევძელით მეორე ადგილის დაკავება. ფინალში უშანსოდ ვიყავით. ისე, ის გერმანიის ნაკრები ყველა დროის საუკეთესო ბუნდესგუნდადაა აღიარებული.

ფინალი 0:3 წავაგეთ – ლეგენდარულმა გერდ მიულერმა ორი გოლი გაგვიტანა. ერთი წლის შემდეგ, მოსკოვში, ლევ იაშინის გამოსათხოვარი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მიულერმაც ითამაშა. მატჩის წინ მას იაშინისთვის უთქვამს, დიდი ბოდიში, მაგრამ თამაშის სტატუსის მიუხედავად, გოლი უნდა გაგიტანოთ, რადგან, ჯერ თქვენთვის გოლი არ შემიგდიაო. უცბად იაშინი მეძახის და მეუბნება: **„მურზიკ, გეხვეწები, ყველანაირად ეცადე, რომ მიულერმა გოლი არ გამიტანოს”**. იმ შეხვედრაში პერსონალურად ვითამაშე ამ მართლაც დიდებული ფორვარდის წინააღმდეგ და არ გავატანინე!“

**რეზო ძოძუაშვილი**: „საუკეთესო მატჩი? ბევრგან დაწერილა, ხშირად მითქვამს და ახლაც იგივეს გავიმეორებ – 1969 წელს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ რომ ჩავატარე, ისაა საუკეთესო. ჯორჯ ბესტი იყო იმ შეხვედრაში ჩემი მეტოქე, მას კი ზედმეტი წარდგენა არ სჭირდება – ლეგენდარული მოთამაშე იყო! სხვათა შორის, მის წინააღმდეგ ჩემი გამწესება ბელფასტში გამგზავრების წინა დღეს გადაწყდა. მაშინ გავრილ კაჩალინი იყო ნაკრების მთავარი მწვრთნელი. დამიბარა და მითხრა, ასე და ასე ვიფიქრეთ და აბა, შენ იციო. იქვე გამაფრთხილა – თუ ამოცანას თავს ვერ გაართმევ, ნაკრების მაისურს ვეღარ ეღირსებიო. შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა, საპასუხო მატჩზე კი, მოსკოვში რომ იყო დანიშნული, ბესტი აღარ ჩამოვიდა. ჩვენ 2:0 მოვიგეთ. მეორე გოლი, თუ სწორად მახსოვს, გივი ნოდიამ გაიტანა.

ბესტის გარდა კიდევ ერთი დიდებული ფეხბურთელის წინააღმდეგ მითამაშია: იუგოსლავიელ დრაგან ჯაიჩს ვგულისხმობ. ის 60-იანი წლების ვარსკვლავი გახლდათ! თუმცა ალალად ვიტყვი: პირადად მე ბესტსაც და ჯაიჩსაც სლავა მეტრეველი და მიშა მესხი მირჩევნია. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: არც ბესტი და არც ჯაიჩი არ იყვნენ მეტრეველზე და მესხზე დიდი ფეხბურთელები! სხვა საქმეა, რომ ისინი ევროპაში თამაშობდნენ, ჩვენები კი საზღვრებჩაკეტილ საბჭოთა კავშირში.

1972 წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით, ორჯერ ვითამაშე დასავლეთგერმანელების წინააღმდეგ: ჯერ მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონის” გახსნის მატჩში, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატის ფინალში. ორივე ძალიან რთული შეხვედრა იყო. ხომ გახსოვთ რა დონის ნაკრები ჰყავდათ გერმანელებს? ბეკენბაუერი, მიულერი, ზეელერი, ბრაიტნერი, მაიერი, შვარცენბეკი, ჰიონესი... სტადიონის გახსნის მატჩში ჩემს წინააღმდეგ კრემერსმა ითამაშა. იმხანად ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა. ფეხი არ გავანძრევინე!

ევრო 72-ის შემდეგ, სადაც ფინალში დავმარცხდით, მე და მურთაზ ხურცილავა ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში დაგვასახელეს! როგორია? ფინალი წავაგეთ, მაგრამ ცენტრალური მცველები სიმბოლურში მოვხვდით? იმ დროს როცა ვიხსენებ, გული სიამაყით მევსება...

საბჭოთა კავშირის ნაკრებში ბევრი თამაში არ დამიგროვდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ სხვები მჯობნიდნენ. იცით როგორ იყო? მაგალითად, დაინიშნებოდა მთავარ მწვრთნელად კონსტანტინ ბესკოვი და ნაკრებში თავის 15-16 კაცი მიჰყავდა. თუ ვალერი ლობანოვსკი მივიდოდა, უკვე კიევის „დინამო” ხდებოდა საბაზო გუნდი... ესაა ყველაფრის მიზეზი. ესპანეთი-1982 ხომ გახსოვთ? ბესკოვმა და ლობანოვსკიმ დათო ყიფიანი მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, სამაგიეროდ, თან იახლეს ფეხმოტეხილი ლეონიდ ბურიაკი. ასეთ მიდგომას რა შედეგი უნდა მოეტანა?

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

---

**სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი “კავკასია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.**

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

გურული თანამშრომლის დაკრძალვაზე კახეთში ჩავიდა. მშობლიურ კუთხეში მწირ ქელეხებს მიჩვეული, სადაც ძირითადად ხალხს ლობიოთი და მხალით უმასპინძლდებიან, გაკვირვებული გასცქეროდა სუფრაზე დახვავებულ ხორაგს. ქელეხის დასასრულს კარგად გამძღარმა და კახური ღვინით შეზარხოშებულმა გურულმა ჩაილაპარაკა:

– ა, ძამა, სად უნდა კვდებოდეს ხალხი.

* * *

საბავშვო ბაღში:

– მამაჩემს იმდენი ფული აქვს, თუ მოინდომა, მთელ თბილისს იყიდის.

– მამაჩემმა თუ მიჰყიდა, კი...

* * *

ექიმის კაბინეტში ქალი შევიდა ნახევარლიტრიანი ბოთლით ხელში.

– ეს რაა? – ეკითხება ექიმი.

– შარდია, ექიმო!

– შარდი ლაბორატორიაში უნდა მიიტანოთ, მეორეც, ეს შარდი კი არა, ზეთია.

– უი, არ გამიკვირდა, პერაშკები რატომ მეწვება-მეთქი?!


**გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.**



*დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, ტვინის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებს მისი ვაჟიშვილი ზეზვა.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge